# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 9 თებერვალი 1999 №21 (794) | ფასი 50 თეთრი


2

## საქართველო 5 აზერბაიჯანი 0

აშვეთიას ორი, ხუციშვილის, ნინუას და წიტაიშვილის გოლებით ქართველმა ახალგაზრდებმა აზერბაიჯანელი თანატოლები დაჩაგრეს



3

## იორკს + კოული = სოლსკიაერს



შეცვლაზე შესულმა სოლსკიაერმა „ნოტინგემს“ 12 წუთში 4 ბურთი გაუტანა

7

## ჯეკსონვილის სასწაული

ამერიკელი ფეხბურთელები კიროვსკი, სანე და რეინა გერმანიაში ისე გაიწაფნენ, რომ სენსაცია მოახდინეს: აშშ — გერმანია 3:0

8

## ჩემპიონატი უკვე დაიწყო

სტეფანიას ჯერ არ დაუწყია

10

5 Nations

ხუთი ერის პირველობა

## ყაჩაღები, ბრმები და ჯენტლმენები

ირლანდიელთაგან და მსაჯთაგან გამეტებულმა ფრანგებმა მაინც გაიმარჯვეს

# მე ციხეში მოვკვდე, დავიმარხო?

## ციხეს ორი კარი აქვს, გამოსასვლელი და შესასვლელი

## მაიკ ტაისონი კიდევ ერთხელ დარწმუნდა ამ შეგონების სისწორეში

მერილენდის შტატის მონტგომერის საგრაფოს ქალაქ როკსვილში დაიწყო მორიგი სამოქალაქო დრამის გათამაშება, რისი შედეგიც ის უნდა იყოს, რომ მაიკ ტაისონის საკრივო კარიერა კიდევ ერთხელ შეწყდება.

როკსვილელმა მოსამართლემ სტივენ ჯონსონმა ცოდო-მადლი აწონა და უკვე გახმაურებული „სექტემბრის ინციდენტის“ გამო მაიკ ტაისონს ორი წლით ციხე, ყოველგვარი ჯარიმის გადახდა და ორასსაათიანი მუქთი სამუშაო მიუსაჯა.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



REUTERS

მაიკ ტაისონი რინგზე გალაღებას და ბლომად ფულის შოვნას აპირებდა, ციხეში კი უკრეს თავი

# მარჩელო ლიპი წავიდა



REUTERS

მარჩელო ლიპის და „იუვენტუსის“ გზები გაიყარა

გაუჭირდა და გადადგა — მარჩელო ლიპი, ტურინის „იუვენტუსის“ მწვრთნელი კვირას გუნდს გამოეთხოვა. „იუვენტუსის“ კიდევ ერთ ეპოქას წერტილი დაესვა.

კარლო ანჩელოტიმ გუშინ დაუძლურებული გუნდი ჩაიბარა. მისი „იუვენტუსის“ სათავეში გამოჩენა მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. მომავალ სეზონში სწორედ მას უნდა ეხელმძღვანელა „იუვენტუსისთვის“, მაგრამ თუ ასე ადრე შეუდგებოდა საქმეს, არავის ეგონა.

— „იუვენტუსს“ კარლო ანჩელოტი გაუძღვება. კონტრაქტი ძალაში ამ კვირაში შევა — განაცხადა კლუბის წარმომადგენელმა.

ამბობენ, მარჩელო ლიპი „ინტერში“ მიდისო. ზუსტად არავინ არაფერი იცის. ამის თაობაზე არც მწვრთნელს უთქვამს რამე და არც მილანურ კლუბს. ფაქტი ჯერჯერობით მხოლოდ ისაა, რომ ლიპი „იუვენტუსიდან“ წავიდა.

რა მოუტანა ლიპიმ „იუვენტუსს“? სამი საჩემპიონო ტიტული, ქვეყნის თასი, იტალიის ორი სუპერთასი, ჩემპიონთა თასი, საკონტინენტთაშორისო თასი, ევროპის სუპერთასი. ცხრა ტიტული ოთხნახევარ წელიწადში! თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ლიპის ხელმძღვანელობით გუნდი ორჯერ გავიდა ჩემპიონთა თასის, ერთხელ კი უეფას თასის ფინალში, სხვას ვერას ვიტყვით: ლიპის მოღვაწეობა კლუბში მართლაც საუცხოო იყო!

რას მოუტანს ანჩელოტი „იუვენტუსს“? არავინ იცის. „წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ყველაფერი მომავლის საქმეა“ — განაცხადა ანჩელოტიმ.

მომავალი არც ისე შორსაა. ფაქტობრივად, აქვეა.

თბილისი
8 თებერვალი
13 საათი
ისანი
5 000 (ტევადობა 5 000)

## საქართველო 5:0 აზერბაიჯანი

ახალგაზრდულები

1:0 აშვეთია (8), 2:0 ხუციშვილი (58), 3:0 აშვეთია (62), 4:0 ნინუა (77), 5:0 წიტაიშვილი (89)

**საქართველო:** ლომაია (გაბელია 65), ჩხეტიანი, ალადაშვილი, მახვილაძე (ნინუა 73), სახვაძე, ჩომახიძე (ხუციშვილი 46), კვარაცხელია (ჭანკოტაძე 69), ალექსიძე (დევიძე 74), ყიფიანი, აშვეთია (შენგელია 64), მეგრელაძე (წიტაიშვილი 65)

**აზერბაიჯანი:** ჰასან-ზადე (უბლოვატი 63), დ. მამედოვი (გიენაევი 79), აბლაშევი (ე. მამედოვი 46), გულიევი (ფაშაევი 71), შუქუროვი, სულთანოვი, ყორბანოვი (სადიხოვი 46), ზ. ისმაილოვი (იმამალიევი 89), გაფიტულინი, ახვერდიევი, ფ. ისმაილოვი

*სათადარიგონი:* ავთანდილ გაჯიევი

**გაფრთხილებები:** ჩხეტიანი (39), სახვაძე (44), ხუციშვილი (54), ფ. ისმაილოვი (73)

**მსაჯები:** ო. გუნთაძე, ზ. დოლიძე, ა. შილაკაძე, ა. სამხარაძე (ყველა საქართველო)

# მოვიგეთ, მაგრამ...

**კონსტანტინე გოგიშვილი**

საქართველო — აზერბაიჯანის ახალგაზრდული გუნდების მატჩის ანგარიშს რომ გაიგებს, შეიძლება ხელიც ჩაიქნიოს კაცმა — გამოუნახავთ რა მეტოქე, მაგრამ ვინც „ისნის" სტადიონზე ამ გუნდების შეხვედრას ადევნა თვალი, დამეთანხმება, არც იმდენად სჯობდა ჩვენი ნაკრები აზერბაიჯანელებს, რომ 5:0 მოეგო. ქართველებმა თუ გაიმარჯვეს, ეს იმიტომ, რომ შემსრულებლები ჰყავდათ გაცილებით მაღალი დონისა, თორემ თამაშით არც ასე დაუჩაგრავთ სტუმრები. მეტიც, პირველმა ნახევარმა აზერბაიჯანელების შესამჩნევი უპირატესობით ჩაიარა.

პირველი ნახევრიდან გამომდინარე ისიც სათქმელია, რომ აზერბაიჯანელი ახალგაზრდები გაცილებით შეხმატკბილებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. ჩვენებს კი მეტად გაუჭირდათ კომბინაციური ხლართების გაბმა. მართალი იყო რობერტო ლანდი, გიორგი ყიფიანს „ნაკრების გეომეტრი" რომ უწოდა — ერთადერთი, ვინც კომბინაციური თამაშისთვის თავის მობმას ცდილობდა, სწორედ გიორგი ყიფიანი გახლდათ. წინა თამაშებთან შედარებით „არისის" ქართველი ლეგიონერის პროგრესი აშკარაა, ჯანიც მომატებია, მოედანსაც გაცილებით უკეთ ხედავს, არც დროული და ზუსტი პასი ეშლება და მისი სახით რომ ქართულ ფეხბურთს კარგი გამთამაშებელი შეიძლება გაეზარდოს, აშკარაა. მხოლოდ სისწრაფეს უნდა მოუმატოს „გეომეტრმა". არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ ყიფიანი მთელი შეხვედრის განმავლობაში მოძრაობდა, იბრძოდა და ამასთან წუნიც მეტად და მეტად ცოტა ჰქონდა.

დანარჩენებიდან ჩხეტიანს გამოვყოფდი. პირველი ტაიმი კახამ თავისთვის უჩვეულო ადგილზე — მარჯვენა მცველად ჩაატარა და ბევრიც ვერაფერი გამოუვიდა. მეორე ტაიმში კი, დააყენეს რა თავის, მარცხენა ფლანგზე, აიწყვიტა და თავბედი აწყევლინა მოწინააღმდეგეს.

ცალკე უნდა ითქვას თბილისის დინამოელებზეც. ყველა მათგანი — სახვაძე, ჩომახიძე, კვარაცხელია, ალექსიძე, აშვეთია, შენგელია, წიტაიშვილი როგორღაც მძიმედ ირჯებოდნენ. შეიძლება სეზონისწინა სამზადისის და დატვირთვების ბრალიც იყოს ყოველივე.

ჭანკოტაძის დისკვალიფიკაციამ საეჭვო გახადა ამ ბიჭის მომავალი. მას ხომ სეზონის ბოლომდე აუკრძალეს ფეხბურთის თამაში. ამის გამო ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელებს ახალი, მასავით სტაბილური უკანა მცველი უნდა მოეძებნათ. ორიოდე დღის წინ გამართულმა ალმასკომმა ჭანკოტაძეს დისკვალიფიკაცია კი მოუხსნა, მაგრამ ამდენი ხნის უთამაშებლის დაყენებას, ისევ ედიშერ ალადაშვილი ამჯობინა იმნაძემ და უნდა ითქვას, გაამართლა კიდეც ახალმა ცენტრალურმა მცველმა — ბურთი რაა, ისიც არ აცდენია ალადაშვილს. ასე განსაჯეთ, ლომაიამდე ბურთი პირველად მხოლოდ მეთორმეტე წუთისთვის მიგორდა. ზემოთ ვთქვით, რომ პირველი ტაიმი ჩაუვარდათ ჩვენებს, მაგრამ ეს ალადაშვილზე არ ითქმის — მანაც ყიფიანივით თანაბრად და ძლიერად ჩაატარა შეხვედრა.

ახლა კომბინაციურ თამაშზეც: მთელი პირველი ნახევარი ჩვენი გუნდი ერთფეროვნად უტევდა — ყველა ბურთი აშვეთიას ან მეგრელაძის მიმართულებით იგზავნებოდა მეტოქე მცველების ზურგს უკან. აზერბაიჯანელებმა მალე აუღეს ალღო ქართველთა ამ ტაქტიკას და ხელოვნური თამაშგარეებით ანაც დაზღვევაზე ზუსტი თამაშით იარაღი აჰყარეს მასპინძელ თავდამსხმელებს. გოლი, რომელიც აშვეთიამ გაიტანა, უმალ შემთხვევითობის და მეგრელაძის აქტიურობის ნაყოფი იყო. ბოლომდე იბრძოლა გიორგიმ, ზუსტად უპასა აშვეთიას, რომელმაც აუღელვებლად დააბოლოვა მისი გარჯა.

მეორე ნახევარში სრულიად საპირისპირო სურათი ვიხილეთ მინდორზე. ქართველმა მწვრთნელებმა სრულად გამოიყენეს შეცვლები და აკი გაუმართლათ: ექვსიდან სამმა სათადარიგომ გოლი გაიტანა. ამას ერთიც ისევ აშვეთიამ დაუმატა და ხუთგოლიანი უპირატესობაც შედგა. ორი-სამის გატანა კიდევ შეეძლოთ ქართველებს, მაგრამ ხან სათადარიგო მეკარე უბლოვატიმ იყოჩაღა, ხანაც დარტყმის სიზუსტემ უმტყუნათ ჩვენს თავდამსხმელებს.

ახალგაზრდულს სტანდარტულ სიტუაციათა დახვეწაც მართებს. ჩვენი ბიჭების განსწავლულობა ამ მხრივ სახვაძის მარჯვედ მოწოდებულ აუტებს არ გასცილებია. კი შეასრულეს ერთიორი სახიფათო ჯარიმა ალექსიძემ და ჩომახიძემ, მაგრამ ეს იყო და ეს.

ერთსაც დავძენთ — შეთამაშება აკლიათ ჩვენებს, თორემ ნიჭი და მონდომება — არა. სათქმელია ისიც, რომ გადის დრო და ამ თაობის ზოგი ლიდერი ნელ-ნელა კარგავს ღირსებას, რომლითაც თავით მაღლა იდგა სხვებზე. რას უშვრება ეროვნული ჩემპიონატის დაბალი დონე ამ მართლა ნიჭიერ ბიჭებს, აზერბაიჯანის ახალგაზრდულ ნაკრებთან მატჩმაც კარგად წარმოაჩინა.

სხვა მხრივ, მოგება და თანაც 5:0 თავისთავად სასიამოვნო ფაქტია.



კობა ნინუამ (№17), კობა წიტაიშვილის დახმარებით, შეცვლაზე შესვლიდან 4 წუთში ანგარიში 4:0 გახადა

# ხერხაძე ანთალიით კმაყოფილია



ჯემალ ხერხაძე

*„ტორპედომ" ჯერ კიდევ წინა წრეთაშორის პერიოდში დააჭაშნიკა ანთალია და კლუბის იმჟამინდელი ხელმძღვანელობაც ნასიამოვნები იყო თურქული შეკრებით, თავი ზღაპარში გვეგონა, იდეალურ პირობებში ვიყავითო. ქუთაისელებს შარშან ერთი დარჩათ ხინჯად — „ტორპედო" ერთ ადგილობრივ სამოყვარულო და რუსული მეორე ლიგის ორ საშუალო დონის გუნდს გაეჯიბრა ამხანაგურად და ამით დაკმაყოფილდა.*

*ამ თვალსაზრისით ქუთაისელთა ახალი სტუმრობა ზღვისპირა კურორტ ანთალიაში უფრო ნაყოფიერი გამოდგა. „ტორპედომ" იქ ორი კვირა დაჰყო და ექვსი საკონტროლო თამაშის გამართვა მოასწრო. მართალია, ჩვენებურთა იქაურ ამბებს დროდადრო ვგებულობდით და გაზეთითაც გატყობინებდით, მაგრამ ამ უცხოური შეკრების „ტორპედოს" თავკაცისეული შეფასება სულ სხვაა და ჩვენც გუნდის მთავარ მწვრთნელს ჯემალ ხერხაძეს ქუთაისში დაბრუნებისთანავე გავესაუბრეთ.*

**— ანთალიაში 18 დღე აპირებდით დარჩენას და ორ კვირაში რატომ გამობრუნდით?**

— ანთალიაში ჩვენი გამგზავრება რომ გადაწყდა, ვეცადეთ თურქული ვიზების საკითხიც მოგვეგვარებინა, მაგრამ ბათუმში თურქეთის კონსული არ დაგვიხვდა, თავის ქვეყანაში იმყოფებოდა და საქმეც ამიტომ შეფერხდა. ვიზების გარეშე თურქეთში ორ კვირაზე მეტს ვერ დავრჩებოდით. 18-დღიანი შეკრება სასურველი კი იყო...

**— ანთალიაში რამდენი ფეხბურთელი წაიყვანეთ?**

— სულ 19, აქედან 15 ძველი შემადგენლობიდან და ოთხიც ჩვენთან გასინჯვაზე მყოფი.

**— და სად დაბინავდით?**

— ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „ოფოში". შარშანაც იქ ვიყავით. უწინდელივით საუკეთესო პირობებში ვცხოვრობდით. არანაირი პრობლემა არ გვქონდა. მხოლოდ ერთმა შეგვაწუხა — უამინდობამ. ჩვენი იქ ჩასვლისთანავე წვიმები დაიჭირა.

**— ამინდმა რაში შეგიშალათ ხელი?**

— საწვრთნელ პროცესში. საკონტროლო თამაშებთან ერთად ვარჯიშზეც გვინდოდა აქცენტის გაკეთება, მაგრამ ისეთი თავსხმა იყო, გარეთ ვერ გამოვდიოდით. ჩვენი იქ ყოფნისას სულ ორჯერ თუ გამოანათა მზემ. ჰო, ანთალიაში 23 იანვარს ჩავედით. მომდევნო ორი დღე, ფაქტობრივად, დავკარგეთ. ბიჭებს წვიმაში მხოლოდ კროსი ვარბენინეთ.

**— ახლა თამაშებზე გვითხარით...**

— დღეგამოშვებით მოგვიწია თამაში. 26-ში სტამბოლის „ფენდიკსფორს" შევხვდით. ეს გუნდი თურქულ უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძვის. კოკისპირულად წვიმდა. მოედანი ისე იყო დატბორილი გადაადგილებაც კი ჭირდა. უპირატესობა გვქონდა, რამდენიმე საგოლე მომენტიც შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ და საბოლოოდ 0:0 ვითამაშეთ. ჩვენი შემდეგი მეტოქე უკრაინის უმაღლესლიგელი ქალაქ მარიუპოლის „მეტალურგი" გახლდათ. ისევ წვიმასა და, თანაც, შტორმულ ქარში ვითამაშეთ. „მეტალურგი" ხუთი ყოფილი კიევის დინამოელით იყო გაძლიერებული, მაგრამ ვერაფრით გვჯობდა, თანაბარი თამაში მიდიოდა, უფრო ძალისმიერი. უკრაინელთა ერთ-ერთი მწვრთნელი მსაჯობდა და თავისი გააკეთა. ბოლო ოც წუთში წაგვაგებინა. ჯერ დათო ჯანაშია გაგვიგდო მოედნიდან, მერე ჩვენს კარში პენალტი მოიგონა. გუნდს არ ვამართლებ, მაგრამ 0:3 კი არა, საერთოდ არ ვიმსახურებდით მარცხს. ამის შემდეგ კიდევ ერთ თურქულ გუნდს, ასევე მეორელიგელ „გეფასფორს" შევხვდით. სათადარიგოთა გამოცდა გვინდოდა. თამაში დავიწყეთ და აღარ დაგვიმთავრებია, ისეთი ქარიშხალი იდგა, ფეხბურთელები ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. მერე, როგორც იქნა, გამოიდარა. 1 თებერვალს რუსეთის პირველი ლიგის ბინადარს მახაჭყალის „ანჟის" გავეჯიბრეთ. ეს ერთადერთი ნორმალურ პირობებში ჩატარებული მატჩი იყო. ბიჭებმაც კარგად ითამაშეს. დაღესტნელებს ფიზიკური მომზადებითაც ვჯობეთ და ტექნიკური არსენალითაც. იონანიძის გოლით 1:0 მოვიგეთ, თუმცა უფრო დიდი ანგარიშითაც შეიძლებოდა.

ნიგერიელი და ბოსნიელი ლეგიონერებით სავსე ბულგარეთის უმაღლესლიგელ „დობრუჯასთანაც" კარგი თამაში იყო. ამ შეხვედრაში ცოტა იღბალი რომ დაგვყოლოდა, გავიმარჯვებდით კიდეც. ისე კი, ორი ტაიმი უგოლოდ მორჩა. ერთი თამაშიც გვქონდა. ეს „დობრუჯასთან" მატჩის წინა დღეს. გერმანიაში, ბადენ-ბადენში მცხოვრებ თურქთა სამოყვარულო გუნდმა გვთხოვა გაჯიბრება და უარი აღარ ვუთხარით. წამყვანები არ დაგვიყენებია, სათადარიგონი და ახალწვეულები ვათამაშეთ. ემიგრანტ თურქებს 4:2 მოვუგეთ. მაზანაშვილმა და იმედაძემ 2-2 გაიტანეს.

**— კმაყოფილი ხართ ამ შეკრებით?**

— რა თქმა უნდა. ყველანი გამოვცადეთ საქმეში, რგოლები შევათამაშეთ და მთავარიც ეს იყო. ბიჭებმა კარგი სათამაშო პრაქტიკა მიიღეს.

**— გავიგეთ, ტორპედოელებზე ბევრ გუნდს დაუდგამს თვალი?**

— არც უამისობა იყო. იგივე მარიუპოლის და მახაჩყალის კლუბების მესვეურები გვთავაზობდნენ გარიგებებს, თანაც საკმაოდ სარფიანს, მაგრამ უარით გავისტუმრეთ. ამ ეტაპზე „ტორპედოს" დასუსტებაზე ფიქრიც ზედმეტია. ჩვენ ჩვენი საქმე გვაქვს საკეთებელი, თასზე და ჩემპიონატში თავი არ უნდა შევირცხვინოთ.

**— ახალმოსულები სტურუა, მაზანაშვილი, ახვლედიანი, კახა ჯანაშია დარჩებიან „ტორპედოში" თუ?..**

— ოთხივემ გვიან დაიწყო ჩვენთან ვარჯიში, ამ ეტაპზე ზოგი მათგანი მომზადების დონით გუნდის დანარჩენ წევრებს ვერ უტოლდება, მაგრამ დრო წინ არის. ჩათვალეთ, ისინი უკვე ტორპედოელები არიან. მხოლოდ ახვლედიანის საკითხია გასარკვევი. ჯერ ფოთის „კოლხეთიდან" არ გათავისუფლებულა.

**— კიდევ თუ დაიმატებთ ვინმეს?**

— ერთი-ორი საიმედო მოთამაშის მოყვანა ნამდვილად არ გვაწყენდა. ვნახოთ...

**— დათო ჯანაშია თურქეთში დაშავებულა, რამდენად სერიოზულად?**

— ეს ამბავი ძალიან გვაწუხებს. დათომ ერთ-ერთი თამაშისას მუხლი იტკინა, მაგრამ, ვიმედოვნებთ, ტრავმა სერიოზული არ იქნება.

**— რევაზ კვერნაძეზე და მალხაზ ასათიანზე რას იტყვით. ისინი თქვენთან ირიცხებიან, სამტრედიის „იბერიას" კი გაჰყვნენ ყირიმში?**

— კვერნაძემ, ასათიანმა, მათთან ერთად ვადაჭკორიამ, გოგოლაძემ და ფუტკარაძემ ამასწინათ „ტორპედოსთან" კონტრაქტს მოაწერეს ხელი, კლუბში ხელფასი დაენიშნათ და ვარჯიშის გარდა მათ არაფერი უნდა აწუხებდეთ. „ტორპედოს" ძირითადში მოხვედრა იოლი არ არის. ფარმკლუბი რისთვის გვყავს. მოძლიერდნენ, დაამტკიცონ რომ მთავარ გუნდში თამაშის ძალა შესწევთ და გზას არავინ გადაუღობავთ. კვერნაძეც, ასათიანიც და დანარჩენებიც ჩვენი კუთვნილებაა, არსად გაგვიშვია.

**— „გორდასთან" თასის მეოთხედფინალი კარს კი მოდგა, მაგრამ მანამდე რას აპირებთ?**

— ჯერ უბურთოდ ვარჯიში მოგვიწევს. მერე ორი საკონტროლო თამაში მაინც უნდა გავმართოთ. „სამგურალს" უკვე შევუთანხმდით.

**იუზა ძაძიტაძე**

# საქართველო თუ ბრაზილია
# ვინ ითამაშებს ტაილანდში?

ტაილანდის „მეფის თასის" გათამაშებაში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა იქნებ მაინც მიიღოს მონაწილეობა. იქნებ იმიტომ, რომ ამაში ჯერაც არა ვართ დარწმუნებულნი.

გუშინ ტაილანდიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ტურნირზე მიწვევის ოფიციალური დასტური კი მიიღეს, მაგრამ არაა გამორიცხული, აზიელებმა ამჯერადაც გვიგანონ.

საქმე ისაა, რომ 7 თებერვალს ტაილანდის ფეხბურთის ფედერაციამ ინტერნეტის საშუალებით ისეთი ინფორმაცია გაავრცელა, რომელიც სრულიად გამორიცხავს ტურნირში ქართველთა მონაწილეობას. მათ საინფორმაციო გვერდზე აი, ეს ამოვიკითხეთ: „მეფის თასის" გათამაშება 21-27 თებერვალს ჩატარდება ბანგკოკში. ტურნირში ოთხი გუნდი მიიღებს მონაწილეობას — ტაილანდი, უნგრეთი, ჩრდილოეთ კორეა და ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრები, რომელმაც სიამოვნებით მიიღო ჩვენი მოწვევა...

საინფორმაციო გვერდში საქართველო არსადაა ნახსენები.

ფეხბურთის ფედერაციაში კი დარწმუნებით ამბობენ, ორშაბათ დილით მენეჯერისგან ფაქსი მივიღეთ, ტაილანდელები გვიწვევენო. მოდი გაიგე, რა ხდება.

ჩვენ კი ჩვენებურებს დავუჯეროთ. იქნებ ტაილანდელებმა სწორედ 7-ში ღამით გადაწყვიტეს ბრაზილიელ ჭაბუკთა ნაცვლად ქართველების მიწვევა და სერვერშიც არაფერი შეუცვლიათ. ყოველ შემთხვევაში, ესეც უნდა დავუშვათ. თუ მართლაც ასეა, ხომ კარგი, მაშინ ეროვნული გუნდი ბანგკოკს სავარაუდოდ 17 თებერვალს გაფრინდება სტამბოლის გავლით, უკან კი 28 თებერვალს გამოემგზავრება.

ჩვენებურთა შემადგენლობა ჯერ უცნობია. ნაკრების თავკაც ვლადიმერ გუცაევს კანდიდატები კი შეურჩევია, მაგრამ, მისი თქმით, უცნობია ბანგკოკში ვინ შეუერთდება გუნდს, შესაძლოა კლუბებმა ლეგიონერები არ გამოუშვანო. თბილისიდან წამსვლელები კი, ალბათ, ისინი იქნებიან, ვინც ესტონელებთან მატჩისას იყოჩაღა.

და ერთიც: შეგახსენებთ, რომ ტაილანდელებმა ერთხელ უკვე გვიტეხეს პირი. ადრე მათ შემოთვალეს, ტურნირის გადადებას ვაპირებთ და ნაადრევად მოწვევისთვის ბოდიშს გიხდით, სავარაუდოდ გაზაფხულზე ხელმეორედ დაგპატიჟებთო. ვნახოთ, საბოლოო პასუხი დღეს უნდა გვაცნობონ.

**კობა ინასარიძე**

ფირმების რეგისტრაცია
აუდიტი
ოფშორული კომპანიები
☎ 93-52-34
8-77-42-20-59
რუსთაველის 19

## ინგლისი

# იორკს + კოული = სოლსკიაერს

### XXIV ტური

**ლიდსი 0:1 ნიუკასლი**
0:1 სოლანო (63)
ლიდსი: მარტინი, ჰარტი, ვუდგეიტი, რადებე, გრენვილი (ჰალე 67), ჰაალანდი, ჰოპკინი, ბოუიერი, კიუელი, უაინჰარდი (კორსტენი 67), სმიტი
ნიუკასლი: გივენი, ბარტონი, ჰოუი, შარვე, გრიფინი, სოლანო, სპიდი, ჰამანი, გლასი (ბრედი 65), ძ. ქეცბაია, საჰა (ანდერსონი 88)
გაფრთხილება: ვუდგეიტი, კიუელი, ბარტონი, სპიდი, შარვე, ჰამანი, საჰა
მსაჯი: რენი

**დერბი 2:1 ევერტონი**
0:1 ბარმბი (38), 1:1, 2:1 ბარტონი (51, 85)
დერბი: ჰოულტი, კარბონარი, დორიგო, შტიმაცი, პრაიორი, ლაურსენი (პაუელი 76), ერანიო, კერსლი, ბაიანო (ჰარპერი 76), ბარტონი, ვანჩოპე (ჰანტი 90)
ევერტონი: მირე, ბოლი, ანსუორსი (ფარლეი 46), უოტსონი, ჰაჩისონი, დაკურტი, ბარმბი, უორდი, ჯეფერსი, ბაკაიოკო, დანი
გაფრთხილება: ლაურსენი, პაუელი, დანი, უორდი, დაკურტი
მსაჯი: პოლი

**ასტონ ვილა 1:3 ბლექბერნი**
0:1 საუთგეიტი (32ს.კ.), 0:2 უორდი (62), 0:3 დანი (64), 1:3 ჯოაკიმი (69)
ასტონ ვილა: ოუქსი, რაიტი, გრეისონი, საუთგეიტი, ბერი (ტომპსონი 78), უოტსონი, ტეილორი, მერსონი, შიმეცა, დაბლინი, ჯოაკიმი
ბლექბერნი: ფილანი, დევიდსონი, მაკატირი, პიკოკი, ბრუმსი, უილკოქსი, დანი, იანსენი (დაფი 81), მაკკინლი, უორდი, სატონი
მსაჯი: ბერგი

**ტოტენჰემი 0:0 ქოვენთრი**
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, კემპბელი, იანგი, ტარიკო (შერვუდი 87), ანდერტონი, ფროინდი, ნილსენი, სინტონი, ფერდინანდი, ივერსენი (არმსტრონგი 71)
ქოვენთრი: ჰედმანი, ნილსონი, შოუ, ბრინი (ალოიზი 90), უილიამსი (კონჯიჩი 53), ფროგატი, ტელფერი, სოლტვედტი (კლემენტი 71), მაკალისტერი, ჰაკერბი, ვილანი
გაფრთხილება: იანგი, ტელფერი, მაკალისტერი, ბრინი, ვილანი
მსაჯი: ლოჯი

**ლესტერი 0:2 შეფილდი**
0:1 იონკი (48), 0:2 კარბონე (78)
ლესტერი: კელერი, ალსორნი, უოლში (სინკლერი 56), ტაგარტი (გუნლაუგსონი 56), ელიოტი, გაპი, იმპეი (ზაგორაკისი 76), ლენონი, იზეტი, კოტი, ჰესკი
შეფილდი: სრნიჩეკი, აზერტონი, უოქერი, ტომი, ჰინჩკლიფი, ალექსანდერსონი, იონკი, რუდი, სონერი, ბუსი (ჰემფრიზი 85), კარბონე
გაფრთხილება: ტაგარტი
მსაჯი: ვილარდი

**ლივერპული 3:1 მიდლსბრო**
1:0 ოუენი (9), 2:0 ჰეგემი (44), 3:0 ინსი (45), 3:1 სტამპი (86)
ლივერპული: ჯეიმსი, ჰეგემი, კარაგერი, სტონტონი, მატეო, ბიორნებიუ, მაკმანამანი, რედნაპი, ინსი, ფაულერი (რიდლე 81), ოუენი (ჟერარდი 81)
მიდლსბრო: შვარცერი, კუპერი, ვიკერსი, ფესტა (სტამპი 63), პალისტერი, გორდონი, მასტო, გესქოინი, თაუნსენდი (მედისონი 73), დინი, ბეკი
გაფრთხილება: ინსი, პალისტერი, მასტო
გაძევება: მატეო (64)
მსაჯი: ჯონსი

**ნოტინგემი 1:8 მანჩესტერი**
0:1 იორკი (2), 1:1 როჯერსი (6), 1:2, 1:3 კოული (7, 49), 1:4 იორკი (66), 1:5, 1:6, 1:7, 1:8 სოლსკიაერი (80, 87, 90, 90)
ნოტინგემი: ბიზანტი, ჰარქსი, როჯერსი, არმსტრონგი (პორფირიო 74), პალმერი, ჰილდე, ჯემილი (მეტსონი 57), ჯონსონი, სტოუნი, ვან ჰოიდონკი, დარშევილი (ფრიდმენი 25)
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, იონსენი, სტამი, ფ. ნევილი, ბექემი, კინი (სოლსკიაერი 71), სქოულზი, ბლომკვისტი (ბათი 75), კოული, იორკი (კერტისი 71)
გაფრთხილება: პორფირიო, კინი
მსაჯი: ელკოკი

**ჩელსი 1:0 საუთჰემპტონი**
1:0 ძოლა (11)
ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, დესაი, ლებეფი, ლე სო, უაიზი, მორისი, დი მატეო, ბაბაიარო (გოლდბეკი 77), ძოლა, ფლოსელი (ნიქოლზი 61)
საუთჰემპტონი: ჯონსი, ჰილი (ბრიჯი 61), დოდი, ლუნდეკვამი, კოლეტერი, ოუკლი, მერსდენი, კეჩლოული, ჰიუზი (ბრედლი 89), ბიტი, ოსტენსტადი
გაფრთხილება: დი მატეო, ოუკლი, მერსდენი
მსაჯი: ჰარისი

**ვესტ ჰემი 0:4 არსენალი**
0:1 ბერხკამპი (35), 0:2 ოვერმარსი (45), 0:3 ანელკა (83), 0:4 პარლოუ (87)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ბრიკერი (ბერკოვიჩი 46), დიქსი, ფერდინანდი, პირსი, ფოე, ლამპარდი, მინტო, სინკლერი, კიტსონი, დი კანიო
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ვინტერბერნი, ვიეირა, ადამსი, ანელკა, ბერხკამპი, ოვერმარსი, კიოუნი, პარლოუ, პეტი
გაფრთხილება: ფოე, დიქსი, ვინტერბერნი
მსაჯი: ვინტერი

**ჩარლტონი 2:0 უიმბლდონი**
1:0 პრინგლი (37), 2:0 ბლექველი (69სკ)
ჩარლტონი: როესი, მილსი, ტილერი, ბრაუნი, კონჩესკი, რობინსონი (ნიუტონი 69), რედფერნი, კინსელა, პაუელი, ჰანტი, პრინგლი
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, პერი, ბლექველი, ტეტჩერი, რობერტსი, ერდლი, კენედი, იუელი (ვუდმენი 84), კორტი (ჰიუზი 62), ჰარტსონი
გაფრთხილება: რედფერნი, ჰიუზი
მსაჯი: ელერეი

იცით 70-იანი წლების ბოლოს რომელმა კლუბმა მოიგო ზედიზედ 41 (ორმოცდაერთი) მატჩი? სანამ ამ მართლაც ფენომენალური შედეგის ავტორს გაგაცნობდეთ, ინგლისში გამართული შეხვედრები მიმოვიხილოთ.

ტრადიციულად „ნიუკასლით" დავიწყოთ. „ჯორდები" შაბათს „ლიდს იუნაიტედს" ეწვივნენ, თანაც ლიდერის ალან შირერის გარეშე და 19 სექტემბრის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვეს სტუმრად. კვლავ ძირითადში იყო თემურ ქეცბაია და შირერის არყოფნაში მშვენივრადაც ითამაშა. ერთადერთი გოლი კი პერუელმა ნოლბერტო სოლანომ გაიტანა 63-ე წუთზე.

„ჩელსიმ" „საუთჰემპტონს" უმასპინძლა და ძლივს მოუგო. საერთოდ, ლონდონელები ბოლო ხანებში კი იგებენ, მაგრამ ეტყობათ, რომ თანდათანობით უჭირთ, განსაკუთრებით აუტსაიდერებთან. რაც იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ „ჩელსი" კარგა ხნის გადავიწყებულ ჩემპიონობას წლეულს კვლავ ვერ მიაღწევს. ლიდსში გამართული მატჩის მსგავსად აქაც კინკილა ბურთი გავიდა და იგი ჯანფრანკო ძოლამ გაიტანა საჯარიმო დარტყმით.

„ეპტონ პარკზე", სადაც 1981 წელს თბილისის „დინამომ" ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ფურცელი ჩაიწერა თავის ისტორიაში, ლონდონური დერბი გაიმართა — „ვესტ ჰემმა" ჩემპიონ „არსენალს" უმასპინძლა და 18 წლის წინანდელის მსგავსად ამჯერადაც შერცხვა — 0:4 წააგო.

კრიზისიდან თავდაღწეული შარშანდელი ტრიუმფატორები წინა ლონდონური დერბის („ჩელსისთან") გმირმა დენის ბერხკამპმა დააწინაურა, ვისაც 10 წუთში თანამემამულე ოვერმარსმა აუბა მხარი და ტაიმიც 2:0 დაასრულა „მეთოფეების" სასარგებლოდ.

შესვენების შემდეგ ჰოლანდიელებს თავი აღარ გამოუჩენიათ, მაგრამ მათი საქმე ფრანგმა ყმაწვილმა ანელკამ და „არსენალის" ვეტერანმა მცველმა რეი პარლოუმაც მშვენივრად გააგრძელეს, მატჩის მიწურულს თითო-თითო შეაგდეს და არსენ ვენგერიც გაახარეს.

— სეზონის დასაწყისში ცოტა გაგვიჭირდა და ხალხმაც ჩემთვის არასასიამოვნო და მიუღებელი საუბარი დაიწყო „არსენალის" ღრმა კრიზისზე. მაგრამ ცოტა ადრე მოუვიდათ. ერთადერთი მიზანი, რომელიც მე დასახული მაქვს, არაფრით განსხვავდება შარშანდელისგან — ვენგერმა რებუსებით აუხსნა ჟურნალისტებს, რომ კვლავ ჩემპიონობა სურს.

ზუსტად იგივე სურვილი და ზღვა ამბიციები გააჩნდა ცოტა ხნის წინ ჯონ გრეგორის, „ასტონ ვილას" ახალგაზრდა მწვრთნელს, თუმცა დღესდღეობით ინგლისში სანთლით საძებარია კაცი, ვინც იტყვის — „ვილა" პირველი იქნებაო.

შაბათს ბირმინგემელებმა ზედიზედ მესამე შეხვედრა დათმეს, ამჯერად შინ, აშკარად მოღონიერებულ „ბლექბერნთან". ამ შეხვედრაში ტურის, ალბათ, ულამაზესი გოლი გავიდა, ოღონდ მასპინძელთა სამწუხაროდ, გარეტ საუთგეიტმა იგი საკუთარ კარში გაიტანა. ასე გაიხსნა ანგარიში, ამას ეშლი უორდის და დევიდ დანის გოლები მოჰყვა და ტანმორჩილ ჯულიან ჯოაკიმს რომ არ ეყოჩაღა, „ასტონ ვილა" მთლად სამარცხვინოდ წააგებდა.

სადაც სირცხვილზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, იქ ნოტინგემი უნდა ვახსენოთ. სახელგანთქმული რონ ატკინსონი, ალბათ, თავში ხელებს ირტყამს, ეს რა ვქენი, რა მინდოდა „ფორესტში", ვყოფილიყავი ჩემთვის ძველებურად „დროებით უმუშევარიო".

პრემიერლიგაში 8:1 სტუმრად ჯერ არავის მოუგია. საერთოდ, ეს ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება გახლავთ 1995 წლის შემდეგ, როდესაც იმავე „მანჩესტერმა" 9:0 გაანადგურა „იფსვიჩ თაუნი"...

მატჩის 71-ე წუთზე, ანგარიში 4:1 რომ იყო სტუმრების სასარგებლოდ (ორი კოულმა შეაგდო, ორიც იორკმა და ბომბარდირთა სიას დამსახურებულად მოექცა თავში), ალექს ფერგიუსონმა როი კინი ნორვეგიელი ახალგაზრდა ოლე გუნარ სოლსკიაერით შეცვალა. ამ ბიჭზე ცალკე და უფრო ვრცლად „სარბიელის" ხვალინდელ ნომერში ვისაუბრებთ და აი რატომ — ოლე გუნარმა 12 წუთში ოთხი გოლი გაიტანა!

— აბა, რა უნდა ვთქვა, ისეთივე გაოცებული ვარ, როგორც თქვენ — ეუბნებოდა მატჩის მერე ინგლისურ მეოთხე ხელისუფლებას ფერგიუსონი — რომ გაიტანდა, გული მიგრძნობდა, მაგრამ ოთხჯერ? ასეთი რამ ძალიან იშვიათად ხდება, ძალიან.

ერთი სიტყვით, ხვალ სოლსკიაერს უკეთესად გაგაცნობთ, მით უმეტეს, მას საქართველოსთან გარკვეული კავშირი აქვს და ექნება.

ასეთი იყო პრემიერლიგის მორიგი ტური, რომელმაც ბევრი რამ გაარკვია. მაგალითად ის, რომ „ასტონ ვილა" ჩემპიონი, ალბათ, ველარ გახდება, რომ „არსენალი" ისევ დიდი ძალაა და არაა გამორიცხული, კვლავ დალაშქროს შარშან დაპყრობილი მწვერვალი, რომ „მენიუს" ძალიან კარგი შეტევა ჰყავს და რომ „ნოტინგემ ფორესტი" წლეულს იქ დაბრუნდება, საიდანაც შარშან ამოყვინთა პრემიერლიგაში.

ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა ჩვენი მინი-ვიქტორინის კითხვაზე პასუხის გაცემა. აი, ისიც — 70-იანი წლების ბოლოს ზედიზედ 41 მატჩი „ნოტინგემ ფორესტმა" მოიგო.

**დავით ქოვზირიძე**



REUTERS ლონდონიდან

ვესტ ჰემი — არსენალი 0:4. ნიკოლა ანელკა (მარცხნივ) ტიმ ბრიკერის და რიო ფერდინანდის მოტყუებას ცდილობს

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 25 | 14 | 8 | 3 | 59:27 | +32 | 50 | 13 | 9 | 3 | 1 | 32:13 | +19 | 30 | 12 | 5 | 5 | 2 | 27:14 | +13 | 20 |
| 2 | ჩელსი | 24 | 12 | 10 | 2 | 35:19 | +16 | 46 | 12 | 8 | 4 | 0 | 18:6 | +12 | 28 | 12 | 4 | 6 | 2 | 17:13 | +4 | 18 |
| 3 | არსენალი | 24 | 12 | 9 | 3 | 28:11 | +17 | 45 | 12 | 7 | 5 | 0 | 16:4 | +12 | 26 | 12 | 5 | 4 | 3 | 12:7 | +5 | 19 |
| 4 | ასტონ ვილა | 24 | 12 | 7 | 5 | 36:25 | +11 | 43 | 12 | 8 | 2 | 2 | 23:15 | +8 | 26 | 12 | 4 | 5 | 3 | 13:10 | +3 | 17 |
| 5 | ლივერპული | 24 | 11 | 5 | 8 | 47:29 | +18 | 38 | 12 | 7 | 3 | 2 | 31:14 | +17 | 24 | 12 | 4 | 2 | 6 | 16:15 | +1 | 14 |
| 6 | დერბი | 25 | 9 | 10 | 6 | 25:22 | +3 | 37 | 12 | 5 | 5 | 2 | 13:10 | +3 | 20 | 13 | 4 | 5 | 4 | 12:12 | 0 | 17 |
| 7 | ლიდსი | 24 | 9 | 9 | 6 | 36:24 | +12 | 36 | 12 | 7 | 3 | 2 | 20:6 | +14 | 24 | 12 | 2 | 6 | 4 | 16:18 | -2 | 12 |
| 8 | უიმბლდონი | 24 | 9 | 8 | 7 | 29:35 | -6 | 35 | 12 | 7 | 4 | 1 | 18:11 | +7 | 25 | 12 | 2 | 4 | 6 | 11:24 | -13 | 10 |
| 9 | ვესტ ჰემი | 24 | 9 | 6 | 9 | 25:35 | -10 | 33 | 12 | 6 | 3 | 3 | 16:18 | -2 | 21 | 12 | 3 | 3 | 6 | 9:17 | -8 | 12 |
| 10 | მიდლსბრო | 24 | 7 | 11 | 6 | 33:31 | +2 | 32 | 12 | 4 | 7 | 1 | 16:10 | +6 | 19 | 12 | 3 | 4 | 5 | 17:21 | -4 | 13 |
| 11 | ტოტენჰემი | 24 | 7 | 10 | 7 | 29:31 | -2 | 31 | 12 | 5 | 5 | 2 | 19:16 | +3 | 20 | 12 | 2 | 5 | 5 | 10:15 | -5 | 11 |
| 12 | ნიუკასლი | 24 | 8 | 7 | 9 | 29:32 | -3 | 31 | 12 | 6 | 2 | 4 | 16:15 | +1 | 20 | 12 | 2 | 5 | 5 | 13:17 | -4 | 11 |
| 13 | ლესტერი | 24 | 7 | 9 | 8 | 25:29 | -4 | 30 | 12 | 5 | 3 | 4 | 17:18 | -1 | 18 | 12 | 2 | 6 | 4 | 8:11 | -3 | 12 |
| 14 | შეფილდი | 24 | 8 | 5 | 11 | 27:23 | +4 | 29 | 12 | 5 | 3 | 4 | 13:7 | +6 | 18 | 12 | 3 | 2 | 7 | 14:16 | -2 | 11 |
| 15 | ბლექბერნი | 24 | 6 | 7 | 11 | 25:31 | -6 | 25 | 12 | 5 | 3 | 4 | 14:12 | +2 | 18 | 12 | 1 | 4 | 7 | 11:19 | -8 | 7 |
| 16 | ქოვენთრი | 24 | 6 | 6 | 12 | 23:32 | -9 | 24 | 12 | 5 | 4 | 3 | 17:13 | +4 | 19 | 12 | 1 | 2 | 9 | 6:19 | -13 | 5 |
| 17 | ევერტონი | 24 | 5 | 9 | 10 | 14:27 | -13 | 24 | 12 | 2 | 7 | 3 | 3:6 | -3 | 13 | 12 | 3 | 2 | 7 | 11:21 | -10 | 11 |
| 18 | საუთჰემპტონი | 24 | 5 | 5 | 14 | 23:47 | -24 | 20 | 12 | 4 | 2 | 6 | 18:21 | -3 | 14 | 12 | 1 | 3 | 8 | 5:26 | -21 | 6 |
| 19 | ჩარლტონი | 24 | 4 | 8 | 12 | 28:37 | -9 | 20 | 12 | 3 | 4 | 5 | 17:13 | +4 | 13 | 12 | 1 | 4 | 7 | 11:24 | -13 | 7 |
| 20 | ნოტინგემი | 24 | 3 | 7 | 14 | 20:49 | -29 | 16 | 12 | 1 | 6 | 5 | 10:21 | -11 | 9 | 12 | 2 | 1 | 9 | 10:28 | -18 | 7 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| იორკი (მანჩესტერი) | 15 |
| ოუენი (ლივერპული) | 14 |
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 12 |

### XXV ტური
13 თებერვალი

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა | ლიდსი |
| ჩელსი | ბლექბერნი |
| ჩარლტონი | ლივერპული |
| ევერტონი | მიდლსბრო |
| ლესტერი | დერბი |
| მანჩესტერი | არსენალი |
| ნიუკასლი | ქოვენთრი |
| შეფილდი | უიმბლდონი |
| ტოტენჰემი | საუთჰემპტონი |
| ვესტ ჰემი | ნოტინგემი |

## პირველი დივიზიონი

### XXXI ტური

**ბარნსლი 2:2 ქრიუ**
0:1, 0:2 ჯეკი (27, 70), 1:2 ტინკლერი (72), 2:2 დე ზეუვი (75)

**ბრედფორდი 2:0 უოტფორდი**
1:0 მაკკოლი (9), 2:0 მილსი (63)

**ბერი 0:3 იფსვიჩი**
0:1 ვენუსი (50პ), 0:2 მოუბრეი (70), 0:3 ჰერვუდი (77)

**კრისტალ პალასი 1:1 ბირმინგემი**
0:1 ფარლონგი (50პ), 1:1 როვეტი (90ს.კ.)

**გრიმსბი 0:1 ბოლტონი**
0:1 ჰოლდსვორსი (54)

**ნორვიჩი 0:2 სტოკპორტი**
0:1 ეინჯელი (9), 0:2 უილსონი (36ს.კ.)

**პორტ ვეილი 2:0 ჰადერსფილდი**
1:0, 2:0 ფოილი (22, 33)

**პორტსმუთი 1:1 ტრანმერი**
1:0 უაიტინგემი (17), 1:1 ტეილორი (44)

**შეფილდ იუნ. 3:0 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 მორისი (28), 2:0, 3:0 მარსელო (36, 50)

**სანდერლენდი 2:0 სვინდონი**
1:0 ქუინი (28), 2:0 ფილიპსი (30)

**ვულვზი 1:1 ოქსფორდი**
1:0 კინი (36), 1:1 უინდასი (39)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 30 | 18 | 9 | 3 | 62:21 | 63 |
| ბრედფორდი | 30 | 17 | 5 | 8 | 55:32 | 56 |
| ბოლტონი | 29 | 15 | 10 | 4 | 54:33 | 55 |
| იფსვიჩი | 30 | 16 | 6 | 8 | 41:19 | 54 |
| ბირმინგემი | 30 | 15 | 8 | 7 | 46:28 | 53 |
| უოტფორდი | 31 | 13 | 10 | 8 | 46:41 | 49 |
| გრიმსბი | 30 | 14 | 6 | 10 | 34:31 | 48 |
| ვესტ ბრომვიჩი | 31 | 13 | 7 | 11 | 53:48 | 46 |
| ვულვზი | 30 | 12 | 9 | 9 | 40:30 | 45 |
| შეფილდ იუნ. | 30 | 12 | 8 | 10 | 47:47 | 44 |
| ჰადერსფილდი | 30 | 12 | 7 | 11 | 42:49 | 43 |
| ნორვიჩი | 29 | 11 | 9 | 9 | 43:41 | 42 |
| ბარნსლი | 30 | 9 | 11 | 10 | 39:38 | 38 |
| კრ. პალასი | 30 | 9 | 9 | 12 | 42:52 | 36 |
| სვინდონი | 30 | 9 | 8 | 13 | 40:48 | 35 |
| ტრანმერი | 30 | 7 | 14 | 9 | 38:42 | 35 |
| სტოკპორტი | 30 | 7 | 12 | 11 | 36:39 | 33 |
| ქუინზ პარკი | 30 | 8 | 9 | 13 | 32:39 | 33 |
| პორტსმუთი | 30 | 7 | 10 | 13 | 37:46 | 31 |
| ბერი | 30 | 7 | 10 | 13 | 27:42 | 31 |
| ოქსფორდი | 30 | 7 | 8 | 15 | 31:52 | 29 |
| პორტ ვეილი | 30 | 8 | 4 | 18 | 31:53 | 28 |
| ბრისტოლი | 30 | 5 | 12 | 13 | 40:57 | 27 |
| ქრიუ | 30 | 5 | 7 | 18 | 34:62 | 22 |

## იტალია

### XX ტური

**ფიორენტინა 0:0 მილანი**

ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, ფალკონე, რეპკა, ჰაინრიხი, ტორიჩელი, კოისი (რობიატი 74), რუი კოშტა, ფიჩინი, ედმუნდო, ბატისტუტა (ამორი 89)
მილანი: აბიატი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, გულიელმინპიეტრო, ალბერტინი, ამბროზინი (ნგოტი 88), ციგე, მორფეო (ბობანი 57), ბირჰოფი, ვეა
გაფრთხილება: რეპკა, კოსტაკურტა, ამბროზინი, ჰაინრიხი
მსაჯი: ტრენტალანგი

**ინტერი 5:1 ემპოლი**

1:0 რ. ბაჯო (6), 2:0 სიმეონე (17), 3:0 ჯორკაეფი (35პ), 3:1 კარპარელი (57), 4:1, 5:1 ჯორკაეფი (76, 90)
ინტერი: პალიუკა, ვესტი, სიმიჩი, კოლონეზე, ძანეტი, ვინტერი (ზე ელიასი 55), სიმეონე, მილანეზე (პირლო 67), ჯორკაეფი, ვენტოლა (სინიგალია 80), რ. ბაჯო
ემპოლი: სერენი, კუპი (კრიბარი 28), ბალდინი, ბიანკონი (კამარა 69), ტონეტო, კარპარელი, პანე, მორონე (გრელა 46), ბიზოლი, ბონომი, ჩერბონე
გაფრთხილება: ბალდინი, ვენტოლა
გაძევება: კრიბარი (73)
მსაჯი: ტომბოლინი

**ბოლონია 3:1 ბარი**

0:1 კნუდსენი (6), 1:1 სინიორი (37), 2:1 კ. ანდერსონი (47), 3:1 კოლივანოვი (92)
ბოლონია: ანტონიოლი, ლუჩიჩი, ბოზელი (ფონტოლანი 30), მანგონე, ბინოტო, მაინი, ინგესონი, მაროკი, ბეტარინი, კ. ანდერსონი (კოლივანოვი 78), სინიორი
ბარი: მანჩინი, ნექროიზი, გარსია, ინოჩენტი, დე აშენტისი (ოლივარესი 20, ოსმანოვსკი 73), ძამბროტა, ბრესანი, დ. ანდერსონი, მარკოლინი, მასინგა, კნუდსენი (მადსენი 63)
გაფრთხილება: ბეტარინი, ინოჩენტი, ბრესანი, სინიორი, კ. ანდერსონი
გაძევება: დ. ანდერსონი (59)
მსაჯი: ჩეზარი

# სამი სკუდეტო მეტისმეტია

**იუვენტუსი 2:4 პარმა**

1:0 ტაკინარდი (14), 1:1 კრესპო (35), 1:2 კიეზა (39), 1:3, 1:4 კრესპო (40, 58), 2:4 ფონსეკა (72)
იუვენტუსი: პერუცი, მირკოვიჩი, იულიანო, მონტერო (ანრი 57), პესოტო (ტუდორი 15), დი ლივიო, ტაკინარდი, ზიდანი, დავიდსი, ფონსეკა, ესნაიდერი (კონტე 57)
პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, ფუზერი, ვერონი (ბალბო 75), ფიორე, დ. ბაჯო, ბენარივო, კიეზა (სტანიჩი 58), კრესპო (მუსი 86)
გაფრთხილება: კიეზა, ტაკინარდი, ანრი
მსაჯი: ბოჯი

**ლაციო 3:0 პერუჯა**

1:0 ვიერი (42), 2:0, 3:0 სალასი (48, 76)
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, მიხაილოვიჩი, ფავალი, ლომბარდო (ნედვედი 63), მანჩინი, ალმეიდა, კონსეისაო, ვიერი, სალასი
პერუჯა: მაცანტინი, სოლანო, მატრეკანო, რიპა, კოლონელო, პეტრაკი (ტენტონი 46), ოლივე, ლეჰკოსუო, რაპაიჩი (ბუკი 46), ნაკატა, კავიედესი
გაფრთხილება: მაცანტინი, სოლანო
მსაჯი: ბოლონინო

**სალერნიტანა 1:2 უდინეზე**

0:1 ლოკატელი (39), 0:2 ამოროზო (46), 1:2 პიერინი (47 ს.კ.)
სალერნიტანა: ბალი, ბოლიჩი, ფუსკო, ფრეზი, დელ გროსო, მ. როსი (ბრედა 58), გატუზო (კოლოუსეკი 82), ბერნარდინი, ტოსტო (დი მიკელე 70), დი ვაიო, ჯამპაოლო
უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ჟენო, ჯანიკედა, აპია, ბაკინი (ნავასი 89), ლოკატელი (ძანკი 96), სოსა, ამოროზო (იორგენსენი 83)
გაფრთხილება: დელ გროსო, კალორი, გატუზო, ჯამპაოლო
მსაჯი: ფარინა

**სამპდორია 0:0 კალიარი**

სამპდორია: ფერონი, ბალერი (საკიჩი 93), ლასისი, ფრანჩესკეტი, გრანდონი, კასტელინი, პეკია, ორტეგა, დორივა, მონტელა (ჯაკოპინო 86), პალმიერი
კალიარი: ფრანცონე, ძებინა, ძანონჩელი, ვილა, მაცეო (კალონი 77), ბერეტა, ძანეტი, დე პატრე (კავეცი 69), მაკელარი, ონილი, მუცი
გაფრთხილება: ვილა, მაკელარი, ორტეგა, ძანეტი, გრანდონი
გაძევება: ფრანჩესკეტი (73), ორტეგა (85)
მსაჯი: დე სანტისი

**ვენეცია 3:1 რომა**

1:0 რეკობა (1), 2:0 მანიერო (48), 3:0 ბალარინი (66), 3:1 დი ბიაჯო (68)
ვენეცია: ტაიბი, ბრიოსკი, პავანი, ბილიკა, დალ კანტო, კარნაშალი (ბალარინი 64), იაკინი, ვოლპი, პედონე (დე კეჩო 91), რეკობა (მიკელი 78), მანიერო
რომა: კიმენტი, კაფუ, ძაგო, ალდაირი, კანდელა, ტომაზი (ალეინიჩევი 78), დი ბიაჯო, დი ფრანჩესკო, პაულუ სერჟიო (დელვეკიო 58), ფაბიო ჟუნიორი, ტოტი
გაფრთხილება: დალ კანტო, მანიერო, ბილიკა, კანდელა, დი ბიაჯო
მსაჯი: ტრეოსი

**ვიჩენცა 1:0 პიაჩენცა**

1:0 ამბროზეტი (10)
ვიჩენცა: ბრივიო, სტოვინი, მარკო აურელიო, დიჩარა, სკენარდი, დაბო, დი კარლო (ვივიანი 81), ბეგეტო (კარდონე 46), ოტერო, ნეგრი, ამბროზეტი (ძაული 55)
პიაჩენცა: ფიორი, საკეტი, დელი კარი, ვერხოვოდი, მანიგეტი (ს. ინძაგი 71), პოლონია, კრისტალინი (ბუზო 49), მაცოლა, სტრომპა, რასტელი (პიოვანი 15), დიონიჯი
გაფრთხილება: დაბო, კარდონე, დიონიჯი, ოტერო, პიოვანი, საკეტი
გაძევება: დელი კარი (39)
მსაჯი: ბეტინი

„თუ „იუვენტუსის“ მთავარი პრობლემა მე ვარ, ინებეთ განცხადება გადადგომის შესახებ. ვნახოთ, როგორ ითამაშებს გუნდი ლიპის გარეშე“ — განაცხადა მაესტრომ.

არგენტინელი ერნან კრესპოს ჰეთ-თრიკმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა — ტურინელებს ზედიზედ მესამე სკუდეტოს მოგება არ ხელეწიფებათ. კვირას „დელე ალპიზე“ იმედი და ოცნება დასამარდა. სიმბოლურია: რაც „პარმა“ იტალიის უძლიერეს გუნდთა მარაქაში გაერია, ცხრაჯერ ეწვია ტურინს და პირველად გაიმარჯვა.

არადა, თითქოს... თავიდან ანგარიში ხომ ალესიო ტაკინარდიმ გახსნა. მისი შორეული, ასე 30 მეტრიდან დარტყმული ბურთი სტუმართა კარში შევარდა, მაგრამ სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. სანამ მსაჯი პირველ ტაიმს დაამთავრებდა, ორჯერ კრესპომ და ერთხელ ენრიკო კიეზამ ტაბლოზე დაწერეს ის, რისი დანახვაც წარმატებებით განებივრებული გულშემატკივრისთვის ასე უსიამოვნო გახლდათ — 1:3.

შესვენების მერე, მოედანზე დაბრუნებულმა მეტოქეებმა განაახლეს თუ არა თამაში, კრესპომ მესამედ მიაღწია საწადელს.

„იუვენტუსის“ შავი კვირა 72-ე წუთზე მკრთალად შელამაზდა — ურუგვაელმა დანიელ ფონსეკამ „პარმას“ მეკარესთან, ჯანლუიჯი ბუფონთან შეჯახება გოლით დასრულდა.

ამიერიდან „იუვენტუსს“ მთელი ყურადღების ჩემპიონთა თასზე გადატანა მოუწევს. იტალიის ჩემპიონობაზე ფიქრს აზრი აღარ აქვს. დღეს იტალიის ყველაზე მრავალსკუდეტოიან გუნდს ლიდერისგან, „ფიორენტინასგან“ 15 ქულა აშორებს.

არადა, შეიძლებოდა მათ შორის სხვაობა 17 ქულა ყოფილიყო, მაგრამ ეს უკვე ფლორენციელებს უნდა მოვკითხოთ. მათ, მართალია, შინ დაუმარცხებელი სვლა განაგრძეს, მაგრამ არ მოუგიათ. ფრედ ითამაშეს.

„ფიორენტინას“ მოწინააღმდეგე „მილანი“ გახლდათ, გუნდი, რომელმაც ბოლო დროს საგრძნობლად უმატა თამაშს და ეს ცხრილზეც ნათლად აისახება — მესამე ადგილზეა. რაც შეეხება „ფიორენტინას“, მისთვის რა უფრო სამწუხარო იყო, ქულის თუ არგენტინელი თავდამსხმელის, გაბრიელ ბატისტუტას დაკარგვა, ნამდვილად საკითხავია. დიახ, მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ფლორენციელთა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, რომ მრისხანე ფორვარდის მუხლმა მას შეიძლება 40 უბურთო დღე გაატარებინოს. ლიდერთა ტიფოზები მაინც არ კარგავენ იმედს, რომ ბატიგოლის საფუძვლიანი, კლინიკური შემოწმების შემდეგ გაცილებით მსუბუქ დიაგნოზს მოისმენენ. აბა, რა გამოდის, ბატისტუტა დაშავებულია, დაშავებულია ბელგიელი ლუის ოლივეირაც, ხოლო ბრაზილიელი ვარსკვლავი ედმუნდო კვირას რიო დე ჟანეიროში გადაფრინდა, კარნავალს უნდა დაესწროო. ბუნებრივია, ედმუნდო უნებართვოდ არ გამგზავრებულა სამშობლოში, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, გუნდი მხოლოდ ადგილობრივი ფეხბურთელების ამარა ხომ არ დარჩება, ჯერ ერთი წააგებს, მეორეც სირცხვილია ამ გაგანია ინტეგრაციის ეპოქაში.

მეტიც, „ფიორენტინამ“ კინაღამ წააგო. მილანელ ლიბერიელს, ჟორჟ ვეას ერთი სანტიმეტრით ზუსტად რომ დაერტყა და ბურთი ძელს არ მოხვედროდა, განა ფრანჩესკო ტოლდოს მიერ მოგერიებულ სხვა დარტყმებს არ დაეკარგებოდა ფასი? თუმცა ერთხელ ძელს ედმუნდომაც მოარტყა.

მეორე ადგილზე მყოფმა „ლაციომ“ „პერუჯას“ 3:0 მოუგო და ზედიზედ მეცხრე გამარჯვება მოიპოვა. თავიდან ასე იყო: არგენტინელმა მატიას ალმეიდამ 30-ე წუთზე კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი და სალვატორე მატრეკანოს „პერუჯას“ სასარგებლოდ ანგარიშის გახსნის საშუალება არ მისცა. მერე კი ყველაფერი ლოგიკურად განვითარდა: პირველი ტაიმის მიწურულს ჯერ ჩილელმა მარსელო სალასმა იხსნა ოფსაიდისგან თავი და კრისტიან ვიერის გოლის გატანის საშუალება მისცა, ეს გახლდათ ვიერის მეექვსე გოლი რვა შეხვედრაში, სამი წუთის შემდეგ სალასმა თავად შეაგდო მეორე გოლი, მეორე ტაიმის შუაში კი მანვე რობერტო მანჩინის პასით კიდევ ერთხელ დალაშქრა პროვინციელთა კარი.

„ინტერმა“ „ემპოლის“ ყოველგვარი დაძაბვის გარეშე აჯობა და თან შთამბეჭდავად — 5:1 შეხვედრა სულ ახალი დაწყებული იყო, როდესაც რობერტო ბაჯომ უზადოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ანგარიში გახსნა. მერე არგენტინელმა დიეგო სიმეონემ თავურით გაზარდა სხვაობა, ერთი ხნის მერე იური ჯორკაეფმა პენალტით გაასამა, შესვენების შემდეგ კი მონაგარს კიდევ ორი დაამატა. ჯორკაეფის მიერ მეორე ტაიმში გატანილ გოლებამდე ემპოლელმა მარკო კარპარელიმ სტუმართა ერთადერთი პასუხის გაცემა მოახერხა.

„უდინეზემ“ სალერნოში იმარჯვა. ანგარიში თავური დარტყმით ტომაზო ლოკატელიმ გახსნა, ბრაზილიელმა მარსელო ამორუზომ კი მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე ერთს ერთი დაამატა. შეხვედრის მესამე გოლიც უდინელებმა გაიტანეს: ალესანდრო პიერინიმ საკუთარი კარი დალაშქრა. ისე, გოლის გატანის საშუალება „სალერნიტანას“ ფეხბურთელს ანტონიო ბერნარდინისაც მიეცა, მაგრამ მან პენალტით ვერ ისარგებლა.

„ვენეციამ“ 1949-50 წლების სეზონის მერე პირველად მოუგო „რომას“.

**პაპუნა ძედია**

REUTERS ტურინიდან



იუვენტუსი — პარმა 2:4. მასპინძელი ანრი სტუმარი ფუზერის ჩამოტოვებას ლამობს

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ფიორენტინა | 20 | 13 | 3 | 4 | 37:18 | +19 | 42 | 11 | 10 | 1 | 0 | 24:4 | +20 | 31 | 9 | 3 | 2 | 4 | 13:14 | -1 | 11 |
| 2 | ლაციო | 20 | 12 | 5 | 3 | 43:21 | +22 | 41 | 10 | 7 | 3 | 0 | 27:9 | +18 | 24 | 10 | 5 | 2 | 3 | 16:12 | +4 | 17 |
| 3 | პარმა | 20 | 10 | 7 | 3 | 37:19 | +18 | 37 | 10 | 6 | 3 | 1 | 18:7 | +11 | 21 | 10 | 4 | 4 | 2 | 19:12 | +7 | 16 |
| 4 | მილანი | 20 | 10 | 7 | 3 | 31:23 | +8 | 37 | 10 | 7 | 2 | 1 | 20:11 | +9 | 23 | 10 | 3 | 5 | 2 | 11:12 | -1 | 14 |
| 5 | ინტერი | 20 | 10 | 4 | 6 | 42:27 | +15 | 34 | 10 | 8 | 0 | 2 | 33:14 | +19 | 24 | 10 | 2 | 4 | 4 | 9:13 | -4 | 10 |
| 6 | უდინეზე | 20 | 8 | 6 | 6 | 26:28 | -2 | 30 | 10 | 5 | 4 | 1 | 14:8 | +6 | 19 | 10 | 3 | 2 | 5 | 12:20 | -8 | 11 |
| 7 | რომა | 20 | 7 | 7 | 6 | 39:30 | +9 | 28 | 10 | 7 | 3 | 0 | 25:7 | +18 | 24 | 10 | 0 | 4 | 6 | 14:23 | -9 | 4 |
| 8 | ბოლონია | 20 | 7 | 7 | 6 | 25:19 | +6 | 28 | 11 | 4 | 4 | 3 | 17:12 | +5 | 16 | 9 | 3 | 3 | 3 | 8:7 | +1 | 12 |
| 9 | იუვენტუსი | 20 | 7 | 6 | 7 | 22:23 | -1 | 27 | 10 | 6 | 2 | 2 | 13:7 | +6 | 20 | 10 | 1 | 4 | 5 | 9:16 | -7 | 7 |
| 10 | ბარი | 20 | 5 | 10 | 5 | 25:26 | -1 | 25 | 10 | 4 | 5 | 1 | 11:8 | +3 | 17 | 10 | 1 | 5 | 4 | 14:18 | -4 | 8 |
| 11 | კალიარი | 20 | 7 | 3 | 10 | 30:33 | -3 | 24 | 10 | 6 | 2 | 2 | 20:12 | +8 | 20 | 10 | 1 | 1 | 8 | 10:21 | -11 | 4 |
| 12 | ვენეცია | 20 | 5 | 7 | 8 | 18:27 | -9 | 22 | 10 | 4 | 4 | 2 | 11:9 | +2 | 16 | 10 | 1 | 3 | 6 | 7:18 | -11 | 6 |
| 13 | პერუჯა | 20 | 6 | 4 | 10 | 26:36 | -10 | 22 | 10 | 6 | 2 | 2 | 20:14 | +6 | 20 | 10 | 0 | 2 | 8 | 6:22 | -16 | 2 |
| 14 | პიაჩენცა | 20 | 4 | 7 | 9 | 25:33 | -8 | 19 | 9 | 4 | 4 | 1 | 18:13 | +5 | 16 | 11 | 0 | 3 | 8 | 7:20 | -13 | 3 |
| 15 | ვიჩენცა | 20 | 4 | 7 | 9 | 11:25 | -14 | 19 | 10 | 4 | 4 | 2 | 8:9 | -1 | 16 | 10 | 0 | 3 | 7 | 3:16 | -13 | 3 |
| 16 | სამპდორია | 20 | 3 | 8 | 9 | 17:35 | -18 | 17 | 10 | 3 | 6 | 1 | 11:8 | +3 | 15 | 10 | 0 | 2 | 8 | 6:27 | -21 | 2 |
| 17 | სალერნიტანა | 20 | 4 | 4 | 12 | 18:34 | -16 | 16 | 10 | 4 | 3 | 3 | 13:12 | +1 | 15 | 10 | 0 | 1 | 9 | 5:22 | -17 | 1 |
| 18 | ემპოლი* | 20 | 3 | 8 | 9 | 17:33 | -16 | 15 | 9 | 3 | 3 | 3 | 10:12 | -2 | 12 | 11 | 0 | 5 | 6 | 7:21 | -14 | 5 |

*„ემპოლის“ დაკლებული აქვს ორი ქულა

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 18 |
| კრესპო (პარმა) | 14 |
| მუცი (კალიარი) | 12 |
| სინიორი (ბოლონია) | 12 |

### XXI ტური

14 თებერვალი

ბარი - ვიჩენცა
კალიარი - ლაციო
ემპოლი - სალერნიტანა
მილანი - ვენეცია
პარმა - ბოლონია
პერუჯა - ინტერი
პიაჩენცა - იუვენტუსი
რომა - სამპდორია
უდინეზე - ფიორენტინა

## სერია B

### XXI ტური

**კრემონეზე 2:2 რეჯანა**

0:1 მარჯოტა (22), 1:1, 2:1 ბრნჩიჩი (31, 66), 2:2 პროტი (95 პ)
რეჯანა: პანტანელი, კერუბინი (პანიკა 67), კევოლი, პონცო, ძინი, ბრეშიანი (ნემსაძე 55), კარბონე, კაპელაჩი, მასპერო, მარჯოტა, პროტი

**ლეჩე 3:1 ჯენოა**

1:0 პეკორარი (8 ს.კ.), 2:0 კასალე (27), 3:0 სტელონე (36), 3:1 ფრანკიოზო (47)

**მონცა 1:1 რეჯინა**

0:1 ფირმანი (45), 1:1 კლემენტინი (76)

**ნაპოლი 2:0 პესკარა**

1:0 ბელუჩი (11), 2:0 ტურინი (84)

**რავენა 1:0 ტორინო**

1:0 სოტია (85)

**ტერნანა 2:0 კოზენცა**

1:0, 2:0 ბუონოკორე (33, 54)

**ტრევიზო 0:0 ჩეზენა**

**ვერონა 4:0 ლუკეზე**

1:0 მარასკო (37), 2:0 ბროსკი (70), 3:0 გუიდონი (79), 4:0 მელიზი (87)

**ატალანტა 1:1 კიევო**

0:1 ძანკეტა (78 პ), 1:1 კოლომბო (92)

**ბრეშა 0:0 ფ. ანდრია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 21 | 13 | 5 | 3 | 36:15 | 44 |
| ტრევიზო | 21 | 10 | 9 | 2 | 33:20 | 39 |
| ლეჩე | 21 | 11 | 6 | 4 | 28:16 | 39 |
| ტორინო | 21 | 11 | 4 | 6 | 32:18 | 37 |
| რავენა | 21 | 9 | 7 | 5 | 28:24 | 34 |
| ბრეშა | 21 | 8 | 9 | 4 | 23:15 | 33 |
| რეჯინა | 21 | 8 | 8 | 5 | 24:19 | 32 |
| პესკარა | 21 | 9 | 5 | 7 | 28:24 | 32 |
| ატალანტა | 21 | 8 | 7 | 6 | 21:18 | 31 |
| ნაპოლი | 21 | 7 | 9 | 5 | 20:18 | 30 |
| მონცა | 21 | 7 | 7 | 7 | 18:20 | 28 |
| კიევო | 21 | 6 | 7 | 8 | 20:25 | 25 |
| ჯენოა | 21 | 6 | 6 | 9 | 25:28 | 24 |
| კოზენცა | 21 | 6 | 5 | 10 | 20:31 | 23 |
| ტერნანა | 21 | 4 | 10 | 7 | 19:26 | 22 |
| ლუკეზე | 21 | 4 | 8 | 9 | 17:22 | 20 |
| რეჯანა | 21 | 3 | 9 | 9 | 21:28 | 18 |
| ჩეზენა | 21 | 3 | 8 | 10 | 15:25 | 17 |
| კრემონეზე | 21 | 3 | 7 | 11 | 20:39 | 16 |
| ფ. ანდრია | 21 | 3 | 6 | 12 | 13:30 | 15 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ესპანეთი

XXI ტური

### ესტრემადურა 1:2 ბარსელონა

1:0 დურე (20), 1:1 ლუის ენრიკე (29), 1:2 კლუივერტი (82)
ესტრემადურა: ამადორი, დავიდი, კალა, ბელენგერი, ფელიქსი, ოსკარი, პოლი, ესპოზიტო, ტონი ველამასანი (პედრო ხოსე 68), დურე (უატარა 84), გაბრიჩი (მანუელი 75)
ბარსელონა: ჰესპი, პელეგრინი, აბელარდო, სერხი, რ. დე ბური, კოკუ, გვარდიოლა, ფიგუ, ლუის ენრიკე, კლუივერტი, რივალდო
გაფრთხილება: ბელენგერი, ოსკარი
მსაჯი: პუენტეს ლეირა

### სელტა 4:1 ვილიარეალი

0:1 მოიზესი (27), 1:1 სანჩესი (42), 2:1 მიჩელ სალგადო (81), 3:1 პენევი (87პ), 4:1 რევივო (90)
სელტა: დუტრუელი, მიჩელ სალგადო, კასერესი, გ. ჟოროვიჩი, ხოსემა (ოსკარ ვალესი 45), მაზინიო, კარპინი, მოსტოვოი (რევივო 74), მაკელელე (ტომასი 43), პენევი, სანჩესი
ვილიარეალი: ლაინესი, სერერი, ტაშევსკი, აიტორ არეგი (ხავი სანჩისი 64), რობერტო, ალბელდა (დიასი 85), გერარდო, კრაიოვეანუ (კრისტიანსენი 85), ალფარო, ალბერტო, მოიზესი
გაფრთხილება: სერერი
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

### სალამანკა 2:1 ატლეტიკო

0:1 კორეა (19), 1:1 ლანა (31), 2:1 ედუ ალონსო (41)
33-ე წუთზე ბარბარამ (სალამანკა) ვერ გამოიყენა პენალტი
სალამანკა: სტელეა, ნუნო ლუისი, კორინო, პავლიჩიჩი, ლანა, ტაირა, ედუ ალონსო, ჟოვანელა, ბარბარა (როხერიო 84), ველისკა, სილვანი (მუნტეანუ 31)
ატლეტიკო: მოლინა, შამოტი, ტონი, აგილერა (სოლარი 68), ტორიზი, სერენა, ვალერონი, რობერტო (ჟუნინიო 46), მენა (ბარახა 46), ხოსე მარი, კორეა
გაფრთხილება: პავლიჩიჩი, ტაირა, ჟოვანელა, შამოტი, ტორიზი, ხოსე მარი
გაძევება: პავლიჩიჩი
მსაჯი: პერეს ლასა

### სოსიედადი 1:1 ტენერიფე

0:1 დე პაულა (25 ს.კ.), 1:1 დე პედრო (63პ)
სოსიდადი: ალბერტო, არანსაბალი, ლორენი, პიკაბეა, ლოპეს რეკარტე, გომესი, დე პედრო, გრასია (იდიაკესი 46), დე პაულა (ცვიტანოვიჩი 63), კოვაჩევიჩი, სა პინტუ
ტენერიფე: მონო მონტოია, ბასავილბასო (ხავი ლოპესი 75), ლუსენჰოფი, ლორენტი, ალექსისი, პაბლო პასი, ჩანო, ემერსონი, პიერი (მაკაი 82), ხუანელე, პინილია (იოკანოვიჩი 60)
გაფრთხილება: ლორენი, გომესი, დე პედრო, მონო მონტოია
მსაჯი: მედინა კანტანიეხო

### ესპანიოლი 1:0 მალიორკა

1:0 ბენიტესი (42)
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინიო, სერხიო, ივან ელგერა, არტეაგა, კაპდევილა, მარტინ პოსე, ნან რიბერა (ბრნოვიჩი 90), ბენიტესი (დარიო სილვა 82)
მალიორკა: როა, სივიერო, მ. სოლერი, მარსელინო, პინედა (კარლოსი 68), სტანკოვიჩი, ლორენი, ფ. სოლერი, ენგონგა, დანი, ბიაჯინი
გაფრთხილება: არტეაგა
მსაჯი: ლოპეს ნიეტო

### რასინგი 2:0 ბილბაო

1:0 პრესიადო (24), 2:0 მუნიტისი (90)
რასინგი: სებალოსი, მელბერგი, არსენო, ტაისი, ვივარ დორადო, ამავისკა, ჩემა, ისმაელი, პრესიადო (ხელი 62), მუნიტისი, მაგალანესი (ნერუ 84)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე, ფერეირა, ლასა, კარლოს გარსია, ნაგორე, ალკისა, ხავი გონსალესი (ი. გერერო 46), იესტე, ესკუერო (ურსაისი 46), ხ. ეჩებერია
გაფრთხილება: ისმაელი, მაგალანესი, ფელიპე, ლასა
გაძევება: ლასა
მსაჯი: მეხუტო გონსალესი

### სარაგოსა 2:2 ბეტისი

1:0 არაგონი (20პ), 2:0 კილი გონსალესი (27), 2:1 ფინიდი (36), 2:2 ალფონსო (57)
სარაგოსა: მონდრაგონი, პაკო, პაბლო, სოლანა, აგუადო, ვუტერი (მარკოს ვალესი 67), არაგონი, ხოსე იგნასიო (ტორო აკუნია 82), კილი გონსალესი, მილოშევიჩი, გ. ლოპესი (ჯამელი 77)
ბეტისი: პრატსი, ფილიპესკუ, ხაიმე (ფერნანდო 72), ლუის ფერნანდესი, ურენია (ალექსისი 46), მერინო, ოლიასი, იტო (დენილსონი 46), ბენჯამინი, ფინიდი, ალფონსო
გაფრთხილება: სოლანა, პრატსი, ფილიპესკუ, ალფონსო
მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

### რეალი 3:2 ვალიადოლიდი

1:0, 2:0 რაული (18პ, 52პ), 2:1 ვისკაინო (65), 2:2 კლიმოვიჩი (87), 3:2 რაული (90)
რეალი: კონტრერასი, ივან კამპო, რობერტო კარლოსი, პანუჩი, ფერნანდო სამსი, იარნი, ზეედორფი, რაული, მიატოვიჩი (კარემბუ 82), მორიენტესი (შუკერი 90), სავიო (გუტი 59)
ვალიადოლიდი: სეზარი, მარკოსი, გარსია კალვო, ხულიო სეზარი, პენია, ტურიელი (ალბერტო 59), ვისკაინო (აროლდ ლოსანო 82), ტორეს გომესი, ეუსებიო, ჩემა, ვიქტორი (კლიმოვიჩი 80)
გაფრთხილება: ივან კამპო, პანუჩი, ხულიო სეზარი,ვისკაინო, ეუსებიო, კლიმოვიჩი
მსაჯი: ბუენო გრიმალი

### ვალენსია 0:0 დეპორტივო

ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, ბიორკლუნდი, კარბონი, ანგლომა, ხუანფრანი, მენდიეტა, ფარინოსი, მილა, კ. ლოპესი, ანგულო
დეპორტივო: სონგო, რომერო, ნაიბეტი, ზიანი, მაურუ სილვა, ფრანი, სკალონი, კონსეისაო, დონატო, ტურუ ფლორესი (მანხარინი 87), პაულეტა (ჯალმინია 77)
გაფრთხილება: კარბონი, ფარინოსი, სკალონი
მსაჯი: კარმონა მენდესი

### ალავესი 2:2 ოვიედო

1:0 გერარდი (35), 2:0 დესიო (58), 2:1, 2:2 სეზარი (68, 88)
ალავესი: ტიტო, ბელსუე, ივან როჩა, კარმონა, ხოსეტე, ბერუე, კანაბალი (ხულიო სალინასი 52), გერარდი, დესიო, ვიტამინა სანჩესი (სივორი 69), მანიო (ბერტი 75)
ოვიედო: ესტებანი, მანელი, სეზარი, ნადი (ხაიმე 28, მიოლერი 79), ესკურსა, პომპეი (ფაბიო პინტუ 57), პაულო ბენტო, ონოპკო, ივან ანია, დელი ვალდესი, დუბოვსკი
გაფრთხილება: ხოსეტე, ხულიო სალინასი, გერარდი, მანიო, მანელი, სეზარი
მსაჯი: ანსატეგი როჩა

ხესუს ხილი ხილი, მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტი: „მეტის მოთმენა შეუძლებელია. თუ სიტუაცია მომავალ ტურამდე არ გამოსწორდა, თუ „ატლეტიკოს" თამაში ფეხბურთს არ დაემსგავსა, თუ ზოგ-ზოგიერთები გონზე არ მოვიდნენ, კლუბის დატოვება მოუწევთ. კარგა ხანია, ვიცდი. მორჩა, მეც დავიღალე. მოთმინების ფიალა ამევსო".

მიგელ ანხელ ხილი, მადრიდის „ატლეტიკოს" გენერალური დირექტორი, ხესუს ხილი ხილის ვაჟი: „მომავალი თვალსა და ხელს შუა ქრება. კლუბი ფსკერისკენ ეშვება, გუნდის სიკვდილს კი ჩვენ მშვიდად ვერ ვუცქერთ. დროა, ხელმძღვანელობამ გადამჭრელი ზომები მიიღოს".

ენრიკე სერეზო ტიორე, მადრიდის „ატლეტიკოს" ვიცე-პრეზიდენტი: „კლუბის მწვრთნელებს მეტი გარჯა მართებთ, ბოლო ხანებში გუნდი ცუდად თამაშობს. დროა, გონს მოვიდნენ. „ატლეტიკო" არაა ის გუნდი, რომ ყველა ამარცხებდეს. ვატყობ, რეფორმების დრო მოვიდა".

„ელ მუნდო", მადრიდში გამომავალი გაზეთი: „ღრუბლები საკის თავზე. იტალიელმა შესაძლოა „ატლეტიკო" დატოვოს".

არიგო საკის მართლაც ემუქრება თანამდებობიდან განთავისუფლება —




რეალი — ვალიადოლიდი 3:2. ზეედორფი წამით დაეცა, თუმცა წამოდგა და...

# საკი და სავსე ფიალა

პატარა „სალამანკასთან" წაგებამ „ატლეტიკოს" ხელმძღვანელები აღაშფოთა. ჯოხი იტალიელ მწვრთნელზე გადატყდა.

ჩვენ მხოლოდ ციტატები მოვიყვანეთ დასნეულებული კლუბის სამი ხელმძღვანელის საუბრიდან, მაგრამ მათი სატელევიზიო ინტერვიუები ძალიან კრიტიკული და ყოვლისმომცველი იყო. ხილი ხილმაც, მისმა ვაჟმაც და ვიცე-პრეზიდენტმაც არად ჩააგდეს არიგოს კეთილი საქმეები და უმალ ყველა ცუდი ამბავი შეახსენეს, რაც კი იტალიელს „ატლეტიკოში" მისვლის შემდეგ მოხდა: ის, რომ ესპანეთის ჩემპიონატის გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი კრისტიან ვიერი კლუბიდან წავიდა; ის, რომ „ატლეტიკო" არასტაბილურად თამაშობს; ის, რომ ბრაზილიელი ჟუნინიო ფორმაში ვერაა და იშვიათად გადის მოედანზე; ის, რომ გუნდი, ახალი ფეხბურთელების შეძენის მიუხედავად, ცხრილის შუაგულშია. ერთი სიტყვით, სულ საკი, საკი, საკი...

და ყველაფერ ამასთან ერთად დაივიწყეს, რომ „ატლეტიკო", მიუხედავად პრიმერა დივიზიონში არცთუ სახარბიელო მდგომარეობისა, ქვეყნის თასის მეოთხედფინალშია; ის, რომ კლუბი უეფას თასისთვის განაგრძობს ბრძოლას; ის, რომ „ატლეტიკო"...

„სალამანკასთან" მარცხმა ყველაფერი კარგი დაფარა და „ატლეტიკოში" საკის მოღვაწეობა მხოლოდ ცუდი მხრიდან წარმოჩინდა. „ატლეტიკო" „ესტადიო ელმანტიკოზე" რომ არ დამარცხებულიყო, ეგებ ამხელა ამბავი არც ამტყდარიყო, ეგებ საკისაც არ დამუქრებოდა საფრთხე, მაგრამ წააგო გუნდმა და ხელმძღვანელებმაც სათქმელი თქვეს. ისე, ბარბარას პირველ ტაიმში მადრიდელთა მეკარე მოლინა რომ მოეტყუებინა, ანგარიში მასპიძნელთა სასარგებლოდ იქნებ უფრო სოლიდურიც ყოფილიყო, მაგრამ სალამანკელმა გამოცდილ მეკარეს პენალტი ვერ გაუტანა.

ბოლო ოთხ ტურში „ატლეტიკო" მესამედ დამარცხდა. ამ ოთხ ტურში საკის სასარგებლოდ მხოლოდ ის მეტყველებს, რომ კლუბმა მეცხრამეტე ტურში, მაშინ ჯერ კიდევ ჩემპიონატის ლიდერ „სელტას" მოუგო. დანარჩენ სამ შემთხვევაზე კი ეს არ ითქმის — 17 იანვარს „ატლეტიკო" მადრიდულ დერბიში კვლავ დამარცხდა „რეალთან", 31 იანვარს შინ წააგო „ვალენსიასთან", ახლა კი მარცხი „სალამანკასთან". ყოველივე ამის შემდეგ კლუბის თავკაცთა აღშფოთება ეგებ გასაგებიც გახდეს, მაგრამ განა მარტო საკია ყველაფერში დამნაშავე? ალბათ, არა.

ზემოთ „ატლეტიკოს" თანაქალაქელი „რეალი" ვახსენეთ. მეტოქენი ამ სეზონში მეორედ ბოლოსწინა, 37-ე ტურში, 13 ივნისს დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, მანამდე კი სამეფო კლუბი თამაშებს ზედიზედ იგებს და ვინძლო „ატლეტიკოსთან" საივნისო დაპირისპირებაც ძალიან მნიშვნელოვან მატჩად აქციოს.

ქვეყნის ყველაზე ტიტულიანი კლუბი მეორე წრის მეორე ტურში „ვალიადოლიდს" შინ ეთამაშებოდა. გუს ჰიდინკის გუნდმა მეტოქეს 32-ედ უმასპინძლა და 28-ედ სძლია.

„რეალი" „ვალიადოლიდს" ყოველთვის იოლად ამარცხებდა, მაგრამ კვირას გაუჭირდა — მეტოქე მაგრად დადგა და რომ არა რაულის ძალისხმევა, მხოლოდ ქულას დასჯერდებოდა.

მე-18 წუთზე რაულ გონსალეს ბლანკომ პრიმერა დივიზიონში 70-ე გოლი გაიტანა. მსაჯმა ბუენო გრიმალმა ვისკაინოს რობერტო კარლოსთან უხეშობა არ აპატია. მსაჯმა გარდა იმისა, რომ დამნაშავე გააფრთხილა, „ვალიადოლიდის" ვეტერან სეზარის კარში პენალტიც დანიშნა. თავდამსხმელმა შანსი ხელიდან არ გაუშვა. რაულის 71-ე პრიმერადივიზიონული გოლიც თერთმეტმეტრიანიდან გავიდა — ამჯერად ხულიო სეზარმა იუხეშა მორიენტესთან ორთაბრძოლაში. რაც შეეხება მადრიდელთა ახალგაზრდა ფორვარდის მესამე და გადამწყვეტ ბურთს, ის რაულმა რობერტო კარლოსის პასის შემდეგ შეაგდო. მანამდე სტუმრებმა გაათანაბრეს. *[sic: აყაიმეს]*

ჰეთ-თრიქის წყალობით რაული ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო თავდამსხმელთა სიას სათავეში მოექცა.

თუ „რეალმა" ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო, მისმა დაუძინებელმა მოქიშპე „ბარსელონამ" ზედიზედ მეშვიდედ იმარჯვა. ლუის ვან გაალის კლუბმა ამჯერადაც შესანიშნავად ითამაშა და ჩემპიონობისკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. წინა ტურის მსგავსად, კატალონიელებმა ამჯერადაც ჰოლანდიელის მიერ ბოლო წუთებზე შეგდებული გოლით გაიმარჯვეს. თუ ერთი კვირის წინ „რასინგს" გამარჯვების გოლი ფრენკ დე ბურმა გაუტანა, ამჯერად ეს მისია პატრიკ კლუივერტმა შეასრულა.

**ლაშა გოდუაძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 21 | 12 | 4 | 5 | 45:25 | +20 | 40 | 11 | 7 | 2 | 2 | 30:15 | +15 | 23 | 10 | 5 | 2 | 3 | 15:10 | +5 | 17 |
| 2 | სელტა | 21 | 10 | 7 | 4 | 43:25 | +18 | 37 | 10 | 7 | 3 | 0 | 28:10 | +18 | 24 | 11 | 3 | 4 | 4 | 15:15 | 0 | 13 |
| 3 | რეალი | 21 | 11 | 4 | 6 | 44:32 | +12 | 37 | 10 | 6 | 2 | 2 | 26:14 | +12 | 20 | 11 | 5 | 2 | 4 | 18:17 | +1 | 17 |
| 4 | ვალენსია | 21 | 11 | 4 | 6 | 32:21 | +11 | 37 | 10 | 7 | 2 | 1 | 18:6 | +12 | 23 | 11 | 4 | 2 | 5 | 14:15 | -1 | 14 |
| 5 | მალიორკა | 21 | 10 | 5 | 6 | 21:14 | +7 | 35 | 11 | 8 | 2 | 1 | 15:4 | +11 | 26 | 10 | 2 | 3 | 5 | 6:10 | -4 | 9 |
| 6 | დეპორტივო | 21 | 9 | 7 | 5 | 30:23 | +7 | 34 | 11 | 7 | 3 | 1 | 22:10 | +12 | 24 | 10 | 2 | 4 | 4 | 8:13 | -5 | 10 |
| 7 | ბილბაო | 21 | 10 | 3 | 8 | 29:29 | 0 | 33 | 10 | 6 | 2 | 2 | 18:12 | +6 | 20 | 11 | 4 | 1 | 6 | 11:17 | -6 | 13 |
| 8 | ატლეტიკო | 21 | 9 | 5 | 7 | 36:25 | +11 | 32 | 11 | 7 | 3 | 1 | 26:6 | +20 | 24 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 8 |
| 9 | ოვიედო | 21 | 8 | 7 | 6 | 28:30 | -2 | 31 | 11 | 6 | 3 | 2 | 13:8 | +5 | 21 | 10 | 2 | 4 | 4 | 15:22 | -7 | 10 |
| 10 | სოსიედადი | 21 | 8 | 6 | 7 | 29:26 | +3 | 30 | 11 | 7 | 3 | 1 | 20:7 | +13 | 24 | 10 | 1 | 3 | 6 | 9:19 | -10 | 6 |
| 11 | ბეტისი | 21 | 8 | 6 | 7 | 20:23 | -3 | 30 | 10 | 5 | 2 | 3 | 10:11 | -1 | 17 | 11 | 3 | 4 | 4 | 10:12 | -2 | 13 |
| 12 | სარაგოსა | 21 | 8 | 5 | 8 | 27:28 | -1 | 29 | 10 | 5 | 1 | 4 | 17:16 | +1 | 16 | 11 | 3 | 4 | 4 | 10:12 | -2 | 13 |
| 13 | ესპანიოლი | 21 | 6 | 9 | 6 | 21:21 | 0 | 27 | 10 | 4 | 5 | 1 | 10:7 | +3 | 17 | 11 | 2 | 4 | 5 | 11:14 | -3 | 10 |
| 14 | რასინგი | 21 | 6 | 7 | 8 | 25:27 | -2 | 25 | 10 | 4 | 3 | 3 | 15:10 | +5 | 15 | 11 | 2 | 4 | 5 | 10:17 | -7 | 10 |
| 15 | ვილიარეალი | 21 | 6 | 6 | 9 | 27:33 | -6 | 24 | 11 | 4 | 4 | 3 | 17:14 | +3 | 16 | 10 | 2 | 2 | 6 | 10:19 | -9 | 8 |
| 16 | ვალიადოლიდი | 21 | 5 | 5 | 11 | 18:28 | -10 | 20 | 11 | 5 | 2 | 4 | 11:9 | +2 | 17 | 10 | 0 | 3 | 7 | 7:19 | -12 | 3 |
| 17 | ტენერიფე | 21 | 3 | 10 | 8 | 20:30 | -10 | 19 | 11 | 1 | 7 | 3 | 10:13 | -3 | 10 | 10 | 2 | 3 | 5 | 10:17 | -7 | 10 |
| 18 | სალამანკა | 21 | 5 | 4 | 12 | 18:35 | -17 | 19 | 10 | 5 | 3 | 2 | 15:11 | +4 | 18 | 11 | 0 | 1 | 10 | 3:24 | -21 | 1 |
| 19 | ალავესი | 21 | 4 | 5 | 12 | 16:33 | -17 | 17 | 11 | 3 | 4 | 4 | 9:9 | 0 | 13 | 10 | 1 | 1 | 8 | 7:24 | -17 | 4 |
| 20 | ესტრემადურა | 21 | 4 | 5 | 12 | 13:34 | -21 | 17 | 10 | 3 | 1 | 6 | 6:13 | -7 | 10 | 11 | 1 | 4 | 6 | 7:21 | -14 | 7 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 13 |
| რივალდო (ბარსელონა) | 12 |
| ურსაისი (ბილბაო) | 11 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 11 |
| ლოპესი (ვალენსია) | 11 |
| დელი ვალდესი (ოვიედო) | 11 |

### XXII ტური

14 თებერვალი

ტენერიფე - ოვიედო
მალიორკა - სოსიედადი
ატლეტიკო - ესპანიოლი
დეპორტივო - სალამანკა
ვილიარეალი - ვალენსია
ვალიადოლიდი - სელტა
ბარსელონა - რეალი
ბილბაო - ესტრემადურა
ბეტისი - რასინგი
სარაგოსა - ალავესი

## მეორე დივიზიონი

XXIII ტური

### ატლეტიკო B 2:0 ბარსელონა B

1:0, 2:0 ფორტუნი (21, 48)

### კომპოსტელა 0:0 მერიდა

### ლას პალმასი 0:0 ტოლედო

### ლოგრონიესი 0:0 ოსასუნა

### მალიორკა B 0:0 ალბასეტე

### ლეიდა 0:0 ბადახოსი

### სევილია 1:0 რეკრეატივო

1:0 ცარტასი (48)

### მალაგა 1:1 ორენსე

1:0 რუფეტე (50), 1:1 კურასი (90)

### ნუმანსია 1:1 ლეგანესი

1:0 ანხელი (33), 1:1 ხუანმი (79)

### რაიო 3:0 ერკულესი

1:0 კოტა (20), 2:0 ლუის სემბრანოსი (64), 3:0 ბოლო (81)

### სპორტინგი 3:1 ეიბარი

1:0 ოსკარი (24პ), 2:0 ჩერიშევი (25), 2:1 ბიქსენტი (41), 3:1 ლედიახოვი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაიო | 23 | 11 | 9 | 3 | 36:29 | 42 |
| ნუმანსია | 23 | 12 | 5 | 6 | 40:21 | 41 |
| მალაგა | 23 | 11 | 8 | 4 | 35:25 | 41 |
| ლას პალმასი | 23 | 10 | 9 | 4 | 34:19 | 39 |
| ოსასუნა | 23 | 10 | 9 | 4 | 30:17 | 39 |
| ტოლედო | 23 | 10 | 7 | 6 | 30:27 | 37 |
| სევილია | 23 | 10 | 6 | 7 | 29:27 | 36 |
| ატლეტიკო B | 23 | 9 | 8 | 6 | 37:29 | 35 |
| მერიდა | 23 | 9 | 7 | 7 | 26:18 | 34 |
| კომპოსტელა | 23 | 8 | 9 | 6 | 30:23 | 33 |
| ლეიდა | 23 | 8 | 9 | 6 | 25:22 | 33 |
| რეკრეატივო | 23 | 9 | 6 | 8 | 20:17 | 33 |
| ლოგრონიესი | 23 | 8 | 8 | 7 | 31:32 | 32 |
| მალიორკა B | 23 | 9 | 4 | 10 | 28:31 | 31 |
| ბადახოსი | 23 | 7 | 7 | 9 | 19:19 | 28 |
| ალბასეტე | 23 | 7 | 7 | 9 | 17:21 | 28 |
| ლეგანესი | 23 | 6 | 8 | 9 | 21:28 | 26 |
| სპორტინგი | 23 | 6 | 7 | 10 | 22:29 | 25 |
| ერკულესი | 23 | 6 | 4 | 13 | 21:32 | 22 |
| ეიბარი | 23 | 5 | 4 | 14 | 16:34 | 19 |
| ორენსე | 23 | 4 | 4 | 15 | 20:43 | 16 |
| ბარსელონა B | 23 | 3 | 5 | 15 | 23:41 | 14 |

## საფრანგეთი

XXIII ტური

**მარსელი 3:1 ბასტია**
1:0 ისა (32), 2:0 რავანელი (40), 2:1 ლორანი (76), 3:1 რავანელი (81)

**რენი 1:1 ბორდო**
0:1 ვილტორდი (37), 1:1 ვეიზერი (87)

**ლიონი 2:1 ნანსი**
0:1 კასკარინო (11), 1:1 გრასი (61), 2:1 ჟობი (65)

**ნანტი 2:0 ლანსი**
1:0 მონტერუბიო (27), 2:0 დევინო (44)

**ლე ავრი 1:2 მონაკო**
0:1 იკპება (62), 1:1 კრისტანვალი (65ს.კ.), 1:2 ნდიაი (67)

**მონპელიე 1:1 სტრასბური**
1:0 მ. როდრიგესი (43), 1:1 ზიტელი (69)

**ოსერი 1:2 ტულუზი**
0:1 ოსეანუ (38პ), 1:1 დანჟუ (54), 1:2 პეტროვიჩი (55)

**პსჟ 2:1 სოშო**
1:0 მადარი (23), 2:0 ბ. როდრიგესი (49), 2:1 ბუჟე (62)

**მეცი 3:0 ლორიანი**
1:0 მეირო (33), 2:0 ბოფენი (35), 3:0 ორლავილი (72)



ნანტი — ლანსი 2:0. ამ დარტყმით მონტერუბიომ ანგარიში გახსნა

AFP ნანტიდან

# 12-ტურიანი ჩემპიონატი

„ამ საღამოს გამარჯვება ჰაერივით გვჭირდეოდბა. ბორდოში განცდილი მარცხის შემდეგ საკუთარი გულშემატკივარი უნდა გაგვახარებინა. ამ მოგებით კვლავ ლიდერები გავხდით. ვფიქრობ, რომ „მარსელი“ საფრანგეთში უძლიერესია და ჩემპიონებიც ჩვენ გავხდებით. თუმცა თავში არ უნდა აგვივარდეს და მომავალ მატჩებსაც ისეთივე სერიოზულობით უნდა მივუდგეთ, როგორც დღევანდელს. შემდეგ ტურში ტულუზში აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. რაც შეეხება ჩემს თამაშს, მგონი, ყველას ვუჩვენე, რა შემიძლია“ — ორ გოლის ავტორი, „მარსელის“ იტალიელი თავდამსხმელი ფაბრიციო რავანელი „ბასტიასთან“ მატჩის შემდეგ საკმაოდ დიდხანს ესაუბრა ჟურნალისტებს.

შეხვედრის დასაწყისში მასპინძლები ძალიან დაძაბულები ჩანდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც შეძლეს მამაცი კორსიკელების დამარცხება, რაც სავსებით ლოგიკური იყო. პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს — მათი პორტუგალიელი ლეგიონერის პაულო ალვეშის დარტყმული ბურთი სტეფან პორატომ მოიგერია. მალე საკუთარი ოსტატობის დემონსტრირება უკვე „ბასტიის“ მეკარე ალი ბუმნიჯელს დასჭირდა — რავანელის მიერ ჩინებულად შესრულებული საჯარიმო მან ასევე ჩინებულად მოიგერია. ამის მერე „ოლიმპიკის“ დაცვამ კვლავ უყურადღებოდ ითამაშა, მაგრამ მათ ბედად პორატოსთან პირისპირ გასულ დავიდ მაზონსინის დარტყმა გაუცუდდა.

ამ მომენტმა „მარსელზე“ ცივი შხაპივით იმოქმედა. მასპინძლები უცებ გამოფხიზლდნენ და თამაშის ტემპიც საგრძნობლად გაზარდეს. შედეგად კი პიერ ისას გატანილი გოლი მიიღეს. რავანელის მიერ შესრულებულ ჯარიმას „ბასტიას“ კართან არეულობა მოჰყვა, რითაც კარგად ისარგებლა სამხრეთ აფრიკელმა ისამ და თავისიანები დააწინაურა.

რამდენიმე წუთში „მარსელის“ ახალ ბრაზილიელ ლეგიონერ ედსონ და სილვას ჰქონდა თავისი პირველი გოლის გატანის შანსი, მაგრამ მის მიერ დაახლოებით 40 მეტრიდან უძლიერესად დარტყმული ბურთი ბუმნიჯელმა მოიგერია. ყოველივე ამას სტუმართა კარში გატანილ გოლში მაინც დიდი წილი — და სოლეიმ კარგი მაღალ მეტოქის საჯარიმოში რავანელს ჩააწოდა და იტალიელმა იოლად აჯობა მეკარეს.

მეორე ტაიმში, 76-ე წუთზე „მარსელის“ დაცვა კიდევ ერთხელ შეცდა, რასაც პიერ ლორანის გოლი მოჰყვა. ცოტა ხანში კი რავანელმა კვლავ აღადგინა ორბურთიანი სხვაობა. იტალიელმა მეტოქის ერთი მცველი იოლად ჩამოიცილა და მარცხენა ფეხით მეკარისგან მარცხენა ცხრიანში შეაგდო ბურთი.

„ყველაფერი გავაკეთეთ, რათა მოგვეგო. ბორდოში იმიტომ წავაგეთ, რომ მეტოქე ჩვენზე გაცილებით ძლიერი იყო. მას მერე გაორმაგებული ენერგიით ვვარჯიშობთ და დღევანდელი მატჩიც მოწმობს, რომ ამან შედეგი უკვე გამოიღო. „ბორდოსთან“ 1:4 წაგების შემდეგ თითქოს ახალი თორმეტტურიანი ჩემპიონატი დაიწყო. ახლა თერთმეტი ტურიღა დარჩა და ჩვენ კი წინ ვართ. საბოლოო გამარჯვების დიდი იმედი მაქვს“ — ოპტიმისტურად საუბრობდა „მარსელის“ კაპიტანი ლორან ბლანი.

„ბორდოს“ კარგა ხნის მანძილზე მწარედ გაახსენდება რენში თამაშის მიწურულს გაშვებული გოლი და დაკარგული ორი ქულა. არადა, თითქმის მთელი შეხვედრა მისი კარნახით წარიმართა. „რენის“ უპირატესობით დაწყებული მატჩი სტუმრებმა მალე გაათანაბრეს და მათი იერიშებიც გაცილებით მწვავე იყო. ტაიმის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ჟირონდელთა შემტევმა დუეტმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშა და ლილიან ლასლანდის პასის მერე სილვენ ვილტორდმა ანგარიშიც გახსნა. ბრეტონელთაგან ყველაზე მეტად საბანი ნონდა აქტიურობდა, მაგრამ „ბორდოს“ მცველებსა და მეკარეს მასთან გამკლავება არ უჭირდათ. „რენმა“ განსაკუთრებით ძლიერად მეორე ტაიმის დასაწყისში შეუტია, მაგრამ „ბორდოს“ სამმა-ოთხმა სახიფათო კონტრშეტევამ მასპინძელთა ენთუზიაზმი ერთგვარად ჩააცხრო. უკვე ყველას ეგონა, რომ სტუმრები ნანატრ გამარჯვებას იზეიმებდნენ, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე მათ საჯარიმოში „რენის“ სასარგებლოდ თავისუფალი დარტყმა დაინიშნა. მსაჯის ამ გადაწყვეტილებას საკმაო აჟიოტაჟი მოჰყვა, რის შედეგადაც „ბორდოს“ მწვრთნელ ელი ბოპს და მინდვრიდან ახალგამოსულ ალი ბენარბის სათადარიგოთა სკამის დატოვება მოუწიათ. თავისუფალი დარტყმა კი ვეიზერმა შეასრულა და ბურთი მეტოქის კარის ზემოთ დალს გადააცილა.

სათადარიგო მეკარე ლუე ბორელის დაღუპვამ „ლიონის“ ფეხბურთელებზე ძალიან ცუდად იმოქმედა. მათ ინერტულად დაიწყეს „ნანსისთან“ მატჩი და მე-12 წუთზე ტონი კასკარინომ სტუმრები დააწინაურა — აბდელნასერ უადას ჩაწოდებული ბურთი „ბებერმა“ ირლანდიელმა ეფექტური დარტყმით გაიტანა. „ლიონი“ გონს მეორე ტაიმში მოეგო და მოწინააღმდეგეს შტურმიც მოუწყო, რის შედეგადაც ჯერ შვეიცარიელმა მარკო გრასიმ შეიშნო პატრის კარტერონის პასი და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი, მერე კი ალენ კავეგლიას ჩაწოდებულ კუთხურს ჟოზეფ-დეზირე ჟობის გოლი მოჰყვა. საგოლე პასი კი კვლავ კარტერონმა მიითვალა. თამაშის მიწურულს ლიონელთა კაპიტან კავეგლიას მესამედაც უნდა გაეტანა, მაგრამ ფრედერიკ რუმ მას პენალტი აული. ამ მოგებით „ლიონი“ მესამე ადგილზე გადავიდა და ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ.

„ლიონისავით“ 38 ქულა აქვს „ნანტსაც“, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონ „ლანსს“ უმასპინძლა და ქულის მოპოვების შანსიც კი არ მისცა. ანგარიში 2:0 ნაღდად ალოგიკურია, იმდენად სჯობდა „ნანტი“ „ლანსს“ და იმდენი ხელსაყრელი მომენტი გააცუდეს მისმა თავდამსხმელებმა. პირველი გოლი ოლივიე მონტერუბიომ გაიტანა ანტუან სიბიერსკის გრძელი გადაცემის შემდეგ. 44-ე წუთზე კი ჩრდილოელთა მცველებმა ვერაფერი მოუხერხეს 18 წლის შარლ დევინოს, რომელმაც მშვენიერი დრიბლინგით ჩამოიტოვა ისინი და გიომ ვარმუზსაც აჯობა. 71-ე წუთზე სიბიერსკის შეეძლო, დიდი ანგარიშით დაესრულებინა მატჩი, მაგრამ მისი დარტყმული თერთმეტმეტრიანიდან ვარმუზმა ბურთი კუთხურზე გადააგდო.

**გაიოზ თალაკვაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარსელი | 23 | 15 | 6 | 2 | 42:19 | 51 |
| ბორდო | 23 | 15 | 4 | 4 | 49:20 | 49 |
| ლიონი | 22 | 10 | 8 | 4 | 31:20 | 38 |
| ნანტი | 23 | 10 | 8 | 5 | 32:23 | 38 |
| რენი | 23 | 10 | 7 | 6 | 28:26 | 37 |
| მონაკო | 22 | 10 | 5 | 7 | 32:22 | 35 |
| მონპელიე | 23 | 9 | 5 | 9 | 40:36 | 32 |
| ოსერი | 23 | 8 | 7 | 8 | 31:28 | 31 |
| ბასტია | 23 | 9 | 3 | 11 | 28:29 | 30 |
| ლანსი | 23 | 8 | 5 | 10 | 29:31 | 29 |
| პსჟ | 23 | 7 | 7 | 9 | 22:22 | 28 |
| მეცი | 23 | 7 | 7 | 9 | 22:29 | 28 |
| სტრასბური | 23 | 5 | 8 | 10 | 18:24 | 23 |
| ნანსი | 23 | 6 | 5 | 12 | [illegible] | [illegible] |
| ლე ავრი | 23 | 5 | 7 | 11 | 17:29 | 22 |
| ტულუზი | 23 | 4 | 9 | 10 | 17:34 | 21 |
| ლორიანი | 23 | 4 | 8 | 11 | 18:36 | 20 |
| სოშო | 21 | 3 | 8 | 10 | 18:37 | 17 |

## ბრაზილია

V ტური

**რიო — სან პაულუს ტურნირი**

I ჯგუფი

ვასკუ და გამა — სანტოსი 3:2; პალმეირასი — ფლუმინენსე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| ვასკუ და გამა | 4 | 2 | 1 | 1 | 10:7 | 7 |
| ფლუმინენსე | 5 | 2 | 0 | 3 | 10:10 | 6 |
| პალმეირასი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:13 | 3 |

II ჯგუფი

ბოტაფოგო — სან პაულუ 2:1; კორინთიანსი — ფლამენგო 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ | 5 | 4 | 0 | 1 | 7:3 | 12 |
| ბოტაფოგო | 4 | 2 | 1 | 1 | 12:8 | 7 |
| ფლამენგო | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 7 |
| კორინთიანსი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:13 | 0 |

ორი საუკეთესო 1/2ფინალში გავა

V ტური

**პაულისტას (სან პაულუს შტატი) ჩემპიონატი**

I ჯგუფი

ლიმეირა — პორტუგეზა 0:3; რიო ბრანკო — იტუანო 3:0; ბარბარენსე — სან ჟოზე 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგეზა | 5 | 5 | 0 | 0 | 12:3 | 15 |
| ბარბარენსე | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| რიო ბრანკო | 5 | 3 | 0 | 2 | 10:7 | 9 |
| ლიმეირა | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| იტუანო | 5 | 0 | 2 | 3 | 2:8 | 2 |
| სან ჟოზე | 5 | 0 | 2 | 3 | 2:9 | 2 |

II ჯგუფი

უნიაო — სანტისტა 1:3; არაკატუბა — მოგი მირიმი 3:2; გუარანი — მატონენსე 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გუარანი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:3 | 10 |
| მატონენსე | 5 | 3 | 1 | 1 | 10:9 | 10 |
| არაკატუბა | 5 | 2 | 2 | 1 | 12:10 | 8 |
| მოგი მირიმი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | 5 |
| უნიაო | 5 | 1 | 2 | 2 | 9:11 | 5 |
| სანტისტა | 5 | 1 | 0 | 4 | 7:14 | 3 |

## პორტუგალია

XXI ტური

**სალგეირუში 0:0 ალვერკა**

**სეტუბალი 0:0 ბეირა მარი**

**ლეირია 0:0 ბოავიშტა**

**შავეში 0:0 რიუ ავე**

**აკადემიკა 2:2 ამადორა**
1:0 მაურისიო სანტოში (1), 1:1 პაულუ ფერეირა (21), 2:1 მიკი ლოპესი (41), 2:2 ანდრადე (90)

**ბრაგა 2:1 გიმარაეში**
0:1 ედმილსონი (28), 1:1 დუარტე (58), 2:1 გამბოა (67)

**კამპომაიორენსე 0:0 სპორტინგი**

**პორტუ 1:0 მარიტიმუ**
1:0 დრულოვიჩი (33)

**ბენფიკა 5:0 ფარენსე**
1:0, 2:0 საუნდერსი (35,45), 3:0 კარმო (51 ს.კ.), 4:0, 5:0 ნუნუ გომეში (70, 87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 21 | 15 | 4 | 2 | 50:17 | 49 |
| ბენფიკა | 21 | 14 | 4 | 3 | 47:14 | 46 |
| ბოავიშტა | 21 | 13 | 6 | 2 | 35:17 | 45 |
| სპორტინგი | 21 | 10 | 8 | 3 | 39:18 | 38 |
| ამადორა | 21 | 9 | 7 | 5 | 25:23 | 34 |
| ლეირია | 21 | 9 | 5 | 7 | 21:16 | 32 |
| სალგეირუში | 21 | 6 | 10 | 5 | 31:31 | 28 |
| სეტუბალი | 21 | 7 | 6 | 8 | 18:25 | 27 |
| ბრაგა | 21 | 6 | 7 | 8 | 28:38 | 25 |
| გიმარაეში | 21 | 6 | 6 | 9 | 30:26 | 24 |
| მარიტიმუ | 21 | 5 | 7 | 9 | 24:26 | 22 |
| ბეირა მარი | 21 | 4 | 10 | 7 | 19:28 | 22 |
| რიუ ავე | 21 | 5 | 7 | 9 | 17:30 | 22 |
| ფარენსე | 21 | 6 | 4 | 11 | 16:33 | 22 |
| ალვერკა | 21 | 4 | 9 | 8 | 17:27 | 21 |
| შავეში | 21 | 5 | 5 | 11 | 23:37 | 20 |
| კამპომაიორენსე | 21 | 5 | 4 | 12 | 22:35 | 19 |
| აკადემიკა | 21 | 3 | 5 | 13 | 22:42 | 14 |

## თურქეთი

მე-19 ტური. საქარია — გაზიანთეფი 6:2; ადანა — ერზურუმი 2:0; სამსუნი — ისთანბული 0:1; ქარაბუქი — ქოჯაელი 0:1; დარდანელი — ანკარაგიუჯიუ 3:0; ტრაბზონი — ალთაი 0:3; გალათასარაი — ბურსა 5:0; ბეშიქთაში — ანთალია 2:1; გენჩლერბირლიგი — ფენერბაჰჩე 0:3.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფენერბაჰჩე | 19 | 14 | 2 | 3 | 50:13 | 44 |
| ბეშიქთაში | 19 | 13 | 5 | 1 | 35:14 | 44 |
| გალათასარაი | 19 | 13 | 4 | 2 | 54:19 | 43 |
| ტრაბზონი | 19 | 11 | 4 | 4 | 29:20 | 37 |
| ქოჯაელი | 19 | 10 | 4 | 5 | 23:19 | 34 |
| ისთანბული | 19 | 9 | 4 | 6 | 32:23 | 31 |
| ანთალია | 19 | 9 | 4 | 6 | 26:21 | 31 |
| გენჩლერბირლიგი | 19 | 7 | 6 | 6 | 27:26 | 27 |
| გაზიანთეფი | 19 | 6 | 6 | 7 | 26:30 | 24 |
| ბურსა | 19 | 7 | 3 | 9 | 31:40 | 24 |
| ალთაი | 19 | 6 | 3 | 10 | 26:34 | 21 |
| ერზურუმი | 19 | 6 | 3 | 10 | 22:34 | 21 |
| სამსუნი | 19 | 6 | 2 | 11 | 21:28 | 20 |
| ანკარაგიუჯიუ | 19 | 5 | 5 | 9 | 21:30 | 20 |
| ადანა | 19 | 6 | 1 | 12 | 19:31 | 19 |
| საქარია | 19 | 5 | 3 | 11 | 21:32 | 18 |
| დარდანელი | 19 | 4 | 4 | 11 | 20:42 | 16 |
| ქარაბუქი | 19 | 3 | 2 | 14 | 14:35 | 11 |

## ჰოლანდია

XX ტური

**ნაიმეგენი 1:1 გრააფსხაპი**
0:1 ვისკაალი (54), 1:1 დე გიერი (71)

**ტვენტე 0:3 ალკმაარი**
0:1 ვან გალენი (14), 0:2 ლანგერაკი (34), 0:3 უბერტსი (75)

**ტილბურგი 3:2 ჰერენვენი**
0:1 დე ნოიერი (46), 1:1 სისაი (55), 1:2 სამარჯიჩი (67), 2:2 გალაშეკი (70), 3:2 ვალკი (7.)

**სიტარდი 2:0 ბრედა**
1:0 ჰამინგი (47), 2:0 ჯეფრი (87)

**ვალვაიკი 2:2 მაასტრიხტი**
0:1 ემერსონი (3), 1:1, 2:1 სუგენდორპი (4, 16პ), 2:2 პერესი (71)

**კამბური — ფეიენოორდი**
გადაიდო მინდვრის უხარისხობის გამო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 18 | 13 | 4 | 1 | 42:15 | 43 |
| ვიტესი | 19 | 11 | 4 | 4 | 36:23 | 37 |
| აიაქსი | 19 | 9 | 7 | 3 | 36:16 | 34 |
| ჰერენვენი | 19 | 9 | 6 | 4 | 30:22 | 33 |
| როდა | 18 | 9 | 4 | 5 | 30:22 | 31 |
| ეინდჰოვენი | 19 | 8 | 7 | 4 | 45:34 | 31 |
| ალკმაარი | 20 | 7 | 10 | 3 | 31:26 | 31 |
| ტვენტე | 20 | 8 | 6 | 6 | 29:27 | 30 |
| ნაიმეგენი | 20 | 7 | 7 | 6 | 29:28 | 28 |
| ტილბურგი | 20 | 8 | 4 | 8 | 34:37 | 28 |
| უტრეხტი | 19 | 7 | 4 | 8 | 35:35 | 25 |
| მაასტრიხტი | 20 | 5 | 6 | 9 | 25:34 | 21 |
| კამბური | 19 | 5 | 6 | 8 | 22:34 | 21 |
| სიტარდი | 20 | 5 | 5 | 10 | 24:35 | 20 |
| გრააფსხაპი | 20 | 3 | 10 | 7 | 20:31 | 19 |
| სპარტა | 19 | 4 | 3 | 12 | 22:39 | 15 |
| ბრედა | 19 | 3 | 4 | 12 | 22:34 | 13 |
| ვალვაიკი | 20 | 2 | 5 | 13 | 23:43 | 11 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვან ნისტელროოი (ეინდჰოვენი) | 16 |
| მახლასი (ვიტესი) | 12 |
| ნილისი (ეინდჰოვენი) | 12 |
| ვან ჰუდტი (როდა) | 11 |

**თასის მეოთხედფინალის კენჭისყრა**

ფეიენოორდი — ვიტესი, ეინდჰოვენი 2 (II დივიზიონი) — ეინდჰოვენი, სიტარდი — ემენი (II), ცვოლე (II) — აიაქსი

შეხვედრები 9, 10 და 11 მარტს გაიმართება

**ამხანაგური მატჩი**

**ლიერსი 3:2 აიაქსი**
0:1 ბაბანგიდა (20), 1:1 უისმანსი (30), 1:2 ნოპერი (50), 2:2 დე ვეირი (64), 3:2 ზებელო (65)
აიაქსი: ვან დენ ბანი, მელხიოტი (გორი), სპლინტერი, ოლისე (მენსა), სიერი (ვიჩხე), რუდი, ლიტმანენი (ნოპერი), სუპუსება, ბაბანგიდა, სიბონი (არველაძე), ძინძლაძე

## ბელგია

გამოტოვებული თამაში

**ბევერენი 0:1 სენტ ტრუიდენი**
0:1 ვან ოეკელენი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 22 | 14 | 5 | 3 | 49:25 | 47 |
| ბრიუგე | 22 | 14 | 4 | 4 | 40:22 | 46 |
| მუსკრონი | 22 | 11 | 7 | 4 | 50:34 | 40 |
| ლოკერენი | 22 | 11 | 4 | 7 | 46:35 | 37 |
| გენტი | 22 | 10 | 7 | 5 | 37:37 | 37 |
| სტ. ტრუიდენი | 22 | 10 | 6 | 6 | 31:24 | 36 |
| სტანდარდი | 22 | 11 | 2 | 9 | 36:27 | 35 |
| ანდერლეხტი | 21 | 10 | 5 | 6 | 39:32 | 35 |
| ეკერენი | 22 | 10 | 4 | 8 | 36:32 | 34 |
| ლიერსი | 22 | 10 | 3 | 9 | 42:35 | 33 |
| ვესტერლო | 22 | 9 | 3 | 10 | 43:40 | 30 |
| აალსტი | 22 | 7 | 5 | 10 | 30:39 | 26 |
| ჰარელბეკი | 22 | 6 | 8 | 8 | 29:34 | 26 |
| შარლერუა | 21 | 4 | 9 | 8 | 27:32 | 21 |
| ლომელი | 22 | 5 | 4 | 13 | 23:35 | 19 |
| ბევერენი | 22 | 4 | 4 | 14 | 23:40 | 16 |
| კორტრაიკი | 22 | 3 | 5 | 14 | 31:56 | 14 |
| ოსტენდე | 22 | 2 | 7 | 13 | 20:52 | 13 |

**აფრიკის სუპერთასი**

**ASEC 3:1 ესპერანსი**
1:0 ზეზე (36), 1:1 ელ ერი (88), 2:1 დინდანე (96), 3:1 ზეზე (120)

შავი კონტინენტის სუპერთასი მოიპოვა კოტდივუარის აბიჯანის ASEC-მა. კოტდივუარელებმა შემდეგში აფრიკის ჩემპიონთა თასიც მოიგეს.

## შოტლანდია

### XXIV ტური

**დანფერმლაინი 0:3 რეინჯერსი**

0:1 კანჩელსკისი (57), 0:2, 0:3 იოჰანსონი (59, 89)

**აბერდინი 2:1 კილმარნოკი**

1:0 ჯესი (44), 2:0 მაიერი (47), 2:1 მაჰუდი (65)

**სელტიკი 3:0 ჰართსი**

1:0, 2:0, 3:0 ლარსონი (21, 24, 65პ)

**დანდი 1:0 მოზერველი**

1:0 ტვიდი (3)

**სენტ ჯონსტონი 1:0 დანდი იუნ.**

1:0 ბოლანი (93)



ანდრეი კანჩელსკისი

ისევე როგორც ინგლისში, შოტლანდიის ბოლო ტურშიც ერთმანეთს ჩემპიონატის თავდაჯერებული ლიდერი „რეინჯერსი" და ბოლოადგილოსანი „დანფერმლაინი" შეხვდნენ. გლაზგოელებს 8:1 არ მოუგიათ, მაგრამ მაინც იოლად სძლიეს მასპინძლებს — 3:0.

ანგარიში ექსფიორენტინელმა რუსმა, „რეინჯერსის" უძვირესმა ფეხბურთელმა ანდრეი კანჩელსკისმა ძალიან ეფექტური მაკრატელა დარტყმით გახსნა, ისეთით, დიდმა ჰოლანდიელმა მარკო ვან ბასტენმა რომ იცოდა ხოლმე. საგოლე გადაცემა მას კლუბის ბომბარდილმა როდ უოლესმა მისცა.

ორიოდ წუთში ფინელმა ჯონათან იოჰანსონმა ბურთს დამატებაზე მოუსწრო და უძლიერესი დარტყმით მეორე გაიტანა.

75-ე წუთზე „დანფერმლაინს", რომელსაც მიმდინარე სეზონში მხოლოდ ორი მოგება აქვს, ანგარიში სხვაობის შემცირება შეეძლო, მაგრამ ენდი სმიტმა პენალტი ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ, იმავე იოჰანსონმა მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე მესამე გაუტანა უსუსურ მეტოქეს და „რეინჯერსს" მორიგი სამი ქულაც მოუპოვა.

მეორე გლაზგოურმა კლუბმა „სელტიკმაც" 3:0 მოიგო. ჩემპიონთა რიგებში შვედმა ჰენრიკ ლარსონმა გარდა იმისა, რომ სამივე თავად გაიტანა, ისე კარგად ითამაშა, თავის სლოვაკ თავკაც იოჟეფ ვენგლოშს ათქმევინა, ეს ბიჭი ევროპაში საუკეთესოაო.

„პარკჰედზე" შეკრებილმა 59815-მა ქომაგმა მართლაც ძალიან ისიამოვნა ჩემპიონთა ლამაზი ბურთაობით, რომელიც ლარსონის წინამძღოლობით გაჩაღდა. ქვეყნის თასის ბოლოსწინა მფლობელმა „ჰართსმა" ძველ მეტოქეს ვერაფერი მოუხერხა.

პირველი გოლი შვედმა ცაციათი გაიტანა. სამ წუთში მანვე ვენგლოშის თანამემამულე გამთამაშებელის ლუბომირ მორავჩიკის კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს პირველმა შეუშვირა გრძელი თმებით დახუნძლული თავი და ანგარიში ორამდე გაზარდა. მესამე კი ფილ ო'დონელის წაქცევისთვის დანიშნული პენალტიდან შეაგდო. გარდა გოლებისა, ლარსონი თანაგუნდელებსაც ეხმარებოდა გამოზომილი პასებით და ამ უკანასკნელთ ცოტა მეტი ფხა რომ გამოეჩინათ, ანგარიში გაცილებით სამარცხვინო იქნებოდა „ჰართსისთვის". ვენგლოშმა ესეც თქვა:

— ადრე პაულო ფუტრესა და დევიდ პლატის დონის ფეხბურთელებთანაც მიმუშავია და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ — ლარსონი არანაკლები, ალბათ, უფრო ძლიერი მოთამაშეა.

ამ შეხვედრამდე სამი დღით ადრე „სელტიკს" „შეფილდ იუნაიტედის" წარმომადგენლები შეეხმიანნენ, ლარსონი მოგვეცით და ახლავე გიხდით 4 მილიონ გირვანქას, ანუ 6,56 მილიონ დოლარსო. ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რა პასუხი მიიღეს ინგლისელებმა შაბათის მატჩის მერე.

**ნოდარ ძასრაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 24 | 16 | 5 | 3 | 50:21 | 53 |
| კილმარნოკი | 23 | 11 | 8 | 4 | 31:14 | 41 |
| სელტიკი | 23 | 11 | 7 | 5 | 52:22 | 40 |
| სტ. ჯონსტონი | 24 | 9 | 9 | 6 | 29:33 | 36 |
| მოზერველი | 24 | 7 | 8 | 9 | 23:30 | 29 |
| აბერდინი | 24 | 7 | 6 | 11 | 27:40 | 27 |
| დანდი | 24 | 7 | 6 | 11 | 21:36 | 27 |
| ჰართსი | 24 | 6 | 6 | 12 | 22:34 | 24 |
| დანდი იუნ. | 24 | 5 | 8 | 11 | 23:29 | 23 |
| დანფერმლაინი | 24 | 2 | 13 | 9 | 18:37 | 19 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| ლარსონი (სელტიკი) | 18 |
| უოლესი (რეინჯერსი) | 14 |
| ჯესი (აბერდინი) | 13 |

## ამხანაგური მატჩი — 10 თებერვალი. იტალია - ნორვეგია

მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში იტალიამ სწორედ ნორვეგია დაამარცხა. ახლა ეს გუნდები კვლავ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, თუმცა თუ უდიდეს საფეხბურთო ტურნირზე გუნდებს უპრინციპულესი მატჩი ელოდათ, ხვალინდელი შეხვედრა მხოლოდ ამხანაგურია.

საფრანგეთი 98-ის შემდეგ „სკუადრა აძურამაც" და მისმა მეტოქემაც მწვრთნელები შეცვალეს. დინო ძოფმა ჩეზარე მალდინი შეცვალა, ნილს იოჰან სემბმა კი ემილ ოლსენი.

მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა და ევროპის ჩემპიონმა, ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარე ძოფმა, რომელიც დღესდღეობით იტალიის ნაკრებს ხელმძღვანელობს, შერჩეული ფეხბურთელთა ვინაობა კვირას დაასახელა.

იტალიის ნაკრებში კვლავ გამოჩნდა „ინტერის" გამთამაშებელი, ამ ბოლო ხანებში ბრწყინვალედ მოთამაშე რობერტო ბაჯო. გუნდს დაუბრუნდა გამოჯანმრთელებული კრისტიან ვიერიც, რომელსაც ბოლო დროს თითქმის ყველა შეხვედრაში გააქვს გოლი. „ლაციოს" ფორვარდი უეჭველი გააძლიერებს „სკუადრა აძურას" თავდასხმას.

იტალიის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ჯანლუიჯი ბუფონი (პარმა), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი); მცველები — ფაბიო კანავარო (პარმა), მარკ იულიანო, ჯანლუკა პესოტო (იუვენტუსი), პაოლო მალდინი (მილანი), ალესანდრო ნესტა (ლაციო), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), მორენო ტორიჩელი (ფიორენტინა); ნახევარმცველები — დემიტრიო ალბერტინი (მილანი), ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დინო ბაჯო, დიეგო ფუზერი (პარმა), სანდრო კოისი (ფიორენტინა), ეუსებიო დი ფრანჩესკო (რომა), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი); თავდამსხმელები — რობერტო ბაჯო (ინტერი), ენრიკო კიეზა (პარმა), ფრანჩესკო ტოტი (რომა), კრისტიან ვიერი (ლაციო).

**რეკლამა სარბიელ-ში**
Tel: 39 40 08 Fax: 93 16 08

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

## EURO — ჩვენი ჯგუფი

**საბერძნეთი 1:0 ბელგია**

1:0 იანაკოპულოსი (90)

საბერძნეთი: ელეფთეროპულოსი, კონსტანტინიდისი (მავროგენიდისი 67), კაციამბისი, ანცასი, კალიცაკისი, პურსანიდისი, იანაკოპულოსი, ზეკოსი (გეორგატოსი 67), ლიოლიდისი (ნიკოლაიდისი 67), ს. კონსტანტინიდისი, პ. კონსტანტინიდისი (ლიმბეროპულოსი 80)

ბელგია: დე ფლიგერი, კიმონი, დე ბრული, ვან მეირი, ლიენი (იანსენი 63), დე ბეკი, სტალენსი, დეფლანდრე, გოორი, დე ბილდე (ე. მპენზა 63), პიერი (მ. მპენზა 63)



ბელგიელი დეფლანდრე (№6) ბერძენ მეტოქეს პანტელის კონსტანტინიდისს ებრძვის

შარშან, დაახლოებით ამ დროს, საქართველოს ნაკრებმა მალტის ოთხთა ტურნირი მოიგო, წლეულს კი, სანამ ქართველნი ტაილანდში იასპარეზებენ, ჩვენმა მეტოქემ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, საბერძნეთმა, რომელიც კვიპროსს სტუმრობდა, ოთხთა ტურნირში პირველი ადგილი არავის დაუთმო.

ნახევარფინალში ბერძნემა ფინელები ბოლო წუთებზე გატანილი გოლით დაამარცხეს. ანგელ იორდანესკუს გუნდმა ფინალიც მატჩის მიწურულს გატანილი გოლით მოიგო. მსაჯის მიერ წამატებულ დროში სტელიოს იანაკოპულოსმა მახვილი კუთხიდან უძლიერესად დაარტყა და შეხვედრის ერთადერთი გოლი გაიტანა. თასიც ბერძნებმა ჩააბარეს.

იორდანესკუმ ფინელებთან მატჩის მერე განაცხადა, მერჩივნა, გუნდი უკეთეს პირობებში მომზადებულიყო. იგი არც მალავდა, რომ ტურნირს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. რუმინელი მწვრთნელის განწყობა ბერძენ ფეხბურთელებს არ გადაედოთ და მათაც ბოლომდე იბრძოლეს.

მთელი 90 წუთის მანძილზე უპირატესობას ბერძნები ფლობდნენ. ბელგია მეტოქეს მხოლოდ ერთ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს კომპონენტში ჩამოუვარდებოდა — გუნდური თამაშით იორდანესკუს რჩეული ფეხბურთელები ბელგიელებს სჯობდნენ.

სწორედ შეთანხმებულმა თამაშმა მოიტანა ის, რომ 27-ე წუთზე სოტირის კონსტანდინისი, ხოლო წუთის შემდეგ აპოსტოლოს ლიოლიდისი ბელგიელთა კარის დარაჯ გერტ დე ვლიგერთან პირისპირ დარჩნენ. ორივე შემთხვევაში ბერძნებმა ვერ ივარგეს. ამ ორი, თითქმის რეალური საგოლე მომენტის გარდა, ბერძნებს ანგარიშის გახსნა 70-ე წუთზეც შეეძლოთ — გრიგორის გეორგატოსმა საჯარიმო დარტყმა ძელს მოარტყა. ათ წუთში ბელგიელთა კარი კვლავ გადარჩა — იანის კალიცაკისის კუთხურის შემდეგ დარტმული თავური დე ფ ლიგერმა ვერ მოიგერია, მაგრამ მას ხარიხა დაეხმარა.

საბოლოოდ სამართალმა მაინც პური ჭამა.

მესამე ადგილისთვის მატჩში, რომელიც ფინალამდე ადრე გაიმართა, მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა. კვიპროსმა 2:1 მოუგო ფინეთს.

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი მეტოქე შესარჩევ ტურნირში სლოვენიის გუნდი ასევე საერთაშორისო ტურნირში მონაწილე, ოღონდ ომანში.

პირველი შეხვედრა სლოვენიელებმა შვეიცარიასთან დათმეს — ჰოდელის და კომიზეტის პირველ ნახევარში გატანილ ორ გოლს მათ ვერაფრით უპასუხეს.

სლოვენია ამ შემადგენლობით თამაშობდა: სიმეუნოვიჩი, გალიჩი (ბუდაიჩი 68), მილანიჩი, კნავსი, დომინკო (ს. გაისერი 46), ჩეხი (სიპოტი 74), პავლინი, რუდონია, ზაჰოვიჩი, ოსტერცი, უდოვიჩი (აკიმოვიჩი 46).

გუშინ სლოვენიამ 7:0 მოუგო ომანს. მასპინძლები სტუმრებმა ოსტერცის ოთხი, გაისერის, ზაჰოვიჩის და უდოვიჩის გოლებით დაამარცხეს. ქართველთა მეტოქენი 72-ე წუთამდე 2:0 იგებდნენ, დარჩენილ 18 წუთში კი ხუთი გოლი შეაგდეს.

საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი მეტოქე ნორვეგია, რომელმაც საერთაშორისო ტურნირში ასპარეზობაც მოასწრო და გამარჯვებაც (იანვარში ისრაელში), 10 თებერვალს იტალიის ქალაქ პიზაში მასპინძლებს ამხანაგურად გაეჯიბრება.

**ირაკლი ილაშვილი**

## ამხანაგური მატჩი

**აშშ 3:0 გერმანია**

1:0 კიროვსკი (16), 2:0 სანე (24), 3:0 რეინა (26)

სენსაცია! ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, გერმანიის ეროვნულ გუნდს 3:0 მოუგო. სამივე გოლი პირველი ტაიმის 26 წუთში, უფრო ზუსტად კი მის ათწუთიან მონაკვეთში, მე-16-დან 26-ე წუთამდე გავიდა. და კიდევ, სამივე გოლი გერმანულ კლუბებში მოთამაშე ამერიკელმა ფეხბურთელებმა გაიტანეს.

გეხსომებათ, ეს გუნდები გასულ ზაფხულს საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატზე შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ გერმანელებმა 2:0 მოიგეს, შაბათს კი ჯეკსონვილში გერმანელთა უძლიერესმა შემადგენლობამ მე-16 წუთზე პირველი გოლი გაუშვა: ჯოვან კიროვსკიმ საჯარიმოს გარედან დალაშქრა ოლივერ კანის კარი.

კიროვსკიმ, რომელიც მეორე ბუნდესლიგაში, კერძოდ კიოლნის „ფორტუნაში" თამაშობს, ჯეფ ეგუსის პასი მიიღო, მცველი, მარკუს ბაბელი ჩამოიტოვა და კანისთვის ძნელად მოსაგერიებელი დარტყმა შეასრულა.

24-ე წუთზე ანგარიში ბერლინის „ჰერტას" მოთამაშემ ტონი სანემ გაზარდა. მან იენს იერემისს მოპარა ბურთი, კარისკენ ჯიქურ დაიძრა და შორეულ მარცხენა ძელთან შეაგდო.

მესამე გოლი „ვოლფსბურგის" წევრმა კლაუდიო რეინამ გაიტანა. მან ისარგებლა იმით, რომ მცველებს უმეთვალყუროდ დარჩათ და ედი ლუისს პასით მიაღწია საწადელს. გერმანელებთან გამარჯვება ამერიკელების ახალი მწვრთნელისთვის, ბრუს არინასთვის ავსტრიასა და ბოლივიასთან ნათამაშევი ფრეების შემდეგ პირველი გამოდგა.



ბურთისთვის იბრძვიან გერმანელი მიხაელ პრეტცი (№9) და ამერიკელი რობინ ფრეიზერი

# დინამო ისევ ვითას ბარიერს შეასკდა

7 თებერვალი
თბილისი
ვერის ბაღი
**13 ტური**

**დინამო 85:102 ვითა**

I ტაიმი 45:46

დინამო: ნიკოლაძე (18), ხოშტარია (24), წიკლაური (6), ვ. აბულაძე (6), კილაძე (14); ხეცურიანი (2), ახვლედიანი, ნინიაშვილი (5), შანიძე (6)

ვითა: აბრამიძე (15), დავითულიანი (33), ჩუბინიძე (9), ორმოცაძე (14), ახალკაცი (2); ვაშაკიძე (8), კორძაძე (4), კოკოლიშვილი (17)

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**რატომ** ხდება, რომ ამ გუნდების შეხვედრისას გულშემატკივარი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს? მნიშვნელობა არ აქვს არც მათ სატურნირო მდგომარეობას და არც იმას, თუ რამდენად ძალუძთ კონკრეტულ მომენტში ერთმანეთს კონკურენცია გაუწიონ. „დინამო" — ვითა" (თუნდაც პირიქით) იყო და რჩება რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობის დაპირისპირებად, რაც თავის მხრივ წლებმა მოიტანა.

„დინამო", ქართული კალათბურთის ერთ დროს მქუხარე ფლაგმანი, საბჭოური ბატალიებიდან გადმოსროლილი ეროვნული ჩემპიონატის ბილიკზე შედგა და იმდროინდელი სიძლიერითა თუ ინერციით ქვეყნის უძლიერესის სახელი არავის დაანება. სწორედ აქ დამთავრდა ჩემპიონთა ძლევამოსილება, უფრორე მაშინ, როცა საკალათბურთო კაბადონზე „ვითა" გამოჩნდა, რასაც მისი ექვსწლიანი სრული ჰეგემონია მოჰყვა. ბევრჯერ სცადა „დინამომ" პირველობა დაებრუნებინა, მაგრამ აღმაფრენით მობურთალ „ვითას" ბარიერს ეხეთქებოდა და... დღემდეც ასე გრძელდება.

გუნდებმა არც ამჯერად უღალატეს ტრადიციას და სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ერთმანეთს, დაძაბული და სანახაობრივი შეხვედრა ექვსგზის ჩემპიონთა გამარჯვებით დასრულდა, თუმცა საბოლოო ანგარიში ნათლად არ ასახავს მატჩის სიმძაფრეს.

აბრამიძისა და ჩუბინიძის სროლებით „ვითა" მალე დაწინაურდა. თანაფარდობა ორი უსწრაფესი გარღვევით კილაძემ აღადგინა, რასაც წიკლაურის სიზუსტეც დაერთო და „დინამო" წინ გავიდა 6:4. ამ დროისათვის თამაშის ტემპმა შესამჩნევად იკლო, ორივე მხრიდან ჯარიმები გახშირდა და გუნდები ზუსტი პერსონალურებითღა აგროვებდნენ ქულებს. წინ მონაცვლეობით გადიოდნენ და სიტუაციაც ნელ-ნელა იძაბებოდა. ჩემპიონებმა ზონური დაცვა ირჩიეს, რაც არცთუ კარგად გამოსდიოდათ და ამით გიორგი ნიკოლაძემ ისარგებლა, რომელმაც მოწინააღმდეგე გუნდის მცველებს უყურადღებობა არ აპატია და მცირე დროში ორი სამიანითაც დასაჯა. ვითელთა მხრიდან დავითულიანი გააქტიურდა, რომელსაც გუნდის პირველი შეტევები ლოგიკურ დასასრულამდე მიჰყავდა. კარგად ჩაერთო ახალშემოსული ტატო ვაშაკიძეც, ზედიზედ ხუთი ქულა მიითვალა და თავისიანები დააწინაურა 37:32, თუმცა ახლა ირაკლი ხოშტარია ამოქმედდა ჩვეულად და ტაიმის ბოლოს სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა.

ასე თუ ისე, პირველ ნახევარში ვერც ერთმა გუნდმა ვერ მიაღწია საგრძნობ უპირატესობას. შესვენების შემდეგ კი „ვითა" უფრო ორგანიზებულად გამოიყურებოდა და ორმოცაძის, ახალკაცისა და აბრამიძის წყალობით, ორწუთეული 6:0 მოიგო. დინამოელები მთავარი მწვრთნელის, მოსეშვილის გარეშე ასპარეზობდნენ, რომლის მაგივრობაც ზაზა ცაგარეიშვილმა იკისრა. ამ უკანასკნელმა დროული წუთშესვენება აიღო და მოედანზე დაბრუნებულმა მისმა შეგირდებმა ხოშტარიას ძალისხმევით წონასწორობა აღადგინეს 54:54. იმავე ხოშტარიამ და ნიკოლაძემ ერთხანს წინაც გაიყვანეს თავისიანები, მაგრამ არც აბრამიძის სამიანმა დაახანა და შეხვედრის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე ანგარიში ისევ გათანაბრდა — 72:72.

აქ კი დადგა გადამწყვეტი მომენტი. მეტოქეებმა ნერვიულობა იწყეს და შეცდომებიც ორივე მხრიდან გახშირდა. სიტუაციიდან პირველი უფრო მეტად გამოცდილი „ვითა" გამოერკვა და ერთიორად მოუჭირა დაცვით მარწუხებს. დაცვაში რომ თამაში აეწყოთ, ახლა შეტევებსაც მიეძალნენ, რაც დაღლილი დინამოელებისთვის უფრო და უფრო ძნელი შესაჩერებელი ხდებოდა და საბოლოოდ დანებდნენ მოწინააღმდეგეს.

დავითულიანის, კოკოლიშვილის, ორმოცაძის გარღვევებს საპირისპირო მხრიდან მხოლოდ ხოშტარია პასუხობდა და სხვაობაც სულ უფრო თვალშისაცემი ხდებოდა...

**გიორგი გიქაშვილი**

# პრესინგს ცოდნა უნდა...

6 თებერვალი
თბილისი
ვერის ბაღი
**13 ტური**

**თსუ 88:79 კოლხა**

I ტაიმი 52:37

თსუ: ვეფხვაძე (6), დიმიტრიადი (21), მარკოიშვილი (17), წონელია (21), ხელაშვილი (6); თაბუაშვილი (4), არსიშვილი (5), მშვილდაძე (3), ქარჩავა (5)

კოლხა: ბერიშვილი (18), ბერია (12), კვაჭაძე (9), ძიძიგური (2), ბ. ქვილითაია (9); კეიდია (4), თოდუა (3), უგრეხელიძე (18), ვ. ქვილითაია (2), ვაშაკიძე (2)

მსაჯები: როლანდ ხომერიკი, ზურაბ აბაშიძე

დელეგატი: ალექსანდრე როსტომაშვილი

**სიახლეებს** რა გამოლევს ჩვენს ეროვნულში და ამჯერად სიურპრიზი სოხუმის კლუბმაც შემოგვთავაზა. სეზონის დასაწყისში ახალგაზრდული „კოლხა" სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა „იშვილა" და, როგორც ჩანს, სახელის გამოცვლაც მოსთხოვა. გუნდის მწვრთნელის ვაჟა კვარაცხელიას თქმით, „კოლხას" სსუ დაერქვა. ჩვენთვის კი გუნდის „გადანათვლის" ამბავი ოფიციალურად არავის უცნობებია.

ახლა თსუ-ზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა, მით უმეტეს, ცინცხალი ამბავი აქაცაა. წინა ტურში სტუდენტებს ცენტრი ხელაშვილი აკლდათ. ვერის ბაღში მოარული ჭორის თანამად, იგი ფედერაციას სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით უნდა დაესაჯა შეხვედრის დელეგატთან შეკამათების გამო. ჭორი ჭორად დარჩა და ხელაშვილი კვლავაც მოედანზე ვიხილეთ. თუ ახალ ჭორსაც დავუჯერებთ, კალათბურთის მამებმა ურჩი დაინდეს...

ჭორ-სიახლეებზე სიტყვა გამიგრძელდა და ჯობს, მატჩს დავუბრუნდეთ. ალბათ, გახსოვთ, გუნდების პირველი შეტოქება. მაშინ თსუ-მ მეტოქეს გასაქანი არ მისცა და „კოლხამ" მოედანი თავშერცხვენილმა დატოვა სამომავლოდ რევანშის წყურვილით... მაგრამ რევანში არ შედგა. თბილისელმა სტუდენტებმა პირველსავე წუთებიდან არად ჩააგდეს შურისმაძიებელნი და მათ რბევას მიჰყვეს ხელი. „კოლხაც" მოიკოჭლებდა და მოწინააღმდეგეთ დიდს ვერაფერს აკლებდა, რის შედეგადაც ანგარიშში 15-ქულიანი სხვაობა უმალვე დაფიქსირდა თსუ-ს სასარგებლოდ. სოხუმელებმა საქმის გამოსწორება დაცვაში გაფაციცებითა და ფარზე მეტოქის ბატონობის ალაგმვით დაიწყეს. მათმა მონდომებამ ნაყოფი გამოიღო და ტაიმის შუაწელში თსუ-ს წამოეწივნენ კიდეც (30:33), მაგრამ საქმე ამის აქეთ აღარ წასულა.

ხომ არ გგონიათ, თსუ-მ მეტოქეს მეტი აღარ დააცადა, არა, ბატონო, უბრალოდ, კოლხელები ბურთს კალათში ვეღარ ათავსებდნენ. მათ რა არ სცადეს, ხან შორიდან სროლები, ხან ახლოდან, მაგრამ ბურთი არა და არ ვარდებოდა. სოხუმელი სტუდენტების ცოდვილობას თბილისელთა გულები არ აუჩვილებია. მათ შედეგიანობას უფრო უმატეს და 50-ქულიანი ზღვარიც გადალახეს. „გაუმაძღარი" თსუ-ს შემხედვარე მაყურებელი მისი მეტოქის ყოველ მცდელობას ოვაციებით ხვდებოდა, მაგრამ ეს სოხუმელთათვის დიდი ვერაფერი ნუგეში იყო.

მეორე ნახევარიც „კოლხას" ფუჭი შეტევებით განახლდა. თსუ თავისას არ იშლიდა. დიმიტრიდი-მარკოიშვილის მეცადინეობით, სხვაობა კვლავაც სოლიდური გახდა. ხუთი წუთის შემდეგ 66:47 იყო თბილისელების სასარგებლოდ.

უიღბლო სოხუმელებს მხსნელად ბერიშვილი მოევლინათ. ამ ბიჭმა ზედიზედ ნასროლ ზუსტ სამიანებს ინდივიდუალური გარღვევები თუ ახლო მანძილიდან სროლები მოაყოლა და „კოლხამაც" ცოტა თვალებში გამოიხედა, თუმცა დროებით. ბერიშვილს პირველი ტაიმიდან 4 პერსონალური ჰქონდა და მოედანიც მალევე დატოვა. მისმა თანაგუნდელებმაც დაცვაში შეცდომებს და ჯარიმებს უმატეს და თსუ-საც რაღა დარჩენოდა, უფრო და უფრო წინ გავიდა — 81:68. ამით შეძრწუნებულმა სოხუმელთა მწვრთნელმა წუთშესვენება აიღო. მისი მოთამაშეები პრესინგზე გადავიდნენ და შეტევების ხეირიანად დასრულებასაც უმატეს. თუმცა, პრესინგსაც აქვს უარყოფითი მხარე. მეტოქის მჭიდროდ აყვანისას ხომ დაჯარიმების საფრთხეა, რაშიც გამოცდილება თამაშობს დიდ როლს. ამით კი სოხუმელი სტუდენტები დიდად ვერ დაიკვეხნიან და ჯარიმებმაც იმატა. თსუ-საც პერსონალური სროლების გამოყენება არ უჭირდა.

**მამუკა ტულუში**



13 ტური

# საუკეთესო მოთამაშე

## არჩილ ქლენტი
### -აზოტი-

სდასუ-ს დიდი ანგარიშით დამარცხება დიდად განაპირობა რუსთაველთა გამთამაშებლის არჩილ ქლენტის საუცხოო თამაშმა, რომელმაც გასაქანი არ მისცა მოწინააღმდეგის ლიდერ დავით თორთლაძეს. 5 სამქულიანით და 26 ქულით შეხვედრის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა.

**— რით ახსნით ლეგიონერების მისვლის შემდეგ აღზევებული სდასუ-ს საკმაოდ დამაჯერებლად დამარცხებას?**

— სდასუ-ს თამაში თითქმის მთლიანად თორთლაძესა და უძილაურზეა დამოკიდებული. „აზოტის" უმთავრესი მიზანი აღნიშნული კალათბურთელების ნეიტრალიზება იყო. თუ როგორ შევძელით ეს, ამის განსჯა გულშემატკივრებისათვის მიმინდვია.

**— რას თვლი შენი, როგორც კალათბურთელის უმთავრეს ნაკლად?**

— რა თქმა უნდა, სასწავლი ჯერ კიდევ ბევრი მაქვს, მაგრამ ჩემი უმთავრესი ნაკლი, რასაც ყველა აღნიშნავს, არის ფიზიკური მომზადება.

**— თამაშის დროს მოედნიდან შენს ხმამაღალ შეძახილებზე რას მეტყვი. ფიზიკურად ძლიერები გჩაგრავენ თუ...**

— ფიზიკური დაჩაგვრა არაფერ შუაშია. შეძახილი ჩვევად გადამექცა, რომელიც ბავშვობიდან გამომყვა.

**— შეგიყვარდა ეს ჩვევა და ამის გამო ვერ ელევი თუ გიჭირს გადაეჩვიო?**

— გადაჩვევა შეიძლება, მაგრამ მსაჯების გასაცურებლად საკმაოდ ოსტატურად გამომდის და ჯერჯერობით ვიყენებ.

**— ყველა მსაჯი ტყუვდება?**

— მაჩალაძესთან არაფერი გამომდის, რადგან ბავშვობაში ერთად ვთამაშობდით და კარგად მიცნობს. მან იცის ჩემი შეძახილების დანიშნულება და გაღიზიანებულს ამის გამო ხშირად დავუსჯივარ.

**— შენი თსუ-დან „აზოტში" გადასვლა უკეთესი პირობებით უნდა იყოს გამოწვეული. სავარჯიშო პირობებზეა საუბარი თუ ფინანსურზე?**

— სავარჯიშო პირობების მხრივ ჩვენი ყველა გუნდი სავალალო მდგომარეობაშია. ახლა უკიდურესად ჩამორჩენილ ქვეყნებშიც აღარ ვარჯიშობენ დღეში ერთხელ. ის ერთი ვარჯიშიც რაც შეიძლება ჩქარა გინდა ჩაამთავრო და წახვიდე.

**— ესე იგი, „აზოტმა" ფულით გადაგიბირა?**

— ასე გამოდის.

**— რა თანხაზე შეთანხმდით შენ და „აზოტის" ხელმძღვანელობა?**

— „აზოტთან" ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს გაფორმებული, რომლის ერთი პუნქტი ითვალისწინებს, რომ თანხა, რომელიც გუნდმა უნდა გადამიხადოს, საიდუმლოდ დარჩება. მართალია, ჯერჯერობით მიგვიანებენ, მაგრამ მჯერა, რომ ჩემს კუთვნილს ბოლოს მაინც მივიღებ.

**— მოსკოვის „სპარტაკიდან" წამოსვლის შემდეგ მახსოვს პოლონეთის გუნდებთან აწარმოებდი მოლაპარაკებას...**

— პოლონელებმა თავიანთ გუნდში თამაშისათვის მოქალაქეობის შეცვლა შემომთავაზეს, რაზედაც არ დავთანხმდი. ამჯერად „აზოტში" თავს მშვენივრად ვგრძნობ. გუნდში კარგი ატმოსფეროა და მოთამაშეებსაც კარგად შევეწყვე.

**— „აზოტის" სასტარტო ხუთეული მართლაც კარგად გამოიყურება. სუსტი ადგილი თუ აქვს გუნდს?**

— შეიძლება მოკლე სკამის გამო დავიჩაგროთ.

**— ისე ლაპარაკობ, რომ ფინალს უნდა უმიზნებდე.**

— ერთი ბრინჯაოსა და სამი ვერცხლის შემდეგ, მგონი, დროა, ოქროს მედალზეც ვიფიქრო.

**— ეროვნულ ჩემპიონატში განსაკუთრებით უკანა ხაზის მოთამაშეები აქტიურობენ, საერთაშორისო შეხვედრებში კი ყველაზე მეტი პრობლემა აქ გვაქვს.**

— ჩვენს სუსტ თამაშს გამოუცდელობით ავხსნი. გამოცდილებას კარგ ჩემპიონატში ჩატარებული, რაც შეიძლება მეტი შეხვედრა იძლევა. ჩვენი ჩემპიონატი კი არ არის ის ასპარეზობა, რომელიც კალათბურთელს საერთაშორისო შეხვედრებისათვის მოამზადებს.

**როლანდ ლაბუჩიძე**

# სამი ტაიმი და ტექნიკოსების გამარჯვება

6 თებერვალი
თბილისი
ვერის ბაღი
**13 ტური**

**მაკაბი 64:71 სტუ**

I ტაიმი 28:31

მაკაბი: ი.ბერიშვილი (16), მჭედლიშვილი (7), ტალაბაძე (16), ლასარეიშვილი (11), ფერიაშვილი (14); ხუხაშვილი

სტუ: ტულუში (2), გაგნიძე (22), ლოსაბერიძე (10), ცქიტიშვილი (6); ოთიურიძე (6), მოისწრაფიშვილი (2), სუხიშვილი, ჩერქეზიშვილი (5), მინაშვილი (15), ნაცვლიშვილი (9), ცხვედიანი (4)

მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

**შეხვედრის** შაბათს გადმოტანამ მაკაბელებს ბრძოლის წყურვილი არ გაუნელათ და ისინი თავგამოდებით ეკვეთნენ მეტოქეს. ერთი ესაა, ანდღულაძე, რომელიც წინა დღით დაუსრულებელ მატჩში თანაგუნდელებს შეეშველა, ახლა არსად ჩანდა და „მაკაბი", როგორც ყოველთვის, მოკლე სკამით შეჭირვებული იყო.

სტუ-საც განსხვავებული ხუთეული ჰყავდა. გუნდის ლიდერებად გაგნიძე და ტულუში მოგვევლინნენ, თანაც ამ უკანასკნელს მოწინააღმდეგეთა ვერცხლისწყალივით მოძრავი ირაკლი ბერიშვილის მეურვეობა ევალებოდა. მაგრამ მისი შეჩერება მართლაც ძნელი იყო და სტუდენტ უკანახაზელს ხშირად მოისწრაფიშვილი ენაცვლებოდა. თუმცა საქმეს არც ეს შველოდა და მალე გამოცდილი ჩერქეზიშვილიც გამოჩნდა. გამთამაშებელთა დუელზე სიტყვა გამიგრძელდა და სჯობს, მატჩს მივუბრუნდე. სტუ კვლავ ნაცადი ხერხით — პრესინგითა და სწრაფი კონტრიერიშებით ცდილობდა მაკაბელთა წელში გატეხვას. თავის მხრივ „მაკაბი" ზონური, ყრუ დაცვისა და მშვიდი თამაშის მომხრე იყო. ასე თუ ისე, მოწინააღმდეგენი თავიანთ ტაქტიკას იცავდნენ და თამაშიც ქულა-ქულაზე მიმდინარეობდა. მაკაბელები უბრძოლველად არაფერს თმობდნენ და ეს პირველი ტაიმის ანგარიშში სამქულიანმა სხვაობამაც ასახა.

თავის შესაძლებლობებში დარწმუნებული, ხშირი შეცვლებისა და მოთამაშეთა სიმრავლის იმედად მყოფი სტუ მეორე ნახევარშიც მშვიდად შეუდგა საქმეს და მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, დაცვის მისადგომები გაემაგრებინა. თავდასხმაში კი სტუდენტური გუნდი ხშირად სცოდავდა და დაჯარიმებასაც არ ერიდებოდა. „მაკაბიც" შეძლებისდაგვარად ხეირობდა, მაგრამ ანგარიშში 5-6-ქულიანი სხვაობის მინიმუმამდე შემცირებას ვერ ახერხებდა.

სტუ-ს სული და გული გაგნიძე გახლდათ. ეს ბიჭი მეტოქის შეტევებსაც შლიდა და ქულებსაც იხვეჭდა. ჰოდა, ამით დაარხეინებული სტუდენტობა კონტრიერიშების დასრულებას მას ანდობდა.

მეორე ტაიმის ბოლოს აქამდე სწრაფად მოთამაშე სტუ-მ დროის გაყვანას მიჰყო ხელი, ანგარიშიც ხელს უწყობდა (66:59 წინ იყო). „მაკაბი" კი ჩქარობდა. მაგრამ ხშირი დაჯარიმება მაინც თავისას აკეთებდა. და მაინც, მაკაბელები 5-6 ქულით მიუახლოვდნენ მეტოქეს (63:68). მოდუნებული სტუდენტების გონს მოსაყვანად მათმა თავკაცმა წუთშესვენება ითხოვა, რის წყალობითაც სტუ-მ ისევ იძალა და „მაკაბის" მონდომება კვლავ არ დაუფასდა.

**აჩიკო გელაშვილი**

13 ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აზოტი | 13 | 13 | 0 | 1076:909 | 26 |
| სტუ | 13 | 11 | 2 | 999:917 | 24 |
| ვითა | 13 | 9 | 4 | 735:653 | 21 |
| თსუ | 13 | 8 | 5 | 1072:1016 | 21 |
| დინამო | 13 | 7 | 6 | 1042:1033 | 20 |
| სდასუ | 13 | 6 | 7 | 928:998 | 19 |
| შევარდენი | 13 | 4 | 9 | 902:990 | 17 |
| მაკაბი | 13 | 3 | 10 | 960:1027 | 16 |
| კოლხა | 13 | 3 | 10 | 879:1040 | 16 |
| ასკ | 13 | 1 | 12 | 341:351 | 14 |

ვითას დაკლებული აქვს 1 ქულა

# 14 ტური ანონსი

საქართველოს ჩემპიონატი

## მაკაბი — ვითა

9 თებერვალი. ვერის ბაღი. 14 საათი

ეს მატჩი უფრო ერთ-ერთ რიგით რეპეტიციას ჰგავს გრანდიოზული გასტროლების წინ. თუ ვისთვის გვესახება ოდენ რეპეტიციად, ალბათ, მიგვიხვდით. ჩვენი ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონმა „ვითამ“ პირველი ტური ისე ჩაამთავრა (თუ ჩამთავრება ჰქვია), რომ ვერც ერთ ჩემპიონობაში მოცილეს მოუსინჯა მკლავის ძალა. სატურნირო ცხრილის ლიდერებს „ვითა“ ჯერ არსად გადაჰყრია და აქამდე გულს აუტსაიდერებთან თუ ლიდერთა ამპლუაში გარეულ კლუბებთან ჭიდილში იოხებს. „ჭიდილი“ სიტყვას მოჰყვა, თორემ შეჭიდება თითო-ოროლამ თუ შეჰბედა...

ასე რომ, ამ ტურში „ვითასთვის“ მეტოქე გემრიელ ლუკმად გვესახება. არა გვგონია, ხუთი მოთამაშის იმედად მყოფი „მაკაბი“ 6-ჯერ ბედის ნებიერს ყელზე დაადგეს. მით უმეტეს, რომ კლუბი საპურნირო ცხრილში ნაჩვევ ალაგას დაბრუნებაზე ოცნებობს და არა გვგონია, იგი მაკაბელთა თავგამოდებამ დაამსხვრიოს. თუმცა სჯობს, დაველოდოთ მატჩს, რომელშიც ალბათ, ორივე გუნდი მოთამაშენი ოსტატობას გამოავლენენ და მაყურებელსაც თვალსასეირო არ მოაკლდება... იმედია, ბოლო ხანებში ვერის დარბაზს შემოჩვეული უმუქობა თავს აღარ შეგვახსენებს და შეხვედრის ჩამთავრებაც მოხერხდება. და თუ გათბობაც იქნა, მაშინ ლამაზ ბურთაობას წინ აღარაფერი დაუდგება...

**მამუკა ტუღუში**

## ასკ — სტუ

9 თებერვალი. ვერის ბაღი. 15.45 საათი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი ლიდერის, დღევანდელი მეტოქე — არმიის სპორტული კლუბი, ახალგაზრდული გუნდია. ასკ-მ ძლიერ მეტოქეებთან წაგებული სამი მატჩის შემდეგ „შევარდენთან“ ნავსი გატეხა. აქ არმიელები უკეთესად გამოიყურებოდნენ და გააზრებული, დალაგებული თამაში უჩვენეს მაყურებელს. აქედან გამომდინარე, ისინი შეეცდებიან, ძლიერ მეტოქეს ტოლი არ დაუდონ, იბრძოლონ და მატჩი სასურველ შედეგამდე მიიყვანონ. კლუბი გამოუცდელია და ტექნიკური უნივერსიტეტის ძლიერ გუნდთან პაექრობა არმიელებისთვის მართლაც რთული საქმე იქნება.

სტუ-ში კი გამოცდილ კალათბურთელებთან, შალვა ცხვედიანთან და ნიკო ჩერქეზიშვილთან ერთად ეროვნული ნაკრების წევრები ვასილ ოთიურიძე, გიგი ნაცვლიშვილი და გიორგი გაგნიძე თამაშობენ. თუ ამას თსუ-დან გადასულ ტანმაღალ ნიკა ცქიტიშვილსაც დავუმატებთ, ადვილი მისახვედრია, რომ ამ შეხვედრაში ფავორიტი სტუ-ა. სტუდენტებს არა მარტო ასკ-სთან, არამედ მთელი ჩემპიონატის მოგება დაუსახავთ მიზნად. არმიელებთან შეხვედრაში, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, გამარჯვება სწორედ მათ უნდა დარჩეთ.

**ზურაბ გონაშვილი**

## აზოტი — თსუ

10 თებერვალი. ვერის ბაღი. 14 საათი

ერთი მხრივ, იოლი გამარჯვებებით გაღიღგულებული „აზოტი“ და მეორე მხრივ, თავდადებით მებრძოლი თსუ. საქმეში ჩახედულნი დამეთანხმებიან, რომ ბედის სასწორი რუსთაველებისკენ იხრება. სხვა თუ არაფერი, რუსთაველთა დამარცხება ჯერაც ვერავინ შეძლო. თანაც, ვიცე-ჩემპიონებს ისეთი შემადგენლობა ჰყავთ, მარტო სახელები დააფიქრებს მეტოქეებს. თუმცა, არსებობს დეტალები, რომლებიც განსჯის ღირსია.

გუნდს, რომელიც შეხვედრებს თითქმის უბრძოლველად იგებს, არ შეიძლება „უძლეველობის სინდრომი“ არ შეეყაროს. თუ აქამდე ასქულიანი ზღვარის გადალახვას ან დიდი ანგარიშით მოგებას ეშურებოდნენ, ახლა თავს ძველებურად აღარ იწუხებენ და მეტოქეებსაც მეტ გასაქანს აძლევდნენ. მოთამაშეები უმეტესად ინდივიდუალური ოსტატობით გადიან ფონს და ამას ვერ უარვყოფთ (სათამაშო კლასში დიდი განსხვავების გამო). და მაინც, შეიძლება გამოჩნდეს გუნდი, შედარებით დაბალი კლასის, მაგრამ გუნდური თამაშის მომხრე და ვაითუ „აზოტი“ დასაჯოს კიდეც.

ეს მხოლოდვარაუდია და მავანი იკითხავს, შეუძლია კი თსუ-ს, დამსჯელის როლი იტვირთოსო? რუსთაველებმა იქნებ კიდეც გვიწყინონ, სტუდენტები ამას როგორ შემოგვბედავენ, როცა სიმაღლეშიც თითქმის ერთი თავით ჩამოგვრჩებიან და ვერც ჩვენნაირი გრძელი სათადარიგო სკამი აქვთო. მაგრამ ვინ იცის...

თუმცა თსუ სიმაღლეში ჩამორჩენას არად დაგიდევს, ტანმაღალი მეტოქეების სიმრავლე მათთვის არაფერს ნიშნავს. თანაც, სტუდენტებს გააზრებული და კომბინაციური თამაში ჩვევიათ. რაც შეეხება მოკლე სათადარიგო სკამს, ეს მართლაც დიდი პრობლემაა, რადგან ძირითადი ჭირთვი ჯარიმების „მოხვეჭას“ არ ერიდება და შემდგომ, 5 პერსონალურის ზღვარს მიღწეულნი, ფრთხილობენ. თსუ-ს კიდევ ერთი უარყოფითი თვისებაც ახასიათებს — მატჩის რაღაც მონაკვეთში მოდუნდება ხოლმე (ეს შეუცვლელად თამაშის ბრალია), სტუდენტების მთავარ კოზირად მათი საბრძოლო ჟინი და გაუტეხლობა უნდა მივიჩნიოთ. თუ ამას ზემოთ ჩამოთვლილ პლიუსებს მივათვლით, თსუ მეტოქეს ბევრ საფიქრალს გაუჩენს.

**აჩიკო გელაშვილი**

## დინამო — სდასუ

10 თებერვალი. ვერის ბაღი. 15.45 საათი

ამ კლუბების ურთიერთშეხვედრათა ისტორია არცთუ ხანგრძლივია. ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადღება მისაქცევი უდაოდ მათი შარშანდელი მეტოქეობაა. წინა სეზონში ხომ სდასუ და „დინამო“ მესამე ადგილისთვის შეეჭიდნენ ერთმანეთს. იქამდე ორჯერ ხელმოცარული სტუდენტები (ბრინჯაოს მედლები ორჯერ „აზოტმა“ წაჰგვარათ) საკმაოდ ოილად გაუსწორდნენ დინამოელებს.

საეჭვოა, დამარცხებულებს ეს წყენა დავიწყებოდათ. მართალია, ნაწილობრივ პირველ წრეშიც მოიოხეს გული (სტუდენტებს თხუთმეტი ქულით მოუგეს), მაგრამ ახლაც შეეცდებიან იგივე გაიმეორონ, რაც ხოშტარია — ნიკოლაძე — კილაძეზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული. გასარკვევია მწვრთნელის ბედიც. წინა ტურში მოსეშვილი ავადმყოფობის გამო გუნდს ვერაფრით შეეწია და შესაძლოა, „დინამოს“ ახლაც ცაგარეიშვილმა უთავკაცოს.

მეტოქისგან განსხვავებით, სდასუ-ს მწვრთნელის ბედი უკვე გარკვეულია. ნუგზარ კანდელაკი პირად საქმეებზე საზღვარგარეთ იმყოფება. საფიქრალია, ეს გუნდის თამაშსაც დაეტყობა. სამაგიეროდ მწვრთნელობას სტუდენტთა ლიდერი დავით თორთლაძე შეითავსებს და თუ ამასაც ისევე წარმატებით გაართმევს თავს, როგორც მოედანზე ირჯება, სდასუ-ს წინ ვერაფერი დაუდგება.

**გიორგი გიქაშვილი**

## შევარდენი — კოლხა

10 თებერვალი. ვერის ბაღი. 17.30 საათი

მეორე წრეში გუნდები შესუსტებული შემადგენლობით ჩაებნენ ჩემპიონატში, თანაც ორივეს წამყვანი კალათბურთელები გამოაკლდათ. „შევარდენი“ ბექა ნუცუბიძემ და დავით აკოლაშვილმა დატოვეს, ხოლო „კოლხა“ ცენტრმა ვანო აბულაძემ. პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა „შევარდენის“ გამარჯვებით დასრულდა, და ბუნებრივია, „კოლხა“ რევანშისთვის გავა მოედანზე. ნუცუბიძის წასვლის შემდეგ „შევარდენს“ წინა ხაზზე პრობლემები გაუჩნდა. ბექას მაგივრად ამ რგოლში ჩემპიონატის ყველაზე ასაკოვან მოთამაშეს მალხაზ ლვინეფაძეს მოუწევს შებრძოლება ახალგაზრდა, ტანმაღალ დავით უგრეხელიძესთან. ამ მატჩის მოგება ორივე გუნდს შეუძლია, წინასწარ გამარჯვებულის დასახელება ძნელია. იმედია, მეტოქეები ყველაფერს გააკეთებენ მიზნის მისაღწევად და თამაშიც დაძაბული და საინტერესო იქნება — ერთმანეთს ხომ თითქმის თანაბარძალოვანი კლუბები ხვდებიან.

**გესო მეტრეველი**

რეგულარული ჩემპიონატი

# პეიტონი ჯანზეა, სტეფანია — სკამზე



REUTERS სიეტლიდან

სიეტლი — პორტლენდი. გერი პეიტონს (ბურთით) პორტლენდელი დეიმონ სტუდემაიერი უხეშად ეთამაშა

5 თებერვალი

**სიეტლი 92:86 დალასი**

სიეტლი: პეიტონი (28), ოუენსი (5), შრემპფი (9), ბეიკერი (18), პოლინაისი (10); ელისი (9), ვილიამსი (7), ნორისი (3), ჰოკინსი (2)

დალასი: სებალოსი (16)

ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას გუნდმა — „სიეტლ სუპერსონიქსმა“ სეზონი შინ მოგებით დაიწყო. სიეტლის მწვრთნელმა სტეფანია 14-კაციან განაცხადში კი შეიყვანა, მაგრამ, სამწუხაროდ, ერთი წუთითაც არ ათამაშა. ასე რომ, ლიგაში პირველი ქართველის ისტორიული დებიუტი მომავლისთვის გადაიდო. პოლ ვესტფოლმა კი თავისი სიეტლური კარიერა დალასთან არცთუ იოლი გამარჯვებით დაიწყო, რასაც გუნდის ლიდერ გერი პეიტონს უნდა უმადლოდეს. დალასელმა ეი.სი. გრინმა მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე 84:84 გახადა. იმ ერთ წუთში ვერავინ შეძლო თავის გამოჩენა და მატჩიც ოვერტაიმში გაგრძელდა, სადაც პეიტონმა ზედიზედ ექვსი ქულა გააკეთა.

**ინდიანა 96:81 ვაშინგტონი**

ინდიანა: როუზი (16)

ვაშინგტონი: ჰოვარდი (16)

დედაქალაქელები დაალალატა მიჩ რიჩმონდმა. წინა სეზონში მატჩში საშუალოდ 23 ქულის მომხვეჭი ექსსაკრამენტოელი 8 ქულასღა დაჯერდა.

**ატლანტა 100:83 კლივლენდი**

ატლანტა: სმიტი (21)

კლივლენდი: ილგაუსკასი (22 ქულა, 17 მოხსნა)

**შარლოტი 66:78 ფილადელფია**

შარლოტი: კოულმენი (11 ქულა, 15 მოხსნა)

ფილადელფია: აივერსონი (15)

**მაიამი 81:95 დეტროიტი**

მაიამი: მაშბურნი (19)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (24)

**ბოსტონი 92:103 ტორონტო**

ბოსტონი: უოლქერი (21)

ტორონტო: ვილისი (28 ქულა, 16 მოხსნა), კრისტი (27)

**ორლანდო 93:85 ნიუ იორკი**

ორლანდო: ანდერსონი (19)

ნიუ იორკი: სპრიუელი (24)

ახალი გუნდის პირველ ოფიციალურ თამაშში მშვენივრად გაისარჯა ლატრელ სპრიუელი, მაგრამ ნიუ იორკის სხვა ლიდერებმა — იუინგმა, ჯონსონმა და ჰიუსტონმა — თავი ვერაფრით გამოიჩინეს.

**სან ანტონიო 101:83 საკრამენტო**

სან ანტონიო: დანკანი (19 ქულა, 17 მოხსნა)

საკრამენტო: ვილიამსი (21), ვებერი (20 ქულა, 12 მოხსნა)

**იუტა 104:96 ჩიკაგო**

იუტა: მელოუნი (21)

ჩიკაგო: კუკოჩი (32)

შარშანდელი ფინალისტების შეხვედრა მოულოდნელად ერთობ საინტერესო გამოდგა. ბევრს არ ეგონა, რომ დასუსტებული „ჩიკაგო ბულზი“ აგრერიგად შეეწინააღმდეგებოდა ფინალში მისგან ძლეულ იუტას. ჩემპიონ გუნდს ძველი სასტარტო ხუთეულიდან მხოლოდ რონ ჰარპერიღა (18 ქულა) შემორჩა. გუნდის ლიდერობა კი ერთ დროს სათადარიგო ტონი კუკოჩმა ითავა და იუტას მეორე ნახევარში 22 ქულა ჩაუგდო, თუმცა ბოლოს მაინც ჯაზმა იმარჯვა.

**დენვერი 92:110 მინესოტა**

დენვერი: ვან ექსელი (17 ქულა, 10 პასი)

მინესოტა: სმიტი (23), მარბერი (21 ქულა, 10 პასი)

**კლიპერსი 92:101 ფინიქსი**

კლიპერსი: ოლოვოკანდი (14)

ფინიქსი: გულიოტა (24 ქულა, 17 მოხსნა)

**ლეიკერსი 99:91 ჰიუსტონი**

ლეიკერსი: ონილი (30 ქულა, 14 მოხსნა), ბრაიანტი (25 ქულა, 10 მოხსნა)

ჰიუსტონი: ბარკლი (31 ქულა, 15 მოხსნა)

სამი ოლსტარელის — ონილის, ბრაიანტის და ჯონსის ტრიომ აჯობა ჰიუსტონს, რომლის ბიჭებშიც გამოდიან ასოციაციის ყველა დროის 50 უძლიერესი მოთამაშის კრებულიდან სამი — ოლაჯუონი, ბარკლი და პიპენი. ჰიუსტონელთაგან მხოლოდ ბარკლი გამოირჩეოდა. პიპენი ამომავალმა სუპერვასკვლავმა კობი ბრაიანტმა დაჩრდილა და 18 სროლიდან ოთხი ჩააგდებინა, შაკილ ონილმა კი პირდაპირ გააწამა კარგად შებერებული ჰაკიმ ოლაჯუონი, რომელმაც მეორე ნახევარში ქულა რაა, ისიც ვერ გააკეთა (პირველში 11 ქულა), მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მეექვსე პერსონალური მიიღო. მატჩის შემდეგ ონილზე თქვა, ისეთი დიდია, არა მგონია, მისი გაჩერება ვინმემ შეძლოსო.

6 თებერვალი

**ვაშინგტონი 98:97 ტორონტო**

ვაშინგტონი: რიჩმონდი (26), სტრიკლენდი (16 ქულა, 11 პასი)

ტორონტო: ოკლი (18)

**ბოსტონი 77:73 კლივლენდი**

ბოსტონი: უოლქერი (22)

კლივლენდი: კემპი (18)

**შარლოტი 107:113 მილუოკი**

შარლოტი: კოულმენი (17 ქულა, 13 მოხსნა)

მილუოკი: რობინსონი (25), ალენი (25)

დელ კარიმ თავის ყოფილ გუნდს, შარლოტს, 17 ქულა ჩაუგდო და რობინსონსა და ალენს გვარიანად შეეშველა. შარლოტმა კი, რომელსაც ლიდერები — რაისი და მეისონი აკლდა, მეორედ წააგო.

**ატლანტა 111:106 ნიუ ჯერსი**

ატლანტა: სმიტი (28), ელისი (21)

ნიუ ჯერსი: კასელი (36), ვან ჰორნი (29)

**ფილადელფია 95:75 ორლანდო**

ფილადელფია: გეიგერი (20)

ორლანდო: ჰარდევეი (24)

ფილადელფიას საწყისი ორი მატჩი შორეულ 1989 წელს მოუგია. მაშინ ორლანდო მხოლოდ ერთი წლის იყო.

**სან ანტონიო 96:82 მინესოტა**

სან ანტონიო: დანკანი (22 ქულა, 14 მოხსნა), ელიოტი (22)

მინესოტა: გარნეტი (19 ქულა, 16 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 84:86 ჰიუსტონი**

გოლდენ სტეიტი: სტარქსი (15)

ჰიუსტონი: ბარკლი (18 ქულა, 20 მოხსნა)

7 თებერვალი

**გოლდენ სტეიტი 99:102 დალასი**

გოლდენ სტეიტი: კამინგსი (23 ქულა, 15 მოხსნა), სტარქსი (20 ქულა, 12 პასი)

დალასი: სებალოსი (26)

მასპინძლები დაალალატა მთელ მატჩში მშვენივრად მოთამაშე ტერი კამინგსმა, ვინაც მეორე ოვერტაიმის დამთავრებამდე 27 წამით ადრე ბურთი დაკარგა 99:100 ანგარიშზე.

**კლიპერსი 84:89 ჩიკაგო**

კლიპერსი: მიურეი (20)

ჩიკაგო: კუკოჩი (22 ქულა, 11 პასი)

ჩემპიონმა ჩიკაგომ ამჯერად მოახერხა ემარჯვა, ტონი კუკოჩი აქაც ბრწყინვალე იყო. მას ერთი მოხსნაღა დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

**საკრამენტო 109:87 ვანკუვერი**

საკრამენტო: ვებერი (25 ქულა, 15 მოხსნა)

ვანკუვერი: რივზი (14)

საკრამენტოელ ვლადე დივაცს (16 მოხსნა, 10 პასი) ორი ქულა დააკლდა სამმაგ დუბლამდე, კრის ვებერს კი სულაც ორი პასი და ერთი დაფარება უიშვიათეს ოთხმაგ დუბლამდე.

**სიეტლი 91:88 პორტლენდი**

სიეტლი: პეიტონი (32), ოუენსი (8), შრემპფი (12), ბეიკერი (8), პოლინაისი (4); ნორისი (12), ელისი (8), ვილიამსი (4), ჰოკინსი (3)

პორტლენდი: სტუდემაიერი (19)

სიეტლმა კვლავ მოიგო. ამჯერადაც გერი პეიტონის ძალისხმევით. პეიტონმა და მუჩი ნორისმა ერთად დაძლიეს სიეტლის ათქულიანი ჩამორჩენა ბოლო მეოთხედში და პორტლენდს ბოლო წამებზე გამოავლეს პირში ჩალა. სამწუხაროდ, სიეტლის მწვრთნელმა პოლ ვესტფოლმა არც ამჯერად ჩათვალა საჭიროდ ვლადიმერ სტეფანიას მოედანზე შეშვება.

**ფინიქსი 115:108 დენვერი**

ფინიქსი: გულიოტა (29 ქულა, 13 მოხსნა)

დენვერი: მაკდაიესი (28), ვან ექსელი (20)

**ნიუ ჯერსი 79:69 ატლანტა**

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (24)

ატლანტა: სმიტი (24)

**ლეიკერსი 91:100 იუტა**

ლეიკერსი: ონილი (37 ქულა, 14 მოხსნა)

იუტა: მელოუნი (28), სტოქტონი (26 ქულა, 11 პასი)

იუტა ჰიუსტონზე კერკეტი კაკალი აღმოჩნდა და ლეიკერსმა ვერ შეძლო მეორე თამაშიც მოეგო. ონილი და ბრაიანტი (16 ქულა, 12 მოხსნა) ამჯერადაც კარგები იყვნენ, მაგრამ მელოუნი და სტოქტონი — უკეთესები.

**დეტროიტი 107:98 ინდიანა**

დეტროიტი: ჰილი (26)

ინდიანა: მილერი (26)

**ნიუ იორკი 79:83 მაიამი**

ნიუ იორკი: იუინგი (24 ქულა, 17 მოხსნა), ჰიუსტონი (21)

მაიამი: მაშბურნი (23)

სპრიუელმა ამჯერად თავი შეირცხვინა და ოდენ ხუთ ქულას დასჯერდა. სამაგიეროდ ორლანდოსთან წინა მატჩის შემდეგ თავი გამოიდეს იუინგმა და ჰიუსტონმა, თუმც მათი ნიუ იორკი მეორე ფლორიდულ გუნდსაც წაგებას გამორჩა.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ყაჩაღები, ბრმები და ჯენტლმენები

5 Nations
ხუთი ერის პირველობა

დუბლინი, ლენსდაუნ როუდი, 49000 მაყურებელი

**ირლანდია 9(6):10(0) საფრანგეთი**

ირლანდია: ოში; ბიშოპი, მეგსი, ბელი (ჰენდერსონი 15), დემფსი; ჰამფრიზი, მაკგინესი, ოკუინიგენი, კოსტელო (ბრენანი 51), მილერი, დევიდსონი, ჯონსი (კაპ.), უოლესი (ფიცპატრიკი 45-47), ვუდი, კლოჰესი (ფიცპატრიკი 64)
3 ს — ჰამფრიზი
საფრანგეთი: ნტამაკი; ბერნა-სალი, დურთი, კომბა, ლომბარი (გომესი 79); კასტანიედი, კარბონო, მანი, ტ. ლიევრემონი, ბენეტონი, პელუ (კლედა 69), ბრუზე, ტურნერი, იბანესი (კაპ.), კალიფანო (მარკონე 41)
1 ლ — ნტამაკი; 1 გ და 1 ს — კასტანიედი
გაფრთხილება: ბერნა-სალი (56); ბრენანი (78
მსაჯი: მარშალი (ავსტრალია)

გასულ შაბათს ირლანდიურმა „ოლსტერმა" ევროთასის ფინალში ფრანგულ „კოლომიეს" რომ აჯობა, ირლანდიელების უტეხი სულისა და გამარჯვების წყურვილის შესახებაც ვწერდით. ამ შაბათს იმავე სტადიონზე „მწვანეები" და „ლურჯები" კვლავ გაეჯიბრნენ ერთმანეთს, ოღონდაც ნაკრებების დონეზე. ირლანდიას ხუთი ერის პირველობის გახსნის მატჩი აგერ უკვე 12 წელია არ მოეგო და, ცხადია, სურდა ამ ტურნირის უკანასკნელ გათამაშებაში ეს ტრადიცია დაერღვია. ეს სურვილი იმდენად დიდი იყო, რომ მასპინძლებმა უკან არაფერზე დაიხიეს და „უტეხ სულსა და გამარჯვების წყურვილს" საარაკო მუშტი-კრივიც მიახმარეს. ისინი ნამდვილი ყაჩაღებივით დაერივნენ „მამლებს", რომელთა სასახელოდაც უნდა ითქვას, რომ კუნძულელების უხეშობას არ აჰყვნენ და მთელი მატჩი ჯენტლმენურად ჩაატარეს, ისე, როგორც ნამდვილ რაგბის ეკადრება და შეშვენის.

შეხვედრა სტუმართა უპირატესობით დაიწყო, რაც ოდნავ მოულოდნელი იყო, რადგან ფრანგებს საკუთარი თამაშის საპოვნელად ოციოდე წუთი მაინც სჭირდებათ ხოლმე. „მწვანეებმა" ეს ვერ იგუეს და დაიწყო... ჩაწიხვლა, მუშტის ქნევა, იდაყვის ჩარტყმა. ფრანგები თავიდან, ალბათ, ფიქრობდნენ, რომ ავსტრალიელი მსაჯი ამას მალე მოუღებდა ბოლოს, მაგრამ ბატონი მარშალი, ისევე, როგორც მისი თანაშემწეები, თითქოს დაბრმავებულიყვნენ. მასპინძლების თამაშგარეებს ხომ საერთოდ არ აქცევდა ყურადღებას, მალე კი ამას ფრანგთა წინააღმდეგ სტვენაც მიაყოლა.

ირლანდიელთა ერთ-ერთი შეტევისას მოიერიშე შებოჭეს და მანაც ბურთი უკან გადააგდო — მსაჯმა ხელით წინ თამაშისთვის სტუმრები დააჯარიმა! რამდენიმე წუთში ნტამაკი გაიჭრა მეტოქის სალელოე მოედნისკენ, ის წესების აშკარად უხეში დარღვევით შეაჩერეს — ჯარიმა ირლანდიელთა სასარგებლოდ! პირველ ტაიმში ამის მსგავსი უამრავი მომენტი იყო, რამაც მასპინძლებს საშუალება მისცა, სამი საჯარიმო გაეტანათ.

მეორე ტაიმი მსაჯმა „ახალი წესებით" დაიწყო — ირლანდიელთა (და მხოლოდ ირლანდიელთა) მიერ თამაშგარეს წესის დარღვევისას ის საჯარიმოს ნაცვლად შერკინებას ნიშნავდა. ერთი ზედახორისას ვუდმა გემრიელად ჩააზილა ბენეტონს, რომელმაც თავის დაცვა სცადა. მსაჯმა კი... მსაჯმა ბერნა-სალს, რომელიც მოჩხუბრებისგან 10 მეტრით იყო დაშორებული, ყვითელი ბარათი უჩვენა.

51-ე წუთზე კი მოედანზე მძვინვარე, სისხლმოწყურებული არსება შევიდა — ტრევორ ბრენანი. კოსტელოს შემცვლელს, ალბათ, თავი ომში ეგონა — იმდენი იჩხუბა და იბრძოლა (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით), რომ ბატონ მარშალსაც კი „დაუბრუნა" თვალისჩინი და გაფრთხილება დასტყუა.

ამ თამაშის მოგება „ოლ ბლექსსაც", „ქურციკებსაც" და „ვოლაბებსაც" გაუჭირდებოდათ. „მამლებმა" რომ ეს შეძლეს, მათ სიძლიერეზე და კლასზე მეტყველებს. შეხვედრის ერთადერთი ლელო ნაკრებში ახალდაბრუნებული ემილ ნტამაკის ანგარიშზეა. გარდასახვით და მატჩის მე-80 წუთზე გატანილი საჯარიმოთი კი ტომა კასტანიედმა მიითვალა ხუთი ქულა. ხოლო მსაჯის მიერ წამატებულ დროში ფრანგები კიდევ ერთხელ დაჯარიმდნენ (ამჯერად სამართლიანად), მაგრამ ჰამფრიზმა „სამართლიანადვე" ვერ მოუტანა თავის გუნდს გამარჯვება.

„ეს რაგბის მატჩი კი არა, ნამდვილი ომი გახლდათ. ბოლო საჯარიმო, ერთი შეხედვით, იოლი გასატანი ჩანდა, მაგრამ ძალიან ძნელი შესასრულებელი იყო, რადგან საშინლად დაძაბული ვიყავი. მიხარია, რომ მაინც გავიმარჯვეთ" — კასტანიედს, ისევე, როგორც მთელ საფრანგეთს, ეს მატჩი დიდხანს ემახსოვრება.

**გაიოზ თალაქვაძე**

# უელსელებმა გამოუცდელობა დაიბრალეს

ედინბურგი, მარიფილდი, 67 000 მაყურებელი

**შოტლანდია 33(8):20(13) უელსი**

შოტლანდია: მეტკალფი, კ. მიურეი, თაუნსენდი, ჯ. ლესლი, ლოგანი, ჰოჯი (ტაიტი 46), არმსტრონგი, პეტერსი, მ. ლესლი, უოლტონი (პატნი 62), ვეირი (გრიმსი 62), ს. მიურეი, ბარნელი (ჰილტონი 72), ბალოქი, სმიტი
4 ლ — ჯ. ლესლი, თაუნსენდი, ტაიტი, ს. მიურეი. 2გ — ლოგანი, 3ს — ლოგანი 2, ჰოჯი
უელსი: ჰოვარსი, ჯეიმსი, ბეითმენი, გიბსი, რობინსონი, ჯენკინსი, ჰოული, ქვინელი, უილიამსი, ჩარვისი, უაიტი, გუგი (ვოილი 66), ენტონი, ჰამფრიზი (უილიამსი 46), მორისი
2ლ — ჯეიმსი, გიბსი 2გ და 2ს — ჯენკინსი
მსაჯი: ედ მორისონი (ინგლისი)

მატჩის შემდეგ სკოტები უზომოდ ხარობდნენ — მათ ხომ უკვე ორი წელია, უელსელებისთვის არ მოუგიათ. მეტოქეებს, როგორც შარშანწინ, ახლაც პირველივე ტურში მოუხდათ დაპირისპირება და მაშინ შოტლანდიელები 19:34 დამარცხდნენ. შაბათს კი, მათ თვალსასეირო და ღია თამაშით შეიძლება ითქვას, წლევანდელი გათამაშების პირველი სიურპრიზი შემოგვათავაზეს.

მასპინძლები შეხვედრის პირველივე წუთზე დაწინაურდნენ გაშოტლანდიელებული ზელანდიელის ჯონ ლესლის წყალობით, რომელმაც შეტევის მარცხენა ფრთაზე თითქმის 50 მეტრი ირბინა და ხუთი ერის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ლელო გაიტანა. ამის მერე უპირატესობას მთლიანად სტუმრები დაეუფლნენ, რაც ანგარიშზეც აისახა. ერთადერთი, რაც მასპინძლებმა შეძლეს, ტაიმის დასრულებამდე ჰოჯის მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი მოპოვებული 3 ქულა იყო, თუმცა ამ დროისთვის უელსელები უკვე 10:5 იგებდნენ. ჯერ იყო და ჯენკინსმა საჯარიმოთი შეამცირა ანგარიშში სხვაობა. ნახევარ საათში კი ჰოულის მიერ მოედნის შუაგულიდან წამოწყებული შეტევა ჯეიმსის ლელოთი დასრულდა და სტუმრებიც პირველად დაწინაურდნენ. ჯენკინსმაც არ გაუშვა ხელიდან შანსი და ზუსტად გარდასახა. ტაიმის მიწურულს მან 5 ქულითაც კი დააწინაურა თანაგუნდელები 8:13.

მეორე ნახევარში სკოტებმა მეტოქეს უფრო აგრესიულად შეუტიეს. ასეთმა ტაქტიკამ მატჩის მიწურულსაც გაამართლა, მანამდე კი, შეხვედრის განახლებიდან შვიდ წუთში, მასპინძლებმა სწრაფად გაითამაშეს ჯარიმა და თაუნსენდმა, რომელმაც უელსელების უკანახაზელების შეცდომით ისარგებლა, ხაზი გაჭრა და შეტევა ლელოთი დააგვირგვინა. თუმცა შოტლანდიელთა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. თხუთმეტ წუთში გიბსმა კვლავ სტუმრები გაიყვანა წინ, მაგრამ ეს იყო და ეს. უელსელებმა ველარ მოახერხეს მეტის გაკეთება. ბოლო თორმეტი წუთი მთლიანად მასპინძლებისა იყო. ამ ხნის განმავლობაში მათ ორი ლელო გაიტანეს. რომელთაგან ლოგანმა მხოლოდ ერთი გარდასახა, თუმცა ამას ორი ზუსტად შესრულებული საჯარიმოც მიამატა და შეხვედრას წერტილიც დაუსვა.

ცხადია, უელსელთა დამრიგებელი გრეჰემ ჰენრი საბოლოო შედეგით და შეგირდთა თამაშით უკმაყოფილო იყო: „მასპინძლების გამარჯვება ლოგიკური იყო, რაც უმთავრესად მათი წინახაზელების დამსახურებაა. ჩვენ, სამწუხაროდ, ჩვენი შესაძლებლობები ვერ გამოვიყენეთ, რაც, ალბათ, გამოუცდელობის ბრალია".

**პაატა თოთაძე**



REUTERS ფოტოქრონიკიდან

შოტლანდიელთა სალელოში „შეფრენილმა" სკოტ გიბსმა უელსელთა მეორე ლელო გაიტანა





ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS ფოტოქრონიკიდან

მარტინა ჰინგისმა თავისი ადგილი დაიბრუნა

# ჰინგისი ისევ პირველია

ტოკიო. იაპონია.
დარბაზი. ხალიჩა.
საპრიზო 1,05 მილიონი $

მარტინა ჰინგისი ისევ პირველი ჩოგანია. 18 წლის შვეიცარიელის 12 ოქტომბერს შეწყვეტილი ჰეგემონია წყნარი ოკეანის ღია პირველობაზე აღდგა, რაკიღა შარშანდელმა ჩემპიონმა და აწ უკვე ექსპირველმა ლინდსი დევენპორტმა მეოთხედფინალში მოულოდნელად წააგო და გვარიანად ქულებიც დაკარგა, მარტინამ კი პირიქით, ყველა მეტოქე ჩამოიშორა გზიდან.

გასული სეზონი ჰინგისისთვის არცთუ წარმატებული გამოდგა, ამიტომ შემოდგომაზე შესანიშნავად მოასპარეზე დევენპორტის გაპირველება არც მოულოდნელი იყო და არც დაუმსახურებელი. მანამდე იოლ მოგებებს დაჩვეულმა შვეიცარიელმა კი, როგორც იქნა, მოიწადინა და თავისი ადგილის დაბრუნების პრეტენზიებს საქმეც შეუწყვილა: „გაცილებით მეტი დრო დავუთმე ვარჯიშს, ზედმეტი წონა დავიკელი, ფიზიკურად გავძლიერდი და, რაც მთავარია, თავიც ძველებურად ამიმუშავდა".

ყველაზე მძიმე მატჩი ტოკიოში მარტინას მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან შტეფი გრაფთან გადახდა მეოთხედფინალში. დიდმა გერმანელმა მეტოქე პირველ სეტში დაჩაგრა და მესამეშიც 3:1 დაწინაურდა, მაგრამ როგორც ამ ბოლო ხანებში ხშირად ხდება, ისევ ფიზიკურმა მზადყოფნამ დაალალატა — გასავათების გამო მატჩის ბოლოს ექიმის ხმობა დასჭირდა და ჰინგისს ხეირიანი წინააღმდეგობა ველარ გაუწია.

კლასიფიკაციაში დევენპორტის გადასასწრებად შვეიცარიელს ფინალში გასვლა, ანუ შაბათს მეწყვილის, იანა ნოვოტნას დამარცხებაც ყოფნიდა.

მარტინამ მატჩი შესანიშნავად დაიწყო და პირველი სეტის იოლად მოგების შემდეგ მეორეში 5:2 დაწინაურდა, თუმცა თავისთვის ასე მნიშვნელოვან გამარჯვებას მიახლოებული ძალიან ანერვიულდა, ზედიზედ რამდენიმე ააცილა და მეტოქეს ანგარიში მინიმუმამდე შეამცირებინა.

მაგრამ ნოვოტნას მეტოქის სისუსტით არ უსარგებლია, მატჩ-პოინტზე ფორჰენდი ბადეში გაახვია და თავმდაბლობით არასოდეს გამორჩეულმა ჰინგისმა პრესკონფერენციაზე მორიგი ტირადა დაარტყა: „ბედნიერი ვარ, რომ პირველობა დავიბრუნე. იმედი მაქვს, ახლა მას კიდევ უფრო მეტი ხნით შევინარჩუნებ, შეიძლება, კარიერის ბოლომდეც. მე ყოველთვის საუკეთესო მინდა ვიყო".

მასპინძელთა სამწუხაროდ, მეცხრე ცაზე მყოფმა შვეიცარიელმა ფინალიც ცალკარა მატჩად გადააქცია. დევენპორტისა და სელეშის მძლეველმა, „პატარა გიგანტად" სახელდებულმა ჩია კუტცერმა უშეცდომოდ მოთამაშე ჰინგისთან ვერაფერი გააწყო და ორივე სეტის პირველი ოთხი გეიმი წააგო.

„როცა ახალგაზრდა ვიყავი, ხალხი მეუბნებოდა, მკვლელის ინსტიქტი არა გაქვსო, მაგრამ ვფიქრობ, აუცილებელი არ არის, ყველა მატჩი შტეფი გრაფივით 6:0, 6:1 მოიგო" — აღნიშნა მატჩის შემდეგ ჰინგისმა, რომელსაც გამარჯვებისთვის 150 ათასი დოლარი ერგო.

* * *

მეოთხედფინალი: **მარტინა ჰინგისი** (2, შვეიცარია) — შტეფი გრაფი (5, გერმანია) 3:6, 6:2, 6:4; **ამანდა კუტცერი** (7, სამხრეთ აფრიკა) — ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) 2:6, 6:4, 6:3; **მონიკა სელეში** (4, აშშ) — ანა კურნიკოვა (6, რუსეთი) 7:5, 6:3; **იანა ნოვოტნა** (3, ჩეხეთი) — ნატაშა ზვერევა (8, ბელარუსი) 7:5 — ტრავმა.
ნახევარფინალი: **ჰინგისი** — ნოვოტნა 6:3, 6:4; **კუტცერი** — სელეში 6:4, 6:2
ფინალი: **ჰინგისი** — კუტცერი 6:2, 6:1

# ფრანგული კვირა

მარსელის ღია პირველობა.
საფრანგეთი. დარბაზი, ხალიჩა.
საპრიზო 540 ათასი $

ტურნირის მთავარი ფავორიტების — როლან გაროსის ჩემპიონის კარლოს მოიასა (1) და ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებულს, ევგენი კაფელნიკოვის (2) პირველ-მეორე წრეში გავარდნის შემდეგ (კაფელნიკოვმა მუხლის ტრავმაც მიიღო) ბურთი და მოედანი მასპინძლებმა ირგუნეს.

ნახევარფინალში მოასპარეზე ოთხი ჩოგბურთელიდან სამი ფრანგი გახლდათ, მეოთხე — ორმეტრიანი მარკ როსე ფრანგულენოვანი შვეიცარიელი.

ფინალი სულაც რეგიონალურ პირველობას ჰგავდა: ფაბრის სანტორო მარსელიდან 50 კილომეტრში მდებარე ტულონში დაბადებული და გაზრდილი, 21 წლის კლემანი კი უკვე კარგა ხანია, ადგილობრივი კლუბის სახელით თამაშობს.

სანტოროს გამოცდილებამ თავისი გაიტანა — საჩოგბურთო საზომებით ჯუჯა ფინალში (არცერთის სიმაღლე 1,75 მეტრს არ აღემატებოდა) ორივე მხრიდან ორი ხელით მოთამაშე ფრანგმა დაძაბულ ორთაბრძოლაში იმარჯვა და კარიერის მეორე ტიტული და 72 ათასი დოლარი მიითვალა.

სიცოცხლეში პროფესიონალური ტურნირის ფინალში პირველად გასულმა კლემანმა კი თავი დაიმშვიდა: „იმედი კი გამიცრუვდა, მაგრამ ერთი მხრივ შეიძლება ასე უკეთესიც იყოს — მახსოვს, ერთხელ სახალხოდ დავდე პირობა, მარსელში თუ გავიმარჯვებ, ჩოგბურთს თავს დავანებებ-მეთქი".

* * *

მეოთხედფინალი: **სედრიკ პიოლინი** (3, საფრანგეთი) — ნიკოლა ესკუდე (6, საფრანგეთი) 7:6 (7:5), 7:6 (8:6); **მარკ როსე** (4, შვეიცარია) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:2, 6:1; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — როჯერ ფედერერი (შვეიცარია) 6:3, 6:3; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:4, 6:3.
ნახევარფინალი: **სანტორო** — როსე 6:4, 6:4; **კლემანი** — პიოლინი 6:4, 6:1
ფინალი: **სანტორო** — კლემანი 6:3, 4:6, 6:4

**ავთანდილ სვანიძე**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა თასი

| | |
|---|---|
| ინტერი | 2,5 |
| იუვენტუსი | 3,0 |
| მანჩესტერი | 3,0 |
| ბაიერნი | 4,0 |
| რეალი | 5,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 |
| დინამო | 10,0 |
| ოლიმპიაკოსი | 50,0 |

### თასების თასი

| | |
|---|---|
| ლაციო | 2,0 |
| ჩელსი | 2,0 |
| მალიორკა | 3,0 |
| ლოკომოტივი | 8,0 |
| მაკაბი | 15,0 |
| ვარტექსი | 50,0 |
| ვალერენგა | 50,0 |
| პანიონიოსი | 50,0 |

### უეფას თასი

| | |
|---|---|
| რომა | 3,0 |
| პარმა | 3,0 |
| მარსელი | 4,0 |
| ბორდო | 5,0 |
| სელტა | 5,0 |
| ატლეტიკო | 6,0 |
| ბოლონია | 6,0 |
| ლიონი | 10,0 |

| ინგლისი | | ჰოლანდია | |
|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 1,5 | ფეიენოორდი | 1,4 |
| ჩელსი | 2,0 | აიაქსი | 2,2 |
| არსენალი | 3,0 | ვიტესი | 5,0 |
| ასტონ ვილა | 8,0 | ეინდჰოვენი | 7,0 |
| ლივერპული | 8,0 | **ბელგია** | |
| **გერმანია** | | ბრიუგე | 1,3 |
| ბაიერნი | 1,01 | გენკი | 2,0 |
| ლევერკუზენი | 8,0 | **პოლონეთი** | |
| **იტალია** | | ვისლა | 1,1 |
| ფიორენტინა | 1,8 | ლეგია | 4,0 |
| ინტერი | 2,0 | ლეხი | 8,0 |
| ლაციო | 3,5 | გურნიკი | 8,0 |
| მილანი | 5,0 | ვიძევი | 8,0 |
| პარმა | 5,0 | **თურქეთი** | |
| **ესპანეთი** | | გალათასარაი | 1,4 |
| ბარსელონა | 1,5 | ფენერბაჰჩე | 2,5 |
| რეალი | 2,0 | ბეშიქთაში | 2,5 |
| მალიორკა | 4,0 | ტრაბზონი | 8,0 |
| ვალენსია | 4,0 | **შოტლანდია** | |
| სელტა | 6,0 | რეინჯერსი | 1,1 |
| **საფრანგეთი** | | სელტიკი | 4,0 |
| მარსელი | 1,4 | კილმარნოკი | 8,0 |
| ბორდო | 2,0 | **ავსტრია** | |
| **პორტუგალია** | | შტურმი | 1,7 |
| პორტუ | 1,3 | რაპიდი | 2,0 |
| ბენფიკა | 2,2 | გრაცერი | 4,0 |
| ბოავიშტა | 6,0 | ლინცერი | 8,0 |
| სპორტინგი | 8,0 | **შვეიცარია** | |
| | | სერვეტი | 1,8 |
| | | გრასჰოპერი | 1,8 |
| | | ციურიხი | 2,5 |
| | | ლოზანა | 4,0 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. გამოტოვებული თამაში

9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| როდა — ნაიმეგენი | 1,35 | 3,8 | 7,0 |

### საფრანგეთის თასი

9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტუარი — პსჟ | 7,5 | 4,0 | 1,3 |

### შოტლანდიის თასი

9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანდი იუნაიტედი — ქუინზ პარკი | 1,1 | 6,0 | 12,0 |

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| მალტა — იუგოსლავია | 14,0 | 8,0 | 1,05 |
| კვიპროსი — სან მარინო | 1,05 | 8,0 | 14,0 |

### ამხანაგური მატჩები

9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ისრაელი — ბელარუსი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| ბელგია — ჩეხეთი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| გერმანია — კოლუმბია (აშშ-ში) | 1,9 | 2,8 | 3,8 |

10 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| პოლონეთი — ფინეთი (მალტაში) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ტუნისი — შვედეთი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ხორვატია — დანია | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ირლანდია — პარაგვაი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| ჰოლანდია — პორტუგალია (პარიზში) | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| იტალია — ნორვეგია | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| ინგლისი — საფრანგეთი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| არგენტინა — მექსიკა (ნეიტრალურზე) | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ჰოკეი. NHL

9 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო — ოტავა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ნიუ ჯერსი — ვანკუვერი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| აილენდერსი — ვაშინგტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| პიტსბურგი — მონრეალი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ნეშვილი — დეტროიტი | 2,1 | 4,4 | 1,9 |
| კოლორადო — კალგარი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ედმონტონი — ბოსტონი | 1,8 | 4,4 | 2,2 |

10 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტორონტო — კაროლინა | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ტამპა ბეი — სენტ ლუისი | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| ჩიკაგო — სან ხოსე | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ფინიქსი — ლოს ანჯელესი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ანაჰაიმი — ფილადელფია | 2,4 | 4,4 | 1,7 |

11 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო — მონრეალი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ოტავა — ფლორიდა | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| პიტსბურგი — ვანკუვერი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| დეტროიტი — ედმონტონი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| სენტ ლუისი — სან ხოსე | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| ლოს ანჯელესი — ფილადელფია | 3,0 | 4,4 | 1,5 |

კრივი

# მე ციხეში მოვკვდე, დავიმარხო?

დასაწყისი პირველ გვერდზე

შარშანდელ სექტემბერს ტაისონიანთ ოჯახის „მერსედესი" მონტგომერის ერთ-ერთ შარაზე ავტოშეჯახებაში მოყვა. მანქანას „რკინის მაიკის" მეუღლე, მონიკა ტარნერი მართავდა. შეჯახება არცთუ ძლიერი გამოდგა, მაგრამ ტაისონმა ხელ-ფეხი გაშალა და ორი დროული მძღოლიც შემოელახა.

მძღოლებმა იჩივლეს და აი შედეგიც. მონტგომერის საგრაფოს სასამართლომ მაიკს თითო მოქნევაში ორ-ორი წელიწადი გამოუწერა, მაგრამ შემდეგ მოლბა და თითო ჩამოაკლო. მოსამართლე ჯონსონმა, ასევე განაჩინა, რომ ხუთი თვის შემდეგ ტაისონი გათავისუფლდება, თუკი, რა თქმა უნდა, ციხეში სანიმუშოდ მოიქცევა.

თუმცა, მაიკისთვის ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მისი საკრივო ბიზნესი თვალსა და ხელს შუა ინგრევა. როკსვილის სასამართლო დარბაზში, ორ ვექილს შუა მდგომმა ტაისონმა მშვიდად მოისმინა განაჩენი, საბრალო მონიკა კი აქვითინდა. ამის შემდეგ დამნაშავეს ხელბორკილი დაადეს და საკანში გაისტუმრეს.

ტაისონის მთავარმა ვექილმა პოლ კემპმა განაცხადა, რომ ამ დღეებში გირაოსაც შეიტანს და სააპელაციო განცხადებასაც, რის შედეგადაც მოხერხდება მისი კლიენტის სააპელაციო სასამართლოს სხდომამდე გათავისუფლება. მაგრამ რა იქნება შემდეგ, არავინ იცის. ეგებ ნაფიც მსაჯულთა ჟიური კიდევ უფრო მკაცრად მოექცეს „მოწიკწიკე ნალმს".

ამერიკის მედია აღნიშნავს, რომ ტაისონის დამცველებმა ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს, რახან გამოაცხადეს, რომ მათი კლიენტი თავს დამნაშავედ არ სცნობს. მათ ვერ გამოიყენეს დაზარალებულთა კეთილგანწყობაც.

თანაც, ვექილთა მთავარი კოზირი



REUTERS როიტერიდან

მაიკ ტაისონი

ის ყოფილა, რომ უთქვამთ, ავარიის დღეს მაიკს თავისი ანტიდეპრესიული წამლები არ დაულევია და ამიტომაც სტრესს ვერ გაუმკლავდაო.

ტაისონის ფსიქოლოგიური მდგომარეობა მართლაც მძიმეა, მას ყოველ კუთხეში მტერი და შანტაჟისტი ელანდება და ბედის უკუღმართობის გამო მისი წკიპურტი ატომური ბომბის გავარდნას ემსგავსება ხოლმე.

ამასობაში კი, დიდი აურზაურია საკრივო სამყაროში. ტელესისტემა „შოუთაიმი" და საპრომოუტერო კანტორა „ამერიკან პრეზენტსი" სულ თავში იცემენ ხელს, რახან ფეხდასხვისხელსშუა იშლება სარფიანი კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც ტაისონს ხუთჯერ უნდა ებრძოლა ვეგასის „ემჯიემში" და ამისათვის 100 მილიონი დოლარი მიეღო, ხოლო რამდენს იშოვნიდა ეს ტრესტი, არავინ იცის.

„ჩვენ ვგეგმავდით, რომ წელს ოთხჯერ მაინც უნდა ებრძოლა", — თქვა ნირწამხდარმა შელი ფინკელმა, ტაისონის ფაქტიურმა მენეჯერმა, — „ჰორიზონტზე ჩანდა ჰოლიფილდთან მესამედ შეყრის კონტურები".

ჟურნალ „„ფაით გეიმის" რედაქტორმა და პატივცემულმა საკრივო მწერალმა ბერტ შუგარმა კი განაცხადა: „ხალხი, რომელიც სატელევიზიო კრივით სულდგმულობს, წაგებულია. ახლა კრივი დაუბრუნდება სუფთად საკრივო ბიზნესს, რადგან ისტორია, რომელსაც ერქვა „მაიკ ტაისონი", დასრულებულია".

ტაისონის რინგზე ყოფნა დიდად განაპირობებდა მძიმე წონაში ჰონორარების ასტრონომიულ თანხებამდე ზრდას. ამასთანავე, მას უწოდებდნენ „ბინძურ მებრძოლს" და „პლანეტის უცუდეს კაცს".

„ყოველთვის მიკვირდა, რატომ ახლდა მის ბოლო ბრძოლებს დიდი ხმაური. ვინ უყურებდა ამ ბრძოლებს და რატომ? ეს კურიოზი ამოწურულია", — დაურთო შუგარმა.

ვთქვათ, ჩაჯდება ტაისონი ხუთი თვით. მერე კი გამოვა მერილენდის ციხიდან და 200 საათს ხალხის სასარგებლოდ იმუშავებს.

ერთადერთი სამუშაო, რომლის შესრულებაც მას ხელეწიფება, მუშტების ქნევაა და რა კარგია ხოლმე, როცა ამ სამუშაოს რინგზე ასრულებს. თუმცა...

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

ჰოკეი

# გამტანმა გაიტანოს!

5 თებერვალი

**ვაშინგტონი — კაროლინა 4:1**

1:0 2:1 1:0

1:0 ბულისი 17'41 (6); 1:1 ჟელინა 23'27 (7); 2:1 ბონდრა 24'41 (22); 3:1 ბონდრა 32'03 (23); 4:1 ბონდრა 59'31 (24)

ვაშინგტონის „სლოვაკმა მსროლელმა" პეტერ ბონდრამ ბოლო 2 მატჩში 7 გოლი გაიტანა.

**ტამპა — ანაჰაიმი 3:5**

2:4 0:1 1:0

0:1 კალენი 3'05 (5); 1:1 სკოპინცევი 4'25 (1); 1:2 კარია 4'48 (22); 1:3 რუჩინი 12'12 (17); 1:4 ოლაუსონი 38'43 (8); 2:4 ლეკავალიე 18'43 (8); 2:5 კარია 36'01 (23); 3:5 კუბინა 54'03 (4)

**პიტსბურგი — ფლორიდა 3:0**

1:0 1:0 1:0

1:0 იაგრი 18'58 (22); 2:0 იაგრი 39'54 (23); 3:0 ზონენბერგი 47'55 (1)

პირველი პერიოდის მიწურულს პაველ ბურე დაშავდა და ერთ კვირას გამოტოვებს.

**დეტროიტი — კოლორადო 1:3**

0:0 1:2 0:1

0:1 საკიკი 23'21 (24); 1:1 კოზლოვი 23'58 (12); 1:2 დედმარში 32'00 (16); 1:3 ლეფევრი 43'52 (2)

კოლორადოს მეკარე პატრიკ რუამ, ლიგის ისტორიაში მეხუთემ, მე-400 მოგებით გაიხარა, ხოლო დეტროიტის გამოჯანმრთელებულმა მცველმა ლარი მერფიმ 1447-ე მატჩი ჩაატარა და თავისი ამპლუის ჰოკეისტთა შორის ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

**ედმონტონი — ნეშვილი 4:2**

3:0 0:1 1:1

1:0 ბერანეკი 1'19 (16); 2:0 გერინი 3'30 (22); 3:0 ფალუნი 16'28 (13); 3:1 პიუარდი 27'15 (4); 3:2 ჯონსონი 45'00 (14); 4:2 გრირი 59'37 (8)

6 თებერვალი

**ფილადელფია — ბოსტონი 2:2**

0:1 1:1 1:0 0:0

0:1 სამსონოვი 2'23 (16); 1:1 ტერიენი 33'53 (2); 1:2 სამსონოვი 39'31 (17); 2:2 ლინდროსი 45'22 (29)

**ფინიქსი — ჩიკაგო 3:0**

0:0 2:0 1:0

1:0 ლუმე 29'42 (6); 2:0 ლუმე 31'45 (7); 3:0 ბრირი 50'45 (8)

ფინიქსელმა ნიკოლაი ხაბიბულინმა მე-5 შატაუტი მიითვალა.

**კაროლინა — ფლორიდა 3:3**

1:3 2:0 0:0 0:0

0:1 პედიკანი 5'0 (4); 1:1 დაინინი 11'25 (7); 1:2 პერიში 11'40 (14); 1:3 პერიში 16'00 (15); 2:3 მალიკი 31'22 (11); 3:3 შეპარდი 37'51 (18)

**ნიუ ჯერსი — ტორონტო 2:3**

2:1 0:1 0:1

1:0 სიკორა 2'31 (17); 2:0 მაკეი 8'46 (13); 2:1 სალივანი 17'53 (9); 2:2 ბერეზინი 22'00 (18); 2:3 სალივანი 57'01 (10)

სტუმართა გამარჯვება მეკარე კერტის ჯოზეფის (39 მოგერიება) დამსახურებაა.

**მონრეალი — ბუფალო 3:2**

3:1 0:0 0:1

1:0 უეინრიჩი 2'52 (5); 1:1 გროშეკი 5'59 (12); 2:1 რუჩინსკი 6'38 (13); 3:1 რეკი 8'49 (10); 3:2 პეკა 57'42 (20)

**კალგარი — ოტავა 1:2**

0:0 1:1 0:1

0:1 სალო 32'58 (2); 1:1 ბურე 39'26 (11); 1:2 არვედსონი 44'45 (12)

**სენტ ლუისი — ანაჰაიმი 3:4**

2:0 1:1 0:3

1:0 ტარჯონი 4'45 (16); 2:0 ე. მაკინისი 10'04 (13); 2:1 კალენი 22'32 (6); 3:1 ე. მაკინისი 34'06 (14); 3:2 მ. მაკინისი 43'58 (16); 3:3 ოლაუსონი 47'43 (12); 3:4 ტრეპანიე 49'06 (1)

**ლოს ანჯელესი — სან ხოსე 2:0**

2:0 0:0 0:0

1:0 რობიტაილი 7'36 (28); 2:0 რობიტაილი 9'43 (29)

7 თებერვალი

**აილენდერსი — ვანკუვერი 3:3**

0:0 1:0 2:3 0:0

1:0 პალფი 34'33 (8); 2:0 რაიხელი 43'54 (15); 2:1 მეი 47'55 (7); 3:1 ლაპოინტი 49'36 (13); 3:2 ჟოკანოვსკი 51'02 (5); 3:3 ნესლუნდი 55'42 (27)

**დალასი — კოლორადო 0:3**

0:0 0:1 0:2

0:1 ლემიე 28'14 (20); 0:2 დრური 42'11 (11); 0:3 კლემი 55'57 (1)

კოლორადომ თავისი სასწაულებრივი სერია ზედიზედ 12 გამარჯვებამდე გაზარდა, თანაც საამისოდ სულ 12 დარტყმის განხორციელება დასჭირდა. ჩინებულად მოთამაშე პატრიკ რუამ კი 46-ე შატაუტი (სეზონში მეხუთე) მიითვალა, რაც მოქმედ მეკარეთა შორის საუკეთესო შედეგია.

**ვაშინგტონი — ბუფალო 3:1**

1:0 2:0 0:1

1:0 ჟიუნო 8'04 (11); 2:0 ზედნიკი 21'53 (4); 3:0 კონოვალჩუკი 28'13 (10); 3:1 პლანტი 51'02 (2)

**ბოსტონი — რეინჯერსი 3:2**

1:0 1:0 1:2

1:0 სამსონოვი 15'01 (18); 2:0 ხრისტიჩი 36'27 (21); 2:1 ლიჩი 49'36 (8); 2:2 გრეივსი 52'21 (24); 3:2 ტორნტონი 56'33 (10)

**პიტსბურგი — დეტროიტი 2:1**

1:0 1:1 0:0

1:0 კოვალიოვი 15'43 (16); 1:1 ლაპოინტი 29'36 (12); 2:1 მილერი 31'13 (9).

**სამველ ლარიბიანი**

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ ჩვენს კოლეგა დავით ჭელიძეს დედის
**ვალენტინა ტატიშვილი-ჭელიძის**
გარდაცვალების გამო

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ თამაზ თევზაძეს მამის
**შოთა თევზაძის**
გარდაცვალების გამო

საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია თანაუგრძნობს ოლიმპიურ პრიზიორს ნოდარ ხოხაშვილს დედის გარდაცვალების გამო

# ჰერმინატორი, ტერმინატორი და სხვები

WORLD CHAMPIONSHIPS ALPINE SKI 1999 · VAIL · BEAVER CREEK COLORADO · USA

სამთომოთხილამურე ჰერმან მაიერსა და ჰოლივუდის ვარსკვლავ არნოლდ შვარცენეგერს ბევრი აქვთ საერთო — პირველი ის, რომ ორივე ავსტრიელია, მეორე — ჰერმანიცა და არნოლდიც დიდების მწვერვალზე არიან, მესამეც — მაიერს მთათა ფერდობებზე რისკიანი სრიალის გამო „ჰერმინატორი" უწოდეს, შვარცენეგერს კი ფული და სახელი გახმაურებულმა კინოროლმა ტერმინატორმაც მოუტანა.

ჰოდა, ამ უქმეებზე ჰერმინატორი და ტერმინატორი კოლორადოს შტატის სამთო კურორტ ბივერ კრიკში სამთომოთხილამურეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე შეხვდნენ ერთმანეთს.შვარცენეგერი თვისტომის საქომაგოდ სწვეოდა კოლორადოს.

კაცები სწრაფდაშვებაში ეჯიბრებოდნენ ერთურთს და გამარჯვებას ყველა მსოფლიოს თასის ნორვეგიელ ლიდერს ლასე კიუსს უწინასწარმეტყველებდა. ლასე ხომ სწრაფდაშვების სპეციალისტად არის ცნობილი და ამგვარი პროგნოზი სავსებით გამართლებული გახლდათ, თუმცა ისიც ცხადი იყო, რომ მაიერი უბრძოლველად არაფერს დათმობდა. ნორვეგიელის და ავსტრიელის დაპირისპირება იმითაც იყო საინტერესო, რომ სუპერგიგანტში მათ აბსოლუტურად ერთნაირი დრო აჩვენეს და ჩემპიონობა საზიარო გაუხდათ, ამჯერად კი ორგანიზატორებს ორი ოქრო აღარ დასჭირვებიათ — ჰერმინატორმა ტერმინატორთან თავი არ შეირცხვინა, ყველაზე სწრაფად (1:40.60) დაეშვა და მეორე ოქროს მედალი ირგუნა. ვერცხლი და ბრინჯაო ნორვეგიელებს ლასე კიუსს (1:40.91) და კეიტ ანდრე ამოდტს (1:41.17) ერგოთ.

სუპერგიგანტში ასპარეზობის მერე ქალები კომბინაციასა და სწრაფდაშვებაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. მსოფლიოს თასზე და ჩემპიონატზე ავსტრიელ ქალთა საუცხოო გამოსვლაზე არაერთხელ დაგვიწერია და დღესაც ისინი უნდა ვახსენოთ, ოღონდ ამჯერად ისაა აღსანიშნი, რომ სამთოთხილამურობის შვედმა ვეტერანმა პერნილა ვიბერგმა კომბინაციაში არათუ ტოლი არ დაუდო ავსტრიელებს, აჯობა კიდეც (3:08.52) და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. წინა ჩემპიონატის გამარჯვებული რენატა გოეჩლი მეორე იყო (3:08.67), მესამეზე ფრანგი ფლორანს მასნადა (3:08.97) გავიდა.

ეტყობა, კომბინაციაში განცდილი მარცხი ავსტრიელმა ქალებმა მწვავედ განიცადეს და სწრაფდაშვებისათვის სათანადოდ მოემზადნენ, ჰოდა შედეგიც საკადრისი მოიმკეს — ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო ავსტრიისაკენ აიღებს გეზს.

რენატა გოეჩლიმ სუპერგიგანტსა და კომბინაციაში ვიცე-ჩემპიონობის მერე, ოქროსაც გაუგო გემო. სწრაფდაშვებაში მან 1:48.20 წუთით ყველაზე კარგი დრო აჩვენა და ჩემპიონი გახდა. მეორე და მესამეც ავსტრიელები, მიქაელა დორფმაისტერი (1:48.35) და სტეფანიე შუსტერი (1:48.37) იყვნენ. მსოფლიოს თასის ლიდერი და სუპერგიგანტის მსოფლიოს ჩემპიონი ალექსანდრა მაიზნიცერი ამჯერად მეოთხე ადგილს დასჯერდა.



REUTERS ბივერ კრიკიდან

არნოლდ შვარცენეგერი და ჰერმან მაიერი

ბივერ კრიკი. კოლორადო. აშშ. სამთოთხილამურობა. მსოფლიოს ჩემპიონატი.

### კაცები

სწრაფდაშვება
(ტრასის სიგრძე 2762 მ. სიმაღლეთა სხვაობა 757 მ.)

1. ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 1:40.60; 2. ლასე კიუსი (ნორვეგია) — 1:40.91; 3. ანდრე ამოდტი (ნორვეგია) — 1:41.17; 4. ჰანს კნაუსი (ავსტრია) — 1:41.19; 5. შტეფან ებერჰარტერი (ავსტრია) — 1:41.40

ვეილი. კოლორადო. აშშ. სამთოთხილამურობა. მსოფლიოს ჩემპიონატი.

### ქალები

კომბინაცია
(სწრაფდაშვება-სლალომი)

1. პერნილა ვიბერგი (შვედეთი) — 3:08.52; 2. რენატა გოეჩლი (ავსტრია) — 3:08.67; 3. ფლორანს მასნადა (საფრანგეთი) — 3:08.97; 4. ჰილდე გერგი (გერმანია) — 3:09.38; 5. ტროტე გიმლიე (ნორვეგია) — 3:10.51

სწრაფდაშვება
(ტრასის სიგრძე 2811 მ. სიმაღლეთა სხვაობა 667 მ. 40 კარი)

1. რენატა გოეჩლი (ავსტრია) — 1:48.20; 2. მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) — 1:48.35; 3. სტეფანიე შუსტერი (ავსტრია) — 1:48.37; 4. ალექსანდრა მაიზნიცერი (ავსტრია) — 1:48.47; 5. რეგინა ჰოისლი (გერმანია) — 1:48.92

**ქვეყნების მონაგარი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ავსტრია | 4 | 3 | 3 |
| ნორვეგია | 1 | 1 | 1 |
| შვედეთი | 1 | - | - |
| საფრანგეთი | - | - | 1 |

## ციგურაობა



REUTERS ჰამარიდან

გილოცავ: გუნდა ნეიმან-შტირნემანი და რინტიე რიიტსმა

### ნორვეგია. ჰამარი. მსოფლიოს ჩემპიონატი

**ქალები. 500 მ**

1. ანამარია ტომასი (ჰოლანდია) 39.82 წამი; 2. ჯენიფერ როდრიგესი (აშშ) 39.86; 3. ემეს ჰანიდი (ავსტრია) 39.93 ... 7. გუნდა ნეიმან-შტირნემანი (გერმანია) 40.34

**3000 მ**

1. გუნდა ნეიმან-შტირნემანი 4:02.01 წუთი; 2. კლაუდია პერშტეინი (გერმანია) 4:04.46; 3. ბარბარა დე ლური (ჰოლანდია) 4:08.69

**1500 მ**

1. ანამარია ტომასი 1:59.96; 2. გუნდა ნეიმან-შტირნემანი 1:57.24; 3. ემეს ჰანადი 1:55.51

**5000 მ**

1. გუნდა ნეიმან-შტირნემანი (მს.რ) 6:57.24; 2. კლაუდია პერშტეინი 7:03.86; 3. ბარბარა დე ლური 7:08.22

საერთო ჩათვლა

1. გუნდა ნეიმან-შტირნემანი (გერმანია) 161.479; 2. კლაუდია პერშტეინი (გერმანია) 162.935; 3. ტონი დე იონგი (ჰოლანდია) 163.780

**კაცები. 500 მ**

1. ჰიროიოკი ნოაკე (იაპონია) და კრისტიან ბროუერი (გერმანია) 36.29 წამი; 3. ადნე სონდრალი (ნორვეგია) 36.43; 4. რინტიე რიიტსმა (ჰოლანდია) 36.51

**5000 მ**

1. ვადიმ საუტინი (რუსეთი) 6:27.50; 2. ესკილ ერვიკი (ნორვეგია) 6:29.22; 3. კიელ სტორელიდი (ნორვეგია) 6:30.05; ... 6. რინტიე რიიტსმა 6:30.38

**1500 მ**

1. ადნე სონდრალი 1:47.01; 2. რინტიე რიიტსმა 1:48.69; 3. მარტინ ჰერსმანი (ჰოლანდია) 1:49.03

**10000 მ**

1. ბარტ ველდკამპი (ბელგია) 13:28.20 წუთი; 2. ვადიმ საუტინი 13:29.21; 3. ფრენ დიტრიხი 13:32.91; 4. რინტიე რიიტსმა 13:37.47

საერთო ჩათვლა

1. რინტიე რიიტსმა (ჰოლანდია) 152.651; 2. ვადიმ საუტინი (რუსეთი) 153.360; 3. ესკილ ერვიკი (ნორვეგია) 154.176

## ტიტულები

### პერნილა ვიბერგი

1992 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი გიგანტურ სლალომში

1994 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი კომბინაციაში

1998 წლის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი სწრაფდაშვებაში

1991 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გიგანტურ სლალომში

1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონი სლალომსა და კომბინაციაში

1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი სწრაფდაშვებაში

1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კომბინაციაში

მსოფლიოს თასზე მოგებული ეტაპები — 23. სწრაფდაშვება 1, გიგანტური სლალომი 14, სლალომი 2, სუპერგიგანტი 3, კომბინაცია 3.

მსოფლიოს თასის 1997 წლის გამარჯვებული



REUTERS ვეილიდან



REUTERS ვეილიდან

### რენატა გოეჩლი

1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონი კომბინაციაში

1999 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი სუპერგიგანტსა და კომბინაციაში

1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონი სწრაფდაშვებაში

მსოფლიოს თასზე მოგებული ეტაპები — 8; სწრაფდაშვება 4; სუპერგიგანტი 2; სლალომი 1; კომბინაცია 1

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური ფეხბურთის განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე ინფორმაციის განყოფილება ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29